ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება

ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ქალთა შემთხვევის შესწავლა საქართველოში

ევა მოდებაძე

დეკემბერი 2021

ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება

ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ქალთა შემთხვევის შესწავლა საქართველოში

კვლევითი გუნდი:
ევა მოდებაძე
ნანა ჭაბუკიანი

ინგლისურიდან თარგმანი:
ანა ჟაყელი

რედაქტორი:
რიტა ბაინდურაშვილი

WeResearch

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

წინამდებარე კვლევა ორგანიზაციამ WeResearch ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭრით განახორციელა.

WeResearch-ის გუნდი მადლობას უხდის ფოკუსჯგუფის მონაწილეებსა და ინტერვიუს რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობისა და დათმობილი დროისათვის. განსაკუთრებული მადლობა ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლებს მათი ღირებული უკუკავშირისთვის.

სარჩევი

შინაარსი 2

მთავარი მიგნებები 3

1. შესავალი 5

2. კვლევის თეორიული და ემპირიული თავსატეხი 8

2.1 ანალიტიკური ჩარჩო - ადამიანის უსაფრთხოების გენდერული მეინსტრიმინგი 9

3. მეთოდოლოგია 11

3.1 საკვლევი კითხვები 11
3.2 მეთოდები და მონაცემთა შეგროვება 11
3.3 შერჩევა და მონაცემთა ანალიზი 12
3.4 სანდოობა და ეთიკის საკითხები 13
3.5 კვლევის შეზღუდვები 13

4. კვლევის შედეგები 14

4.1 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა: დოკუმენტების კრიტიკული ანალიზი 14
4.1.1 დესეკურიტიზაციის შესაძლებლობა - საფრთხის აღქმის ისტორიული ნარატივები 17
4.2 რესპონდენტების ნარატივები: ადამიანების უსაფრთხოების / დაუცველობის ქვემოდან ზემოთ რეკონცეპტუალიზაცია 19
4.2.1 პირადი უსაფრთხოება: უსაფრთხოების უხმო დილემა და ოჯახში ძალადობა 21
4.2.2 ეკონომიკური უსაფრთხოება 23
4.2.3 სასურსათო უსაფრთხოება 25
4.2.4 ჯანდაცვის უსაფრთხოება 26
4.2.5 პოლიტიკური უსაფრთხოება 28
4.3 უსაფრთხოება, საზღვრები და ტერიტორიული კონფლიქტები 31
4.4 ხმა და ქალთა აგენტობა: წინააღმდეგობის გაძლიერება 32

5. შეჯამება 35

6. რეკომენდაციები 37

გამოყენებული ლიტერატურა 40
ცხრილები 42
აკრონიმები და აბრევიატურები 42

შინაარსი

წინამდებარე კვლევა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ქალების უსაფრთხოების პრობლემებს შეისწავლის. უსაფრთხოებისადმი ინტერსექციური მიდგომის საშუალებით, ეს ნაშრომი სოციალურ და ინსტიტუციურ იერარქიებში ჩაბეჭდილი მარგინალობისა და მოწყვლადობის საკითხების კონტექსტუალიზაციას ემსახურება. ეთნიკური უმცირესობების ქალთა პირადი, ეკონომიკური, სასურსათო, ჯანმრთელობისა და პოლიტიკური უსაფრთხოების ანალიზისთვის კვლევაში გამოყენებულია ადამიანის უსაფრთხოების მულტისექტორული ჩარჩო. ნაშრომში, უსაფრთხოების ანალიზის კონცეპტუალურ და პრაქტიკულ დონეზე, გენდერი ეპისტემოლოგიურ პერსპექტივადაა დანახული. ამასთან, მოცემული კვლევა ხაზს უსვამს საქართველოს უსაფრთხოების სფეროში ინტერსექციურობისა და მოწყვლადობის პრობლემურობას. პირველადი მონაცემები ფოკუსჯგუფებისა და პირისპირი ინტერვიუების საშუალებით შეგროვდა, შემდეგ კი დოკუმენტების მიმოხილვით შეივსო. კვლევის ფარგლებში სულ ექვსი ფოკუსჯგუფი ჩატარდა, რომლებშიც აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის ორმოცდარვა ქალი მონაწილეობდა. ამასთან, რვა პირისპირი ინტერვიუ ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან, მათ შორის: სფეროს ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველის ოფისისა და შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლებთან. მონაცემთა ანალიზისთვის კრიტიკული ემანსიპატორული მიდგომაა გამოყენებული.

კვლევამ გამოავლინა, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით პრობლემურია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის, რადგან ისინი საკუთარი გენდერისა (გენდერული ნიშნით ძალადობა, პატრიარქარული სტერეოტიპები) და არა-დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გამო (რესურსებსა და განათლებაზე შეზღუდული წვდომა, ენობრივი ბარიერი, კულტურული სტერეოტიპები) ორმაგად მოწყვლადები არიან. ორმაგი მოწყვლადობა კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების საზოგადოებიდან გარიყვის, არასათანადოდ მოპყრობისა და დისკრიმინაციის რისკებს ზრდის. თითოეული რესპონდენტის ცხოვრებისეული გამოცდილება უნიკალურია, თუმცა ზემოხსენებული ორი ეთნიკური ჯგუფის შედარების დროს, ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოს ხუთი კომპონენტის მიხედვით განცდილ საფრთხეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღმოჩნდა. ეს კომპონენტებია: პირადი უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოება, ჯანმრთელობის უსაფრთხოება და პოლიტიკური უსაფრთხოება. ამასთან, კვლევა უფრო მეტად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უსაფრთხოების ყოველდღიურ გამოცდილებაზეა ორიენტირებული და მიზნად არ ისახავს ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობების ჯგუფების შედარებით ანალიზს.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში უსაფრთხოების სექტორი დღის წესრიგში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას იწყებს. თუმცა, არ არსებობს თანმიმდევრული, ინტერსექციური მიდგომა, რომელიც უმცირესობების უსაფრთხოების საკითხებს მოიცავს. იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლი ქალები არაერთი კუთხით არიან მოწყვლადი, მათი ქვემოდან ზემოთ გაძლიერება მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ინკლუზიური დღის წესრიგის შესაქმნელად. კვლევის შედეგებმა აჩვენა ისიც, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს საქართველოს უსაფრთხოების სექტორისთვის. გარდა ამისა, ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩო ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ინდივიდების ყოველდღიურ საფრთხეებს, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ეს მიდგომა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველში იდოს.

მთავარი მიგნებები

საქართველოს უსაფრთხოების სექტორი:

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა უსაფრთხოების მნიშვნელობის კონცეპტუალურად გაფართოებაში შედარებით წარმატებული გამოდგა, რაც გენდერული თანასწორობისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებებზეც აისახა. თუმცა, არ არსებობს თანმიმდევრული, ინტერსექციური მიდგომა იმ მოწყვლადი ჯგუფების უსაფრთხოების პრობლემისადმი, რომლებიც დისკრიმინაციის მრავალ ფორმას განიცდიან.

- მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოს საკვანძო მიმართულებებს მოიცავს, საეჭვოა უსაფრთხოების ცნების ფართო გაგების დანერგვა პრაქტიკაში. ამას უსაფრხოების საკითხების კოორდინაციასა და დაგეგმვაზე პასუხისმგებელი ორგანოების ვიწრო სამოქმედო არეალი განაპირობებს. სამინისტროებს, რომლებიც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, მრავალმხრივი და ადამიანებზე მორგებული უსაფრთხოების საკითხების განხილვის არეალი შეზღუდული აქვთ.

- საქართველოს უსაფრთხოების სექტორი ტოკენიზმის შესახებ უნდა იყოს ინფორმირებული. ინსტიტუტებში გენდერული ზედამხედველობის ორგანოების შექმნამ და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული მაჩვენებლის ზრდამ, შესაძლოა, გადამწყვეტი როლი ითამაშოს გენდერული პერსპექტივის წამოწევაში. თუმცა, ეს შეიძლება, ინსტიტუტებში გენდერულად ინფორმირებული პოლიტიკის შემუშავების პროცესების არ არსებობის შესანიღბადაც გამოიყენონ, ხოლო ქალთა წარმომადგენლობის ზრდისკენ მიმართულმა ზედაპირულმა რაოდენობრივმა მიდგომებმა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ცრუ წარმოდგენა შექმნას.

- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ოფიციალური დოკუმენტების ენა შეიცვალა, სახელმწიფო აპარატი, ინსტიტუციურ დონეზე, ეთნიკურ უმცირესობებს კვლავაც უშიშროების საფრთხედ განიხილავს. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზმა ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს დუალურ მიდგომას გაუსვა ხაზი. მაგალითად, „ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა“ შესულია მუხლ 8-ში, სათაურით, შიდა უსაფრთხოება, რომელიც ისეთ საკითხებს აერთიანებს, როგორიცაა: შიდა საფრთხეები, რისკები, ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები და ექსტრემისტულ-ტერორისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა. სამოქალაქო და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია წარმოდგენილი არ არის მე-9 მუხლში, რომელიც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ეხება.

- უსაფრთხოების მნიშვნელობის გაღრმავება კვლავაც პრობლემატურია, სახელმწიფო კი უსაფრთხოების მთავარ ობიექტად რჩება. არ არსებობს აშკარა ვალდებულება, რომ უსაფრთხოების გაგებამ, სახელმწიფოს გარდა, მოიცვას ანალიზის უფრო დაბალი საფეხურებიც, როგორიცაა: კოლექტივები, ინდივიდები და მოწყვლადი სოციალური ჯგუფები.

ეთნიკური უმცირესობების ქალთა გენდერული უსაფრთხოება/ დაუცველობა:

- ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ქალები საქართველოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემას აწყდებიან, რომლებიც მათ გენდერსა (გენდერული ძალადობა, პატრიარქალური სტერეოტიპები) და ეთნიკურობას (რესურსებზე შეზღუდული წვდომა, განათლება, ენობრივი ბარიერი, კულტურული სტერეოტიპები) უკავშირდება. აღნიშნული ფაქტორების კომბინაციის შედეგი კი საზოგადოებისგან გარიყვის, არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციის მიმართ მათი ორმაგი მოწყვლადობაა.

- პატრიარქალური სტრუქტურები ყველა ეთნიკური წარმომავლობის ქალზე ახდენს გავლენას, თუმცა, სხვადასხვანაირად. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ორმაგად მოწყვლადები არიან მათი გენდერისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის გამო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ

სახელმწიფო ინსტიტუტებს ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოების მიმართ კულტურულად მგრძნობიარე მიდგომა ჰქონდეთ.

- თითოეული ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილება უნიკალურია. თუმცა, ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოს ხუთი კომპონენტის - პირადი, ეკონომიკური, სასურსათო, ჯანმრთელობისა და პოლიტიკური უსაფრთხოების მიხედვით ორი ეთნიკური ჯგუფის ურთიერთშედარებისას, არსებითი განსხვავება არ ვლინდება.

- ტრანსპორტს, ჯანდაცვასა და სასურსათო უსაფრთხოებას ეთნიკური უმცირესობების ქალთა კეთილდღეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, მარნეულთან და ახალქალაქთან შედარებით, თავს უფრო დაცულად და ინტეგრირებულად თბილისში გრძნობენ.

- კვლევის მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების ცნების კონცეფტუალიზაცია უსაფრთხოების კრიტიკული მიდგომის მსგავსია, რაც ხაზს უსვამს უსაფრთხოების ცნების გაგების გაფართოებისა და გაღრმავების მნისვნელოვნებას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩო საუკეთესოდ ასახავს მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიურ დაუცველობას.

- ეთნიკური უმცირესობების ქალთა რეპრეზენტაცია პოლიტიკაში კვლავაც ძალიან დაბალია. ადგილობრივ დონეზე პოლიტიკაში ჩართვის მთავარ დაბრკოლებად მათი გენდერული მიკუთვნებულობა რჩება.

- გენდერული უსაფრთხოების საკითხები ეთნიკურობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ერწყმის. „უსაფრთხოების სუბსუმირების“ ანუ გენერული ასპექტის ეთნიკურობასთან შერწყმის პრობლემის აღიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ აყალიბებს გენდერი და ეთნიკური იდენტობა ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოების საჭიროებებს. ამ უკანასკნელზე ადეკვატური პასუხი იდენტობის მნიშვნელობის გააზრებას გულისხმობს და გადამწყვეტია უსაფრთხოების გაგებისათვის.

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები უსაფრთხოების უხმო დილემის წინაშე არიან: მათი პირობითი უსაფრთხოება ხშირად უხილაობაზე, როგორც გადარჩენის სტრატეგიაზეა დამოკიდებული. პრობლემებზე ხმამაღლა საუბარმა კი შესაძლოა, მათ წინაშე არსებული საფრთხეები გაამწვავოს. უსაფრთხოებას, როგორც დუმილს (security as silence), სამი მთავარი ფაქტორი განაპირობებს: ინფორმაციისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა, კულტურული სტიგმა, სტერეოტიპები და აღქმადი ინსტიტუციური მხარდაჭერისა და უსაფრთხოების ქსელის ნაკლებობა.

- ეთნიკური უმცირესობების ქალთა აქტივიზმი შესამჩნევია წინააღმდეგობის გამოხატვის ალტერნატიულ ფორმებში (ვიზუალური და სხეულებრივი/ფიზიკური პრაქტიკების გამოყენება). მათი აგენტობის შემჩნევა, შესაძლოა, ეთნიკური უმცირესობების დიქოტომიური გაგების გადალახვაში დაგვეხმაროს, რომელიც მათ საფრთხედ ან მოწყვლად სუბიექტებად აღიქვამს. ეთნიკური უმცირესობების ქალთა ქვემოდან ზემოთ გაძლიერება გადამწყვეტია უსაფრთხოების ინკლუზიური დღის წესრიგის შემუშავებაში.

1 შესავალი

„უსაფრთხოებაზე საუბარი გენდერზე ფიქრის გარეშე იგივეა, რაც ზედაპირის ანარეკლების ახსნა მის მიღმა არსებული სიღრმის შესწავლის გარეშე“ (Booth 1997: 101).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს უსაფრთხოების დღის წესრიგი სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ეროვნულ ინტერესებს უფრო მეტად შეერწყა (იხ. Fluri and Cole 2005, Kakachia 2005, Deyermond 2008, Simons 2012). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში კომპლექსური სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციისა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მქონე ბევრი სახელმწიფო წარმოიშვა. ცენტრალური ევროპის მრავალეთნიკური ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, რამდენიმე მკვლევარმა (Buzan 1993, Hann 1996, Ghai et al. 2003, Shoup 2007, Stroschein 2012) აღნიშნა, რომ შესაძლოა, ეთნიკური უმცირესობებით მდიდარი სახელმწიფოები მეტად იყვნენ შიდა დაძაბულობისკენ მიდრეკილები, რადგან იდენტობებსა და საზღვრებს შორის შეუსაბამობამ, შეიძლება, ტერიტორიულ მთლიანობას შეუქმნას საფრთხე. სეკურიტიზაციის რისკი,[1] - ეთნიკური ჯგუფების საფრთხედ დისკურსული აღქმა უფრო მაღალია ვრცელი და ნაკლებად ინტეგრირებული უმცირესობების მიმართ, რომლებიც მონათესავე სახელმწიფოსთან ახლოს, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ (Karolak-Michalska 2020). ეთნიკური უმცირესობების საფრთხედ მიჩნევასთან დაკავშირებული დამატებითი დაძაბულობა გარე ძალებთან მათი კავშირის აღქმიდანაც მომდინარეობს. ისტორიული მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად, ეთნიკური იდენტობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესახებ ნარატივებს ხშირად შედეგად მოსდევს დიდ, მჭიდროდ დასახლებულ უმცირესობათა ჯგუფებიდან წამოსული შიდა დაძაბულობის გადაჭარბებული შეფასება.

საინტერესოა, რომ ეთნიკური უმცირესობების სეკურიტიზაცია საქართველოში მათი ინტეგრაციის მზარდი მცდელობების პარალელურად მოხდა. შედეგად, ეთნიკური უმცირესობების მიმართ საქართველოს უსაფრთხოების დღის წესრიგში ორი დისკურსი ჩამოყალიბდა: სეკურიტიზაციისა და ადამიანის უფლებების.

ეთნოპოლიტიკურ არეულობებთან ერთად, საბჭოთა მემკვიდრეობამ გავლენა იმაზეც იქონია, რომ გარე ფაქტორებიდან წამოსული საფრთხეები უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად აღქმულიყო (Deyermond 2008). შესაბამისად, უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამხედრო იარაღებით ან გარე ძალაუფლებრივი გავლენების წინააღმდეგ ბრძოლით შემოიფარგლა. შედეგად, პოლიტიკურმა ელიტებმა სახელმწიფოს, როგორც სუვერენული ერთეულის გადარჩენა მთავარ პრიორიტეტად დაისახეს (Jones 2003, Kolstø and Høivik 2018). ამავდროულად, ცივი ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთის უსაფრთხოების მკვლევარებმა და პრაქტიკოსებმა სახელმწიფოზე ორიენტირებული ანალიზის დონიდან ყურადღება სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის საკითხებზე გადაიტანეს - როგორც უსაფრთხოების პრობლემებზე (Kakonen 1994, Buzan et al. 1998). ამის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიაში, რეგიონის არასტაბილურობისა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების არსებობის გამო, უსაფრთხოების დღის წესრიგის მონოპოლიას კვლავ „სახელმწიფო ცენტრიზმი“ ფლობდა. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციებში სამხედრო სფეროს მიღმა არსებული საფრთხეების ჩართვით, კონცეპტუალურ დონეზე უსაფრთხოების მნიშვნელობის გაფართოების მიუხედავად, ინდივიდის უსაფრთხოების მთავარ ობიექტად[2] მიჩნევისათვის მაინც მცირე ადგილი დარჩა.

უსაფრთხოების ზემოხსენებული შეზღუდული გაგება გენდერულ განზომილებას უგულებელყოფს (Hudson et al. 2008/2009, Hudson 2009, Hoogensen and Stuvøy 2006). მეტიც, როდესაც ქალებს უსაფრთხოების დისკურსზე შეზღუდული წვდომა აქვთ, სამხედრო სფეროს მიღმა განცდილი მრავალი სახის საფრთხე ყურადღების მიღმა

1 სეკურიტიზაციის კონცეფცია ოლე ვეივერმა შექმნა, შემდგომ კი კოპენჰაგენის უსაფრთხოების სკოლამ განავრცო (Buzan et al. 1998). სეკურიტიზაცია უსაფრთხოების ცნებას დისკურსულ ინტერსუბიექტურ კონსტრუქციად ხედავს, რაც ნიშნავს იმას, რომ საფრთხე, შეიძლება, არა ობიექტურად, არამედ სუბიექტურად იყოს აღქმული. რაიმეს სეკურიტიზაცია - უსაფრთხოების საკითხად ქცევა, ეფუძნება შეთანხმებას, რომ რეფერენტ ობიექტს (მაგ. ეროვნული იდენტობა, ტერიტორიული მთლიანობა) ემუქრება ეგზისტენციალური საფრთხე და სასწრაფოდ ესაჭიროება დაცვა, რაც აღნიშნული საფრთხის შესაჩერებლად დისპროპორციული ყურადღებისა და რესურსების მიმართვის საშუალებას იძლევა.

2 რეფერენტი ობიექტი განმარტებულია როგორც „ის, რასაც ეგზისტენციალური საფრთხე ემუქრება და რასაც გადარჩენაზე ლეგიტიმური პრეტენზია აქვს“(Buzan et al. 1998:36). ეს, შეიძლება, ეხებოდეს როგორც ღირებულებებს, ისე ჯგუფებს, წოდებას, იდენტობებსა და სხვ.

რჩება (Hansen 2000), რაც განსაკუთრებით პრობლემურია ეთნიკური უმცირესობის ქალებისათვის. საკუთარი გენდერისა და არა-მეინსტრიმულ ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გამო ისინი ორმაგად დაუცველად გრძნობენ თავს. გენდერული და ეთნიკური იდენტობით გამოწვეული დაუცველობა კიდევ უფრო ამწვავებს საქართველოს მასშტაბით ფართოდ გავრცელებული პრობლემების საზიანო შედეგებს. ეს კი, თავის მხრივ, ეთნიკური უმცირესობების ქალებს უფრო მოწყვლადებს ხდის ადამიანთა უფლებების შელახვისა და დისკრიმინაციის მიმართ. გარდა ამისა, მათ უსაფრთხოებაზე მუდმივად მოქმედებს გენდერული პერსპექტივის ნაკლებობა მეინსტრიმული უსაფრთხოების სექტორში და ეთნოპოლიტიკური დაძაბულობები საქართველოში, (Cotter 1999) რაც შედეგად იწვევს უმცირესობების, როგორც მოწყვლად ჯგუფებად ან შიდა დაძაბულობების პოტენციურ წყაროებად აღქმის კომპლექსურ ურთიერთკავშირს[3] ამის გამო, აუცილებელია ეთნიკური უმცირესობების ქალთა პოზიციონირების უსაფრთხოების დისკურსის ინტერსექციური ანალიზი, რადგან საქართველოში მონათესავე სახელმწიფოების საზღვრებთან მცხოვრები ორი უდიდესი ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებს ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ადამიანები წარმოადგენენ. წინამდებარე კვლევაც სწორედ ამ ეთნიკური ჯგუფების ქალთა უსაფრთხოების გამოცდილებებზეა ორიენტირებული.

აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, კვლევის ამოსავალი წერტილია დაშვება, რომ უსაფრთხოება არის „მძლავრი პოლიტიკური ინსტრუმენტი მთავრობის ყურადღებისთვის კონკურენციაში და პრიორიტეტული საკითხებისადმი მათი ყურადღების მისაპყრობად“, რაც, ასევე, ხელს უწყობს საზოგადოების ყურადღების მობილიზებას იმ საკითხებზე, რომლებიც მიჩნეულია მნიშვნელოვნად(Buzan 1991: 370). შესაბამისად, უსაფრთხოების ჩარჩოს გამოყენებამ ეთნიკური უმცირესობების ქალთა პრობლემების გადასაჭრელად, შესაძლოა, „ხელი შეუწყოს ყურადღების მიპყრობას იმ საკითხებსა და ადამიანთა ჯგუფებზე, რომლებიც, როგორც წესი, მარგინალიზებულები არიან“ (Hudson 2009: 54) და, შედეგად, ემანსიპაციური ცვლილებები მოახდინოს.

კვლევას ორი მიზანი აქვს. პირველ რიგში, მისი მიზანია, გაამდიდროს საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოების გამოცდილების შესახებ არსებული მცირე რაოდენობის ემპირიული კვლევები. მეორე მიზანი კი უსაფრთხოების ანალიზის თეორიულ დებატებში ჩართვა და იმის განხილვაა, თუ რამდენად შესაძლებელია ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოების პრობლემების გენდერულად ინფორმირებული უსაფრთხოების დღის წესრიგში შეტანა.[4] კვლევის კითხვები ორ დამოუკიდებელ, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში პროექტი იკვლევს საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ქალთა აღქმულ და განცდილ მთავარ საფრთხეებს; მეორეში კი განხილულია, თუ როგორ შეიძლება, გენდერულად ინფორმირებული უსაფრთხოების დღის წესრიგის შემუშავებაში აღნიშნული ჯგუფების პერსპექტივების ჩართვა. ემპირიული კვლევის, ფოკუსჯგუფებითა და პირისპირი ინტერვიუებით მოპოვებული მონაცემებისა და აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, კვლევა განიხილავს, რამდენად შესაძლებელია შეზღუდული ხმისა და საჯარო და პოლიტიკურ დისკურსზე წვდომის არ-მქონე ჯგუფების გაერთიანება უსაფრთხოების ჩარჩოში. შედეგად, კვლევა უსაფრთხოების ანალიზის ფემინისტურ ეპისტემოლოგიას ეფუძნება და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უსაფრთხოების პრობლემებსა და დომინანტ მილიტარისტულ და სახელმწიფოზე ორიენტირებულ დისკურებს შორის ურთიერთობას განიხილავს. ნაშრომი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოების დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში ქალთა უთანასწორობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ტერმინი - „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები“ გამოყენებულია ანალიტიკური მიზნით. კვლევა ეთნიკური უმცირესობის ქალებს ერთ მთლიანობად არ განიხილავს, რადგან ამ ჯგუფების ჰომოგენურად აღქმა მცდარი იქნებოდა. ზოგიერთი მათგანი შეიძლება, საკუთარ თავს არა „ეთნიკურ უმცირესობად“, არამედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქედ თვლიდეს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული რესპონდენტის ცხოვრებისეული გამოცდილება უნიკალურია, მოცემულ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის ეთნიკური იდენტობისა და გენდერთან დაკავშირებული უსაფრთხოების განსაკუთრებული განსხვავებები არ გამოიკვეთა. გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა ეთნიკური უმცირესობების ქალთა უნიკალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებებზე ორიენტირდება, მიზნად არ ისახავს მათ ეთნიკურ იდენტობაზე დაფუძნებული დაუცველობის (რომელიც ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობების ჯგუფებთან კუთვნილებით წარმოიქმნება) შედარებით ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობების ჯგუფები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან, ეთნიკური უმცირესობების ქალების დაუცველობის გამოცდილებები ხშირად არა აუცილებლად ეთნიკური ელემენტით ყალიბდება, არამედ გენდერით, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, საცხოვრებელი ადგილით ან სექსუალობით. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობა სათანადოდ უნდა შეფასდეს. გენერალიზაციის თავიდან ასარიდებლად, მათი ნარატივების ინტერპრეტირების ნაცვლად, ნაშრომი ვრცელ ციტატებს იყენებს და ქალთა აღქმებს საკითხის ცენტრში ათავსებს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ერთგვაროვან, რეპრესირებულ

---

3 ცნობისთვის იხილეთ Kymlicka, W. (2001), „სამართლიანობა და უსაფრთხოება უმცირესობათა ნაციონალიზმის გადაწყვეტაში: აღმოსავლეთისა და დასავლეთის შედარება“ და Pentassuglia, G (2003),„ევროპის უმცირესობათა უფლებების მართვის მოდელებისა და იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ეს უკანასკნელი სუვერენიტეტის ცვალებად კონცეფციაზე“.

4 აღნიშნული ანგარიშის ავტორი საკუთარ დისერტაციაში, „უსაფრთხოების ქვიარ კვლევა: პოლონეთის ლგბტქ თემის სეკურიტიზაცია და მათი წინააღმდეგობა“, მოწყვლადი ჯგუფების უსაფრთხოებასა და წინააღმდეგობას - როგორც წარმომადგენლობის ინსტრუმენტს შორის პრაქტიკულ და კონცეპტუალურ კავშირს იკვლევს. ხელმისაწვდომია: http://dspace.ut.ee/handle/10062/69872. ზემოხსენებული დისერტაცია მოცემული კვლევის ფართო თეორიული საფუძველია.

ჯგუფებად განხილვა მათი აქტივიზმის, მოღვაწეობისა და ბრძოლის დაკნინება იქნებოდა. გარდა ამისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „უსაფრთხოებაზე საუბარი“ არა მათი სახელით, არამედ მათთან ერთად.

2 კვლევის თეორიული და ემპირიული თავსატეხი

მოცემული ქვეთავი უსაფრთხოების განმარტებით იწყება და კვლევის მთავარი თეორიული და ემპირიული თავსატეხების იდენტიფიცირებით გრძელდება. ამასთან, იგი ლიტერატურაში არსებულ იმ ხარვეზებსაც ასახავს, რომლებიც გენდერულ დაუცველობასა და მარგინალური ჯგუფების მოწყვლადობას ეხება.

უსაფრთხოება წარსულში ხშირად იყო განხილული როგორც „არსებითად სადავო კონცეფცია" (იხ. Gallie 1956), შესაბამისად, თანდათან სხვადასხვა ადამიანებისთვის განსხვავებული მნიშვნელობები შეიძინა. კითხვა, თუ ვისი უსაფრთხოებაა მნიშვნელოვანი, ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი წერტილია უსაფრთხოების ანალიზში და კონცეფციის ირგვლივ არსებულ ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ დისკუსიებს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების მოქმედი განმარტება, ძირითადად, „ძვირფას ღირებულებებზე საფრთხეების შემცირებასთან" (Williams 2011:5) და სასურველი პოლიტიკური და სოციალური ამბიციების განხორციელების შესაძლებლობასთანაა (Booth 2007) დაკავშირებული, არჩევანი, თუ რას გულისხმობს უსაფრთხოება და ვისი უსაფრთხოებაა მნიშვნელოვანი, ღრმად პოლიტიკურია. უსაფრთხოება პოლიტიკური კონცეფციაა იმ გაგებით, რომ იგი უმთავრეს როლს ასრულებს იმის გადაწყვეტაში, თუ როგორ ნაწილდება რესურსები, ვინ არის დაცული და ვინ ან რა მიიჩნევა საფრთხედ (Williams 2011). ამრიგად, საშიშროების განსხვავებული ნარატივები სხვადასხვა კონტექსტში ხანდახან ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ საფრთხისა და დაუცველობის დისკურსებს აყალიბებს.

წინამდებარე კვლევითი ნაშრომი ფემინისტური საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების მთავარ არგუმენტებსა (Enloe 1989; Tickner 1992; 2001; Parpart and Zalewski 2008; Cohn 2012, Gentry et al. 2019) და კოპენჰაგენის სკოლის სეკურიტიზაციის თეორიის პოსტ-სტრუქტურალისტურ კრიტიკას (Wæver 1989; 1995; Buzan et al. 1998) ეფუძნება. მრავალი მკლევარი (Ashley 1989, Tickner 1992, Hansen 2000, Hudson 2008/2009, Weber 2015) საუბრობდა უსაფრთხოების მკვლევართა დუმილის შესახებ გენდერის თემაზე. შეუსწავლელია ის, თუ როგორ აისახება ქალად და ეთნიკურ უმცირესობად ყოფნით გამოწვეული ორმაგი მოწყვლადობა უსაფრთხოების პრობლემების აღქმაზე. ფემინისტური პოზიციიდან ამოსვლით, კვლევა ცდილობს, უსაფრთხოებაზე საუბრისას გენდერული განზომილება შემოიტანოს და ამით, კოპენჰაგენის სკოლის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიტიკული მიდგომის ხარვეზები გადალახოს (იხ. Wæver 1989, Buzan et al. 1998). ამასთან, ადამიანის უსაფრთხოების გენდერული პერსპექტივა აკადემიურ ნაშრომთა მცირე ნაწილშია განხილული, ამიტომ, წინამდებარე კვლევა აღნიშნული მიმართულების გამდიდრებასაც ემსახურება. ამის მიუხედავად, კვლევის მიზანი არა ზემოხსენებული თეორიების გამოყენებისა და ეპისტემოლოგიური საფუძვლების შემოწმებაა, არამედ აღნიშნული თეორიების ანალიტიკურ ინსტრუმენტებად გამოყენება უსაფრთხოების ხელახალი კონცეპტუალიზაციისთვის, რაც მასში მარგინალური ჯგუფების სამიზნე ჯგუფებად ქცევას გულისხმობს. პრაქტიკულ დონეზე, ნაშრომმა რეკომენდაციები შეიმუშავა ინკლუზიური, გენდერულად ინფორმირებული უსაფრთხოების დღის წესრიგის შემუშავებაში ეთნიკური უმცირესობების ქალთა ხმის გასაჟღერებლად და პოლიტიკის იმ მთავარი სფეროების აღმოსაჩენად, რომლებიც გენდერულ დაუცველობაზე ახდენს გავლენას.

ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციის ანალიტიკურ ჩარჩოდ გამოყენებით, წინამდებარე კვლევა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების უსაფრთხოების გამოწვევების გენდერულ განზომილებას განიხილავს. ეს, ამავდროულად, ეხება სეკურიტიზაციის თეორიის ერთ-ერთ ყველაზე სადავო თემას, მეტყველების აქტზე მის ეპისტემოლოგიურ დამოკიდებულებასა (Bigo 2002; Balzacq 2010, 2015) და გენდერის არარსებობას (Hansen 2000, Floyd 2007, Hudson 2009). სეკურიტიზაციის თეორია, რომელიც თავდაპირველად კოპენჰაგენის სკოლამ შეიმუშავა, უსაფრთხოებას მეტყველების აქტთან აკავშირებს, რაც იმას გულისხმობს, რომ სეკურიტიზატორ აქტორებს უსაფრთხოების პრობლემების არტიკულაციისთვის საჭირო რესურსები აქვთ. ამრიგად, მხოლოდ „ავტორიტეტულ" აქტორებს შეუძლიათ, ჩამოაყალიბონ, თუ რა უნდა იყოს დაცული და რა - საფრთხედ აღქმული. შედეგად, კოპენჰაგენის სკოლის დამოკიდებულება მეტყველების აქტის თეორიის შესახებ, უგულებელყოფს იმ მარგინალური მოსახლეობის უსაფრთხოებას, რომლებიც, ხშირად, უხილავები არიან, წვდომა არ აქვთ ოფიციალურ დისკურსებზე და საკუთარ უსაფრთხოებასა და დაუცველობაზე საუბრის შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ (Hansen 2000, 2006). მოცემული კვლევა

მეტყველების აქტის მეორე მნიშვნელოვან შეზღუდვასაც მიმოიხილავს და ამტკიცებს, რომ მარგინალური ჯგუფების გენდერული დაუცველობა ხშირად იდენტობასთან დაკავშრებულ, სხვა პრობლემების ქვეშ თავსდება (Hansen 2000), ანუ გენდერული უსაფრთხოების საკითხები ეთნიკურობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ერწყმის. ეთნიკური უმცირესობების ქალთა დაუცველობის შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის მნიშვნელოვანია „სუბსუმირებული უსაფრთხოების“ პრობლემის აღიარება. კვლევა ეფუძნება ჰანსენის (2000) მიერ კოპენჰაგენის სკოლის კრიტიკას და ხაზს უსვამს სეკურიტიზაციის თეორიის მარცხს, მოიცვას იმ ადამიანთა პრობლემები, რომლებსაც არ აქვთ აგენტობა და დაუცველობასა და საფრთხეებზე საუბრის შესაძლებლობა.

მწირია ემპირიული ლიტერატურა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ქალთა უსაფრთხოების გამოწვევებს ეხება. გარე სამხედრო ფაქტორების სეკურიტიზაციას საფრთხის აღქმის გენდერული ასპექტის უგულებელყოფა მოსდევს. სოციოლოგიური კვლევების გარდა, რომლებიც ქალთა პრობლემებს ეხება (Gamakharia 2015, Jenderedjian and Bellows 2021), საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს კვლევები, რომელიც უმცირესობების უსაფრთხოების გენდერულად განპირობებულ პრობლემებს უსაფრთხოების ლიტერატურასთან მიმართებით სწავლობს. ამჟამად, გენდერსა და უსაფრთხოებას სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციის პროექტი ეხება (მაგ: გაეროს ქალთა ფონდი, Kvinna till Kvinna), თუმცა, აღნიშნული პროექტების უმეტესობა პოსტ-კონფლიქტურ რეგიონებზე ორიენტირდება ან გენდერული თანასწორობის უფრო ფართო თეორიული ჩარჩოს ქვეშ ერთიანდება, რომლის ფარგლებშიც უსაფრთხოების განზომილება ყურადღების მიღმა რჩება. სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების გასაგებად, ზოგიერთმა მკვლევარმა (იხ. Faber and Kaldor 2005) ხაზი გაუსვა ქვემოდან ზემოთ მიდგომების მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით მეტი კვლევის წარმართვის აუცილებლობას. სწორედ ამ ამოსავალი წერტილების გათვალისწინებით, ნაშრომი ქართულ კონტექსტზე ორიენტირდება და ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოებას სეკურიტიზაციისა და ადამიანის უფლებების დისკურსში იკვლევს.

2.1 ანალიტიკური ჩარჩო - ადამიანის უსაფრთხოების გენდერული მეინსტრიმინგი

მოცემული ქვეთავი უსაფრთხოების კვლევების განხილვისას, ზემოხსენებულ ფემინისტურ კრიტიკას ეყრდნობა. ადამიანის უსაფრთხოება (human security) გამოყენებულია როგორც ანალიტიკური გზამკვლევი საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ქალების გენდერული დაუცველობის შესასწავლად. როგორც უკვე ითქვა, უსაფრთხოების კონცეფციის გაფართოება და გაღრმავება - მისი ჰორიზონტალური და ვერტიკალური განვრცობით - ნაყოფიერ საფუძველს ქმნის *ადამიანის უსაფრთხოების* ცნების განსავითარებლად (Hudson 2009: 56). ადამიანის უსაფრთხოების კონცეფცია პირველად დაინერგა და პოპულარიზება გაეწია გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის განვითარების 1994 წლის ანგარიშში (UNDP 1994). ანგარიშმა, სახელად „ადამიანის უსაფრთხოების ახალი ასპექტები“, უსაფრთხოების ანალიზის ფარგლები ცნება გააფართოვა და სახელმწიფოებისა და ტერიტორიების დაცვაზე წინ ადამიანების უსაფრთხოება დააყენა. ანგარიში ამტკიცებდა, რომ ადამიანის უფართხოება ხალხზე მორგებული მიდგომაა და *„ეხება იმას, თუ როგორ ცხოვრობენ და სუნთქავენ ადამიანები საზოგადოებაში, რამდენად აქვთ არჩევანის თავისუფლება და წვდომა ბაზარსა და სოციალურ შესაძლებლობებზე“* (1994).

როგორც ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომა, ადამიანის უსაფრთხოება კვლევის ცენტრში ინდივიდს აყენებს. მისი ორი მთავარი კომპონენტი: „თავისუფლება შიშისგან“ და „თავისუფლება სურვილისგან“, სამხედრო სფეროს მიღმა არსებული უსაფრთხოების გამოწვევებისადმი ამახვლებს ყურადღებას. შესაბამისად, ის ორიენტირდება უსაფრთხოების საკითხების მრავალსექტორულ გაგებაზე, მათ შორის ეკონომიკურ, სასურსათო, ჯანდაცვის, გარემოს, პირად, თემის და პოლიტიკურ დაუცველობაზე. წინამდებარე ანგარშში მიმოხილული არ არის თემისა და გარემოსდაცვის უსაფრთხოება. კვლევაში თემის უსაფრთხოება ცალკე ქვეთავად არ არის განხილული, რადგან ნაშრომის ფარგლებში ანალიზის ძირითადი საგანი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების უსაფრთხოებაა, რაც თავისთავად თემსაც წარმოადგენს. გარემოსდაცვითი უსაფრთხოება ანალიზიდან ორი მიზეზის გამოა გამოტოვებული: ერთი, რესპონდენტები მას უსაფრთხოების მნიშვნელოვან პრობლემად არ მიიჩნევდნენ და მეორე, ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფების მონაცემებზე დაყრდნობით, არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი არგუმენტი, რაც გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სექტორში ეთნიკური უმცირესობის ქალთა სპეციფიკური საჭიროებების პრობლემურობას დაადასტურებდა.

მოცემულ ნაშრომში ადამიანის უსაფრთხოების კონცეფცია ქოლგა ტერმინის სახითაა გამოყენებული და არც განმსაზღვრელია, არც - ყოვლისმომცველი (Gomez and Gasper 2013). პრაქტიკაში, კონცეფცია ჰუმანიტარულ-განვითარება-მშვიდობის ჯაჭვზეა ორიენტირებული, მთავარი ყურადღება კი მდგრად განვითარებას, სიღარიბის, შიმშილისა და დაავადებებისგან თავისუფლებასა და ადამიანის ძირითადი საჭიროებების ხელმისაწვდომობას ეთმობა. იმის მიუხედავად, რომ გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის უსაფრთხოების შესახებ მიდგომა პრაქტიკაში მოწყვლადი თემების მხარდაჭერაში გამოიხატება, იგი, ასევე, კრიტიკის საგანია გენდერული და, განსაკუთრებით, ქვიარ პერსპექტივების ნაკლებობის გამო (Parveen et al. 2014). უკანასკნელ წლებში გაეროს განვითარების პროგრამაზე მომუშავე პრაქტიკოსებმა გენდერულ პერსპექტივასთან დაკავშირებული კრიტიკის გათვალისწინება სცადეს და დროსთან ერთად, ადამიანის უსაფრთხოების კუთხით გენდერულად მგრძნობიარე და გაცნობიერებული ანალიტიკური ჩარჩოს შემუშავება დაიწყეს (Jolly and Ray 2006). ადამიანის განვითარების ზოგიერთ ეროვნულ ანგარიშში აისახა, რომ ქალების მიერ განცდილი უსაფრთხოების პრობლემები ფუნდამენტურად განსხვავებულია (Jolly and Ray 2006). გენდერუ-

ცხრილი 1
ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩო

უსაფრთხოების სფეროები	ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩო
პირადი უსაფრთხოება	ადამიანის უფლებების სამართლებრივი დაცვა, მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება
ეკონომიკური უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა და სერვისებზე წვდომა (ტრანსპორტი, წყალი, ელექტროობა), დასაქმების შესაძლებლობები, განათლებაზე წვდომა
სასურსათო უსაფრთხოება	საკვებზე ხელმისაწვდომობა
ჯანდაცვის უსაფრთხოება	ჯანდაცვასა და სერვისებზე წვდომა, სანიტარული დაწესებულებები, დაავადებათა თემზე მორგებული პრევენცია
გარემოს უსაფრთხოება	ჯანსაღი ფიზიკური გარემო, დაბინძურება, საშიში ნივთიერებებისგან დაცვა
თემის უსაფრთხოება	თემის იდენტობის ღიად დაცვა, ქალთა ჩაგვრისა და არასათანადოდ მოპყრობისგან დაცვა, დისკრიმინაციისგან დაცვა
პოლიტიკური უსაფრთხოება	საბაზისო პოლიტიკური უფლებების დაცვა, სახელმწიფო ჩაგვრისგან, არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციისგან დაცვა, კარგი მართვისა და დაცვისათვის ინსტიტუტებისა და პრაქტიკების ჩამოყალიბება

ეფუძნება გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშს (1994: 22–40)

ლმა მიდგომამ კი ძალაუფლებისა და კონტროლის გადანაწილებაზე ფოკუსირებისთვის მიზნად კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმების დე-სეგრეგირება დაისახა (2006: 6). ამ ტენდენციის წყალობით, ადამიანის უსაფრთხოების გენდერული მიდგომის ფარგლებში კითხვები წარმოიშვა იმის შესახებ, თუ ვინ იყო დაზარალებული და როგორ და რა სპეციფიკური დაცვა ან დახმარება სჭირდებოდათ საზოგადოების უფრო მოწყვლად ჯგუფებს.

კრიტიკის მეორე ნაწილი აკადემიური თეორიისა და კონცეფციის პრაქტიკული იმპლემენტაციის ნაკლებობას ეხება. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის უსაფრთხობის კონცეფცია, როგორც პოლიტიკის შემუშავების ერთ-ერთი მიდგომა, აკადემიის მიღმა დაინერგა (Floyd 2007), საფრთხის არტიკულირების ქვემოდან ზემოთ მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში სისტემური თეორიული და ანალიტიკური მიდგომები დღემდე არ შემუშავებულა. იმის მიუხედავად, რომ ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩო ადამიანზე ორიენტირებულ მიდგომად ითვლება, პრაქტიკაში, იგი პოლიტიკის ჩარჩოსთვის ორმაგ მიდგომას იყენებს და დაცვისა და ემანსიპაციის ასპექტებს ეყრდნობა (Floyd 2007). ერთი მხრივ, დაცვაში ზემოდან-ქვემოთ მიდგომა იგულისხმება და კარგი მმართველობის, ინსტიტუტებისა და დამცავი ინსტრუმენტების შექმნას აერთიანებს, ხოლო, მეორე მხრივ, ემანსიპაცია ინდივიდების, როგორც მათივე უსაფრთხოების პრობლემებისა და საჭიროებების განსმსაზღვრელი აქტორების მნიშვნელოვანი როლის გათავისებას ემსახურება (OCHA 2009: 8-9). ემანსიპაციისადმი სწრაფვა პრაქტიკაში რთული შესასრულებელია, რადგან ადამიანის უსაფრთხოების გამოწვევებს ეროვნული მთავრობები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები წყვეტენ, ადამიანზე მორგებული მიდგომა კი ყოველთვის არ გამოიყენება (Owen 2004: 384). სწორედ ამის გამო, ჰოხენსენი და სთუვოი (2006) თვლიან, რომ ადამიანის უსაფრთხოება კვლავ ზემოდან-ქვემოთ მიდგომებით ხორციელდება და მარგინალური ჯგუფების უსაფრთხოება იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც სხვა შემთხვევაში „უსაფრთხოდ“ ითვლება, იგნორირებულია (2006 :209). ზემოთ მიმოხილულ კრიტიკაზე საპასუხოდ, წინამდებარე კვლევა ორმაგ მიდგომას იყენებს. ერთი მხრივ, ის ეყრდნობა ზემოდან ქვემოთ მიდგომას, რათა გაანალიზოს ოფიციალური დოკუმენტები და ექსპერტებისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების ნარატივები, ხოლო მეორე მხრივ, იყენებს ქვემოდან ზემოთ მიდგომას და აზერბაიჯანული და სომხური ეთნიკური წარმომავლობის მქონე ორმოცდარვა ქალის პერსპექტივებს წარმოაჩენს.

3 მეთოდოლოგია

3.1 საკვლევი კითხვები

საკვლევი კითხვები ორ სხვადასხვა, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ ნაწილადაა დაყოფილი. პროექტის ფარგლებში განხილულია: 1) რა საფრთხეებს განიცდიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები და რას აღიქვამენ უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად საქართველოში? და 2) როგორ შეიძლება მათი ხმების გათვალისწინება გენდერულად ინფორმირებული უსაფრთხოების დღის წესრიგის შემუშავებაში?

კვლევის პირველი კითხვის გასარკვევად შემდეგი ქვეკითხვები ჩამოყალიბდა:

- რას მიიჩნევენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები მათი უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად და როგორ ესმით უსაფრთხოების საკითხი?
- რა გამოცდილება აქვთ ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოში მოცემულ საკითხებთან მიმართებით?
- მათი აზრით, როგორ მართავს სახელმწიფო აღნიშნულ პრობლემებს?
- რა ხედვები აქვთ უსაფრთხოების დომინანტური ნარატივების, მაგალითად, რეგიონში ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ?
- რა სტრატეგიებსა და მექანიზმებს იყენებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები საკუთარი დაუცველობის გამოსახატად?
- რა ბარიერებს აწყდებიან ისინი უსაფრთხოების დისკურსთან წვდომისას?

Tბოლო ორი ქვე-კითხვა იმ სტრატეგიებსა და მექანიზმებზე ორიენტირდება, რომლებსაც ქალები იყენებენ, რათა წარმოდგენილნი იყვნენ უსაფრთხოების დღის წესრიგში და, ასევე, იმაზე, თუ როგორ ჟღერდება მათი ხმები. მოცემულ კვლევაში უარყოფილია მეტყველების აქტისადმი კოპენჰაგენის სკოლის ეპისტემოლოგიური დამოკიდებულება და აქცენტი პრაქტიკაზე (მაგალითად, აქციებზე, პროტესტებზე, წინააღმდეგობის მდუმარე ფორმებზე) კეთდება.

მონაცემთა ემპირიული კვლევის პარალელურად, კვლევის კითხვათა მეორე ნაწილი სფეროს ექსპერტებთან კომუნიკაციით სრულდება. ამის საშუალებით დეტალურად გაანალიზდა, თუ რამდენად შესაძლებელია, უსაფრთხოების თეორიული ჩარჩო ინკლუზიური იყოს იმ ჯგუფებისადმი, რომლებსაც საჯარო და პოლიტიკურ დისკურსთან წვდომა ნაკლებად აქვთ.

- რამდენად მოიცავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საკვანძო კონცეპტუალური დოკუმენტები ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოს? რა არის ეთნიკური უმცირესობებისა და გენდერთან დაკავშირებით მთავარი ძლიერი და სუსტი მხარეები?
- მარგინალური ხმების უსაფრთხოების დღის წესრიგში ინკლუზიის რა კარგი პრაქტიკები არსებობს? ამჟამად რა არხებია საქართველოში უსაფრთხოების დღის წესრიგში გენდერული საკითხების ინკლუზიისთვის?

საკვლევ კითხვებზე ინფორმაციის მოძიება პარალელურად მიმდინარეობდა. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის ქალთა დაუცველობის გენდერული დისკურსის თეორიულ დონეზე შესასწავლად, ადამიანის უსაფრთხოება კვლევაში ანალიტიკურ ჩარჩოდაა გამოყენებული. კვლევის მეორე კითხვაზე პასუხის გასაცემად ნაშრომი სეკურიტიზაციის თეორიასა და მის ფემინისტურ კრიტიკას იყენებს.

3.2 მეთოდები და მონაცემთა შეგროვება

კვლევაში გამოყენებულია ინტერპრეტაციული მიდგომა, რაც კვლევის სუბიექტებს - ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ქალებს, ყურადღების ცენტრში აქცევს. კონტექსტის უკეთ გასაგებად და საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად მონაცემები ორ ეტაპად შეგროვდა. პირველადი მონაცემები ფოკუსჯგუფებისა და პირისპირი ინტერვიუების საშუალებით შეჯამდა და დოკუმენტების მიმოხილვით გამდიდრდა. მონაცემთა ანალიზი კრიტიკულ ემანსიპატორულ ხედვას დაეფუძნა. შესაბამისად, კვლევა ხაზს უსვამს სოციო-პოლიტიკურ უსამართლობას და აღიარებს ეთნიკური უმცირესობების პოტენციალს -

გახდნენ ცვლილებების გამტარებელი აგენტები.

პროექტის ფარგლებში სულ ექვსი ფოკუსჯგუფი ჩატარდა, რომელშიც ორმოცდარვა ქალი მონაწილეობდა. ორ-ორი ფოკუსჯგუფი ჩატარდა თითო შერჩეულ ლოკაციაზე: მარნეულში, ახალქალაქსა და თბილისში. მარნეული და ახალქალაქი მაღალი ეთნიკური უმცირესობების პროპორციული მაჩვენებლის გამო შეირჩა, ხოლო თბილისი უსაფრთხოებისა და დაცულობის განსხვავებული გამოცდილებების შედარების საშუალებას გვაძლევს. სამი ფოკუსჯგუფი ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებთან ჩატარდა - ორი მარნეულში და ერთი - თბილისში. ანალოგიურად, სამი ფოკუსჯგუფი ჩატარდა სომეხ ქალებთანაც - ორი ახალქალაქში და ერთიც თბილისში. ორი ფოკუსჯგუფი 18-29 ასაკობრივ ჯგუფს დაეთმო, ორი - 30 და მეტი ასაკის ქალებს, ხოლო დანარჩენი ორი - შერეულ ასაკობრივ ჯგუფებში ჩატარდა.

რვა პირისპირი ინტერვიუ შედგა ძირითად ინფორმანტებთან: ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველის რეგიონულ ოფისებთან და საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლებთან. ფოკუსჯგუფები და ინტერვიუები მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობით ჩაიწერა, შემდეგ კი ჩანაწერების ტრანსკრიპტები შეიქმნა. არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები ზუმის (Zoom) ონლაინ პლატფორმის საშუალებით ჩატარდა.

ფოკუსჯგუფების დისკუსიებისა და ექსპერტებთან ინტერვიუების ჩატარებამდე, კვლევის გუნდმა თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის ნახევრად სტრუქტურირებული კვლევის გზამკვლევი შეიმუშავა. კითხვები ზოგადი იყო და მონაწილეებს საშუალებას აძლევდა, პასუხები საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაეცათ. დისკუსიების განმავლობაში, მონაწილეებს საკუთარი აზრებისა და დამოკიდებულებების ახსნა შეეძლოთ. ამასთან, ღია კითხვები საშუალებას აძლევდა მოდერატორებს, ყურადღება საკვანძო კითხვებზე მიემართათ და, ამასთან, რესპონდენტებისთვისაც მიეცათ შესაძლებლობა, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები განეხილათ.

კვლევის ფარგლებში, საკითხის კონტექსტუალიზაციისა და უსაფრთხოების გენდერული განზომილების იურიდიული და ნორმატიული ჩარჩოების შესასწავლად, საჯაროდ არსებული ინფორმაცია გაანალიზდა. ეს მოიცავდა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი კონცეპტუალური დოკუმენტებისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრი სამინისტროებისა და სააგენტოების ვებ-გვერდებზე მოცემული საჯარო ინფორმაციის ანალიზს. ინფორმაცია აღებულია თავდაცვის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროების, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და თავდაცვის ძალების ვებ-გვერდებიდან.

ცხრილი 2
ფოკუსჯგუფების მახასიათებლები და რაოდენობები

	ეთნიკურად სომეხი უმცირესობის წარმომადგენელი ქალები			ეთნიკურად აზერბაიჯანელი უმცირესობის წარმომადგენელი ქალები		
ადგილმდებარეობა / ასაკი	18-29	30 და ზემოთ	შერეული ასაკობრივი ჯგუფი	18-29	30 და ზემოთ	შერეული ასაკობრივი ჯგუფი
თბილისი			1			1
მარნეული				1	1	
ახალქალაქი	1	1				

3.3 შერჩევა და მონაცემთა ანალიზი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევა, რომლის საშუალებითაც კვლევის მონაწილეთა შერჩევა, მიზნობრივად, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე ხდება. შერჩევა მოიცავდა საქართველოს უმცირესობებით დომინირებულ ადგილებსა (ჯავახეთი და ქვემო ქართლი) და თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელ და სომეხ ქალებს. ზოგადი კრიტერიუმი იყო, რომ მონაწილეებს საკუთარი თავი ეთნიკურ უმცირესობად მიეჩნიათ; ასევე, გამოიყო ორი კრიტერიუმი - ადგილმდებარეობა და ასაკი.

მონაცემთა ანალიზი თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდით განხორციელდა, რომელიც კონვენციურ და მიზნობრივ მიმართულებებს აერთიანებდა. ერთი მხრივ, ანალიზი დაეყრდნო დედუქციურ მიდგომას და პირველადი საკვანძო საკითხები (პოლიტიკური, პირადი, ეკონომიკური, თემისა და ჯანდაცვის უსაფრთხოება) ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოს მეშვეობით შემუშავდა. ანალიტიკური ჩარჩოს დედუქციურმა გამოყენებამ მთავარი ყურადღება კვლევის კითხვებზე გადაიტანა. მეორე მხრივ, კი კვლევა დაეყრდნო ინტერპრეტაციულ ინდუქციურ მიდგომასაც, რამაც შესაძლებელი გახადა, მიღებული შედეგებიდან ახალი, წინასწარ განსაზღვრული თემებისგან განსხვავებული, შინაარსების გამოტანა. კონვენციური და მიზნობრივი მიდგომების ერთობლივმა გამოყენებამ კვლევის გუნდს თითოეული მეთოდის სუსტი მხარეების დაბალანსების შესაძლებლობა მისცა.

3.4 სანდოობა და ეთიკის საკითხები

კვლევაში ინტერპრეტაციული მიდგომაა გამოყენებული და იგი ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობების ქალთა საფრთხისა და უსაფრთხოების ყოველდღიურ გამოცდილებებზე ფოკუსირდება. შესაბამისად, შედეგების სანდოობა გამყარებულია მათთან უშუალო კავშირით. მათი ნარატივების გენერალიზაციის თავიდან ასარიდებლად ანგარიშში პირდაპირი ციტატები მოვიშველიეთ.

კვლევისთვის პრიორიტეტული იყო ეთიკური პრინციპები, რაც კვლევის მონაწილეთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვას გულისხმობს. ინტერვიუს ჩატარებამდე ყველა მონაწილემ მარტივ ენაზე შემუშავებული მოკლე ინფორმაცია მიიღო კვლევის შესახებ, სადაც ახსნილი იყო, რატომ ტარდებოდა კვლევა და რა საკითხებს მოიცავდა იგი. მითითებული იყო, აგრეთვე, რომ რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა ნებისმიერ დროს შეეძლოთ, მიზეზის აუხსნელად კვლევის მიზნების გაცნობის შემდეგ, რესპონდენტებმა კვლევაში მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობა განაცხადეს. მონაცემებიდან ამოვიღეთ ყველა შესაძლო იდენტიფიკატორი და მონაწილეთა კონფიდენციალურობისთვის სახელები ფსევდონიმებით ჩავანაცვლეთ. კონფიდენციალურია პირისპირი ინტერვიუს რესპონდენტების სახელებიც, კვლევაში მხოლოდ მათი თანამდებობა და გამოცდილების სფეროა მითითებული. მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიშის წერილობითი შეჯამება ყველა მონაწილისთვისაა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, რესპონდენტთა ჯანმრთელობას რომ საფრთხე არ შექმნოდა, ეპიდემოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ყველა ინტერვიუ და ფოკუსჯგუფი დისტანციურად ჩატარდა. რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, მათთვის მოსახერხებელი ადგილიდან ჩართულიყვნენ კვლევაში. იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტს ონლაინ პლატფორმებზე წვდომა არ ჰქონდა, მათ ჩართულობას კვლევის გუნდი ადგილობრივი რეკრუტერის დახმარებით უზრუნველყოფდა.

3.5 კვლევის შეზღუდვები

მოცემული ნაშრომი პირველად საკვლევ დოკუმენტად უნდა აღვიქვათ. მისი მიზანი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალებზე მოპოვებული ინფორმაციის ან იმის გენერალიზება არ არის, თუ როგორ აღიქვამს უმცირესობების ქალთა გენდერულ დაუცველობას უსაფრთხოების სექტორი. კვლევის პირველი ლიმიტი არარეპრეზენტირებულ მასალას უკავშირდება. კვლევა იმ მონაცემებს ეყრდნობა, რომლებიც რესპონდენტებმა სამი მთავარი რეგიონიდან მოგვაწოდეს. შეზღუდული ბიუჯეტისა და დროის გათვალისწინებით, მონაცემები, შესაძლოა, უფრო მეტად ასახავდეს უკეთესი სოციალური კავშირების მქონე ქალების შეხედულებებს და ყურადღების მიღმა ტოვებდეს საკუთარი გენდერული იდენტობის, საცხოვრებელი ადგილისა და ფიზიკური შესაძლებლობების გამო იზოლირებულ ადამიანებს. ამის მიუხედავად, მაქსიმალური ძალისხმევა ჩაიდო, რომკვლევაში მონაწილეობა მოწყვლად ჯგუფებს მიეღოთ. მოცემული კვლევა, შესაძლოა, მიკერძოებული იყოს აქტიური ეთნიკური უმცირესობების ქალთა მიმართაც, რომლებიც კვლევაში მონაწილეობას დათანხმდნენ. შეზღუდული რეპრეზენტაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ენობრივი ბარიერი იყო. კვლევის ფარგლებში ოთხი ფოკუსჯგუფი ქართულად, ორი კი რუსულად ჩატარდა. შესაბამისად, ქალები, რომლებიც მხოლოდ აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე საუბრობდნენ, კვლევაში ვერ ჩაერთნენ. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები რეპრეზენტატული არაა, კვლევა რესპონდენტების გამოცდილებებზე დაყრდნობით მოპოვებულ სიღრმისეულ ინფორმაციას ასახავს, რომლის გამოყენებაც სამომავლო კვლევებში შეიძლება.

კვლევის მეორე მნიშვნელოვანი შეზღუდვა გენდერული დაუცველობის ჰეტერონორმატიული გაგებაა. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ლგბტქ+ ინდივიდებს დაუცველობის განსხვავებული გამოცდილებები აქვთ. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უსაფრთხოების ყოველდღიური პრობლემების ჰეტერონორმატიულობის მიღმა განხილვა მოცემულ ანალიზს უფრო სრულყოფილს გახდიდა. მართალია, მოცემული კვლევა მრავალმხრივ შეზღუდულია და ინტერსექციური ანალიზის სხვადასხვა ასპექტს არ წარმოადგენს, თუმცა იგი საქართველოს უსაფრთხოების გარემოს გენდერული პრობლემატიზაციის პირველად კვლევად მიიჩნევა.

კვლევის მესამე შეზღუდვა უსაფრთხოების სექტორში გადაწყვეტილებების მიმღებთა პერსპექტივის ნაკლებობიდან გამომდინარეობს. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სამინისტროების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელსაც თან დაერთო თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა ინტერვიუები. თუმცა, გარდა ამისა, საინტერესო იქნებოდა, ასევე, მეტად რეპრეზენტატული კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავენ უსაფრთხოების ცნებას და როგორ იყენებენ პრაქტიკაში მას უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულები და მთავარი გადაწყვეტილების მიმღები პირები, და როგორ აღიქვამენ ინტერსექციურობის როლს ინკლუზიური უსაფრთხოების დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში.

.

4 კვლევის შედეგები

4.1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა: დოკუმენტების კრიტიკული ანალიზი

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოების საკითხების კვლევამდე საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ზოგადი ანალიზია საჭირო. ეს მხოლოდ საკვანძო კონცეპტუალურ დოკუმენტებს ფარავს და ყოვლისმომცველი არაა, შესაბამისად, მისი ინტერპრეტაცია სიფრთხილეს მოითხოვს.

საქართველოს უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკა სამი მთავარი ტიპის კონცეპტუალური დოკუმენტისგან შედგება: 1. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; 2. საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი; 3. უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიები.[5] უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკა დეპარტამენტების დონეზე ორგანიზაციული და კონცეპტუალური დოკუმენტების საშუალებით ხორციელდება, მათ შორისაა: დეპარტამენტის კონცეფციები, სტრატეგიები, დოქტრინები და პროგრამები. ეროვნული უსაფრთხოების პო-

ცხრილი 3
ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროები

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროები		
მუხლი 6	სახელმწიფო თავდაცვა	სამხედრო საფრთხეები, შეიარაღებული შეტაკებებისთვის მზადება
მუხლი 7	საგარეო უსაფრთხოება	საგარეო საფრთხეები, სადაზვერვო საქმიანობა, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ქართული დიასპორის დაცვა, არაღიარებისა და დეოკუპაციის პოლიტიკა
მუხლი 8	შიდა უსაფრთხოება	შიდა საფრთხეები, რისკები და გამოწვევები; ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია, ტერიტორიული მთლიანობა, ექსტრემისტულ-ტერორისტული იდეოლოგიისა და საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა
მუხლი 9	სოციალურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება	საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, სასურსათო უსაფრთხოება, პანდემიებისგან და სხვა ბიოლოგიური საფრთხეებისგან დაცვა
მუხლი 10	სამოქალაქო უსაფრთხოება	გარემოსდაცვითი რისკები, საფრთხეები და გამოწვევები, საგანგებო სიტუაციებზე საპასუხო ქმედება
მუხლი11	საინფორმაციო უსაფრთხოება	კიბერ საფრთხეები, კრიტიკული ინფორმაციული სისტემების დაცვა
მუხლი 12	მართლწესრიგი	მართლწესრიგის გაძლიერება, კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესება
მუხლი 13	მართლწესრიგი	

ეფუძნება კანონს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ.

5 კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 3126-II s. თავი II, მუხლი 6-13.

ლიტიკის დაგეგმვის შესახებ კანონი,[6] რომელიც ძალაში 2015 წელს შევიდა, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის (ცხრილი 2) სფეროს განსაზღვრავს და ხაზს უსვამს მის ძირითად ღირებულებებს, მაგალითად, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, თავისუფლებას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, კეთილდღეობას, მშვიდობას.

საინტერესოა, რომ „ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია" შიდა უსაფრთხოების (მუხლი 8) ქვეშ ერთიანდება, რომელიც, თავის მხრივ, შიდა საფრთხეებს, რისკებს, ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ დაძაბულობასა და ექსტრემისტულ-ტერორისტული იდეოლოგიებისა და აქტივობების წინააღმდეგ ბრძოლას მოიცავს. ეროვნული და სამოქალაქო უმცირესობების ინტეგრაცია ნახსენები არაა მეცხრე მუხლში, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ეხება. უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხების მე-8 მუხლში გაერთიანება ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობებისადმი სახელმწიფოს ორმაგ მიდგომას, როდესაც სეკურიტიზაციის დისკურსი და ადამიანის უფლებები ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ამას ფოკუსში შემოაქვს დესეკურიტიზაციისა და სეკურიტიზაციის პრობლემის საკითხი, რაც მომდევნო ქვეთავშია განხილული.

1. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მთავარი დოკუმენტია, რომელიც ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს, ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს განსაზღვრავს. ამასთან, იგი განმარტავს განვითარების ხედვას და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებას ადგენს.[7] უსაფრთხოების არატრადიციული საფრთხეების გაცნობიერება და აღიარება, ასევე, უსაფრთხოების მულტისექტორული გაგება, კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა. იმის მიუხედავად, რომ დოკუმენტი უსაფრთხოების ჰოლისტურ კონცეპტუალიზაციას არ ითვალისწინებს, იგი გაეროს განვითარების პროგრამის უსაფრთხოების მრავალსექტორული ჩარჩოს მთავარ თემებს ეხება. აღნიშნული თემები მოიცავს ეკონომიკურ, სასურსათო, ჯანდაცვის, გარემოსდაცვით, პირად, თემისა და პოლიტიკურ უსაფრთხოებას, რაც დოკუმენტში მოკლედაა ნახსენები. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის კიდევ ერთი ძლიერი მხარე უმცირესობების უფლებების დაცვასა და ინკლუზიურობაზე ორიენტირებაა, რადგან მისი საშუალებით, სახელმწიფო უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციისგან თავისუფალ, პლურალიზმსა და ტოლერანტობაზე დაფუძნებული პრინციპების დაცვის ვალდებულებას იღებს. საქართველოს პრობლემური წარსულის გათვალისწინებით, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისის ეთნიკურ ნაციონალიზმში გამოიხატა, ეროვნული უსაფრთხოების ფუნდამენტურ დოკუმენტში უმცირესობების უფლებების ხსენება დემოკრატიული სახელმწიფოს შენებისადმი სწრაფვას უსვამს ხაზს.

მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალურად, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩოს ძირითად სფეროებს მოიცავს, უსაფრთხოების ფართო გაგების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა საეჭვოა მისივე ზედმეტად არარეალური მოლოდინებისა და შიდა თუ გარე კრიტიკული საფრთხეების უგულებელყოფის გამო (MacFarlane 2012). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა კოორდინაციასა და დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობის ვიწრო არეალია. უშიშროების ეროვნული საბჭოს მუდმივ წევრებს (საქართველოს მთავრობასთან ერთად) პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი და საქართველოს თავდაცვის ძალების სარდალი წარმოადგენენ. საბჭოში შემავალი სამინისტროები კონცეფციით გათვალისწინებული უსაფრთხოების მრავალმხრივი და ადამიანებზე მორგებული მიდგომის ფარგლებში მოქმედებისას შეზღუდულები არიან. მაგალითად, სხვა სამინისტროები (იუსტიციის მინისტრი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, განათლების მინისტრი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ან სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში), რომლებიც ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციით განსაზღვრული საკითხებისადმი რელევანტურები არიან, საბჭოს მუდმივ წევრებს არ წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ხაზი ესმევა უსაფრთხოების მულტისექტორული საფრთხეების შემსუბუქებისადმი მისწრაფებას, პრაქტიკულ დონეზე, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა კვლავაც სახელმწიფოსა და სამხედრო ძალაზე ორიენტირებულ სტრატეგიულ დისკურსად რჩება.

კონცეფციის კიდევ ერთი პრობლემური ასპექტი მისი ფორმულირებაა. საქართველოში მცხოვრები ინდივიდების უსაფრთხოების გარანტიის განხილვისას, კონცეფცია გადამეტებულად იყენებს სიტყვა მოქალაქეს, რაც მიგრანტებს ან მოქალაქეობის არ მქონე ეთნიკურ უმცირესობებს გამორიცხავს. რადგანაც საქართველოში მცხოვრებ ბევრ ეთნიკურ უმცირესობას მოქალაქის სტატუსი არ აქვს, მათი პრობლემები დაუფიქსირებელი რჩება. უსაფრთხოების კონცეფციის მეტი ინკლუზიურობისთვის, სიტყვა მოქალაქე ინდივიდით ან ადამიანით, შეიძლება, შეიცვალოს.

2. საფრთხის შეფასების დოკუმენტი,[8] ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისგან განსხვავებით, ცალსახად სახელმწიფოზეა ორიენტირებული. დოკუმენტის კონფიდენციალური ნაწილი ბოლოს 2015 წელს განახლდა. პირველი ორი ვერსია (2007-2009 და 2010-2013) არაკონფიდენციალურ ელემენტებსაც შეიცავდა, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის იყო ხელმისაწვდომი. დოკუმენტის მანამდე ხელმისაწვდომი არაკონფიდენციალური ვერსია არ ეხება იმ საფრთხეებს, რომლებიც ეროვნული

6 იგივე.

7 კანონი ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" დამტკიცების შესახებ, დოკუმენტის ნომერი: 1895. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0. მოძიებულია 03/08/2021.

8 საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, ნომერი: 707. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032959?publication=0

უსაფრთხოების კონცეფციაში მითითებულ უსაფრთხოების ფართო გაგებას ეხება და მხოლოდ გარე, ტერიტორიულ და სამხედრო საფრთხეებზე ორიენტირდება.

3. ეროვნული სტრატეგიები უსაფრთხოების დარგში
ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დაგეგმვისა და მართვის კანონში განსაზღვრული არ არის. უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრი სამინისტროების დეპარტამენტების სამოქმედო გეგმები და ეროვნული სტრატეგიები აღნიშნული ნაშრომის ფარგლებს სცდება, რადგან დეპარტამენტების დოკუმენტები იმპლემენტაციაზეა ორიენტირებული და არა უსაფრთხოების კონცეპტუალიზაციაზე და მისი ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაზე.

კითხვის ნიშნის ქვეშ დგას რამდენად აღიქვამენ კონვენციური უსაფრთხოების აქტორები გენდერულ ძალადობას უსაფრთხოების საკითხად. ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს N1325 რეზოლუციით განსაზღვრული ვალდებულებების აღებით და ამასთან, გენდერული თანასწორობა ნახსენებია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც. მეტიც, მაგალითად, 2014 წელს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, სხვა თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად, გენდერული თანასწორობის სტრატეგიაც მიიღო, რითაც გენდერული ინტეგრაციის ვალდებულება აიღო და გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი შექმნა. მონიტორინგის ჯგუფი გაეროს უშიშროების საბჭოს № 1325 რეზოლუციის შესახებ ცნობადობის ზრდის კოორდინაციას ისახავს მიზნად, გამოყოფს გენდერთან დაკავშირებულ მონაცემებს და სამუშაო ადგილზე დისკიმინაციის პრევენციას უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი შესამჩნევია, აღნიშნული ვალდებულებების პრაქტიკულ დონეზე უშუალო იმპლემენტაციის შეფასება ძალიან რთული იქნებოდა, რადგან ვალდებულებების ინდიკატორები ზედმეტად ზოგადია და ხშირად ადგილობრივ კონტექსტზე არაა მორგებული. ამასთან, სამოქმედო გეგმის შესრულების შემფასებელი დოკუმენტები ან ხელმისაწვდომი არაა, ან - მოძველებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიტიკის დაგეგმვასა და იმპლემენტაციაში გენდერული პერსპექტივის მოცვის მიზნით პოზიტიური ნაბიჯები გადადგა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა. „ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნის მთავარი მიზანი იყო, რომ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლა სამინისტროს პრიორიტეტულ სფეროდ ჩამოყალიბებულიყო. ერთი მხრივ, პრევენცია, და მეორე მხრივ - ეფექტური გამოძიება“ (ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი, შსს).

გარდა ამისა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უსაფრთხოების სექტორსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალების წარმომადგენლობის ზრდის ვალდებულება აიღეს. 2019 წლის მონაცემებით, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, კაცებთან შედარებით, თავდაცვის სამინისტროში 32%, შინაგან საქმეთა სამინისტროში კი - 3%-ია. ამის მიუხედავად, ქალების რეპრეზენტატულობის ზრდაზე საუბრისას, აუცილებელია სიფრთხილის დაცვა უბრალო ტოკენიზმსა და უსაფრთხოების სექტორში ნამდვილი ფემინიზმით შთაგონებულ ტრანსფორმაციას შორის განსახვავების დასანახად. ტოკენიზმის ერთ-ერთი ფორმაა, როცა მთავრობები სამხედრო ძალებში ან უფროს პოზიციებზე ქალების პროპორციის ზრდას ცდილობენ. ამ შემთხვევაში, საჭიროა კითხვა, აღნიშნულ ნაბიჯს რეალურად მოჰყვება თუ არა გენდერულად მგრძნობიარე გადაწყვეტილებების მიღება და უწყობს თუ არა ხელს გენდერულ თანასწორობას? ტოკენიზმის კიდევ ერთი ფორმაა უსაფრთხოების ინსტიტუტებში ცალკეული გენდერული ზედამხედველობის ორგანოების შექმნა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართვის გარეშე. მართალია, გენდერული ზედამხედველობის ორგანოებმა, შესაძლოა, გადამწყვეტი როლი ითამაშონ გენდერული პერსპექტივის წამოწევაში, მაგრამ ეს, ამავდროულად, ინსტიტუტებში გენდერულად ინფორმირებული პოლიტიკის შემუშავების პროცესების არ არსებობის შესანიღბად გამოიყენონ; ასევე - ქალთა წარმომადგენლობის ზრდისკენ მიმართულმა ზედაპირულმა რაოდენობრივმა მიდგომებმა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ცრუ წარმოადგენა შექმნას.

შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებისგან განსხვავებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს) ექსკლუზიურად რჩება სახელმწიფოზე ორიენტირებული. გარდა ამისა, სრულად კაცებისგან შედგება უფროსი პერსონალი[9] და ხელმისაწვდომი ნორმატიული აქტებიდანაც გენდერულ პერსპექტივას არც ერთი მოიცავს.[10] სუს-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მთავარ აქტივობებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა, ბრძოლა, ერთაშორისი ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.[11] იმის მიუხედავად, რომ სუს-ის თქმით, მისი „ქმედებები ისეთი ფორმით ხორციელდება, რომ დაცული იყოს როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოება, ისე ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები[12] არ აჩვენებს ინდივიდების უსაფრთხოების რეფერანტ ობიექტებად ჩართვის დამადასტურებელ ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არა მხოლოდ გენდერის, არამედ ადამიანის უსაფრთხოების საკითხების მნიშვნელობასაც უგულებელყოფს როგორც

---

9 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, უფროსი და მოადგილეები. მოძიებულია 2021 წლის 3 ოქტომბერს: https://ssg.gov.ge/page/aboutus/head

10 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ინფორმაცია/ნორმატიული აქტები. მოძიებულია 2021 წლის 3 ოქტომბერს: https://ssg.gov.ge/page/info/normative-acts

11 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ჩვენ შესახებ. მოძიებულია 2021 წლის 3 ოქტომბერს: https://ssg.gov.ge/page/aboutus/info

12 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშები (2020, 2019, 2018, 2017). ხელმისაწვდომია: https://ssg.gov.ge/page/info/reports

პრაქტიკულ, ისე კონცეპტუალურ დონეებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მრავალი ხარვეზის მიუხედავად, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია შედარებით წარმატებულია უსაფრთხოების მნიშვნელობის კონცეპტუალურად გაფართოებაში, გენდერული თანასწორობისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებების ასახვაში. შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები, ასევე, აჩვენებს მზარდ ტენდენციას უსაფრთხოების პოლიტიკის ქვეშ სხვადასხვა არატრადიციული საფრთხეების გააზრებისკენ. მართალია, ეთნიკური უმცირესობის ქალთა ორმაგი მოწყვლადობის გადასაჭრელად სპეციალური თეორიული ან პრაქტიკული ჩარჩო არ არსებობს, შინაგან საქმეთა სამინისტროში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო ხდება. ამის მიუხედავად, კვლავ პრობლემატურია უსაფრთხოების გაგების გაღრმავება, რადგან უსაფრთხოების მთავარ რეფერენტ ობიექტად კვლავაც სახელმწიფო რჩება. ასევე, უსაფრთხოების ამჟამინდელი გაგება არ ითვალისწინებს ინდივიდებისა და მარგინალური ჯგუფების პრობლემების გააზრებას.

და მაინც, უნდა აღინიშნოს არსებული პროგრესი და საერთაშორისო ორგანიზაციებმა კვლავაც უნდა გააგრძელონ საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერა, რათა ის უფრო მოქნილი გახდეს ინკლუზიური, გენდერულად ინფორმირებული და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისადმი. უსაფრთხოების სრულად ინკლუზიური დღის წესრიგის შემუშავებისთვის აუცილებელია ანალიზის დაბალი საფეხურისკენ სვლა და ინდივიდების მთავარ რეფერენტ ობიექტებად ჩართვა. ამასთან, მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტზე არსებული უსაფრთხობის პოლიტიკის ზეგავლენის უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია პოლიტიკისა და ინიციატივების რეგულირების გავლენისა და გენდერული გავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზება. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ უსაფრთხოების სექტორი ქალთა წარმომადგენლობაზე ფოკუსირდეს. უსაფრთხოების სექტორში ქალთა წარმომადგენლობის გაძლიერება ხელს შეუწყობს მათი დაუცველობის გამოცდილებების უკეთ აღქმას და დაეხმარება უსაფრთხოების სექტორს, გასცდეს ომისა და მშვიდობის, კაცებით დომინირებულ ლიმიტირებულ დისკურსს, ინტერპრეტაციას. გარდა ამისა, სხვადასხვა წარმომავლობის ქალების ინკლუზიურმა ჩართვამ, შესაძლოა, ფორმალური და არაფორმალური დიპლომატიური პროცესების საშუალებით, კონფლიქტების დეესკალაციას შეუწყოს ხელი.

4.1.1 დესეკურიტიზაციის შესაძლებლობა - საფრთხის აღქმის ისტორიული ნარატივები

ეს თავი ეთნიკური უმცირესობების სეკურიტიზაციას, მათ პოტენციურ საფრთხედ წარმოჩენის საშიშროებას განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ დესეკურიტიზაცია, შეიძლება, ოპტიმალური ეთიკური არჩევანი ჩანდეს, ნაშრომში განხილულია, რომ უსაფრთხოების დღის წესრიგში ეთნიკური უმცირესობების პრობლემების სასწრაფო ინკლუზიისთვის დესეკურიტიზაციამ, შესაძლოა, მათი პრობლემების წარმოჩენა შეაფერხოს. პირიქით, აუცილებელია საფრთხის დისკურსიდან ყურადღების გადატანა ადამიანის უფლებების დისკურსზე, თუმცა, ამავდროულად, უნდა შენარჩუნდეს უსაფრთხოების კონცეპტუალური ენა.

როგორც წინა თავში აღინიშნა, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ კანონი უმცირესობათა საკითხებს სხვა პოტენციურ შიდა საფრთხეებთან ერთად ჩამოთვლის, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფოს ორმაგ მიდგომას ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. რისკსა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები კვლავ განაგრძნობს დისკურსულ ან არადისკურსულ დონეზე, უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკის მეშვეობით თანაარსებობას. შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობების სეკურიტიზაცია არა მეტყველების აქტში, როგორც ეს ორიგინალ სეკურიტიზაციის თეორიაშია მითითებული (Buzan et al. 1998), არამედ უსაფრთხოების ინსტიტუციების მიერ შემუშავებულ რისკის შეფასების ინსტიტუციურ ჩარჩოებში გრძელდება (იხ. Bigo 2002). სეკურიტიზაციის ეს ფარული დისკურსი მხოლოდ ხანდახან, ოფიციალური დოკუმენტების კრიტიკული ანალიზისას ჩნდება. წარმოდგენილი ქვეთავი ეთნიკური უმცირესობების სეკურიტიზაციას საფრთხის აღქმის არა დისკურსული, არამედ ინსტიტუციონალიზებული ჩარჩოების მეშვეობით იკვლევს.

ეთნიკური უმცირესობების საკითხების რისკზე დაფუძნებული უსაფრთხოების პრიზმიდან განხილვა მათ არაპოლიტიზირებულ, გაძლიერებაზე ორიენტირებულ უსაფრთხოების დღის წესრიგში ჩართვას აფერხებს. სხვადასხვა მკვლევარებმა უპირატესობა დესეკურიტიზაციას მიანიჭეს, როგორც უსაფრთხოების პრობლემების მართვის უფრო ეფექტურ მიდგომას (Wæver 1995; Huysmans 1998; Grayson 2003). მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრები დესეკურიტიზაციის მნიშვნელობაზე ვერ თანხმდებიან, იგი, ძირითადად, მანამდე უსაფრთხოების პრობლემებად აღქმული თემებიდან „უსაფრთხოების“ წაშლას გულისხმობს. ვეივერი (2000: 53) დესეკურიტიზაციის სამ შესაძლო სტრატეგიას გამოყოფს: პირველი, უბრალოდ, ეთნიკური უმცირესობების საკითხების უსაფრთხოების კუთხით განხილვის შეზღუდვაა; მეორე სტრატეგია უსაფრთხოების საკითხების იმგვარად მოგვარებას უკავშირდება, რომ საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შფოთვები არ გააძლიეროს. ეს სტრატეგია განსაკუთრებით რელევანტურია უმცირესობების იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებშიც იდენტობის პოლიტიკა და „სხვად ყოფნა“ გადამწყვეტია უსაფრთხოების დილემის ფორმირებაში (იხ. Roe 2002); მესამე კი უსაფრთხოების პრობლემების კვლავ „ჩვეულებრივი პოლიტიკის“ სფეროში დაბრუნებას ანიჭებს უპირატესობას.

საფრთხედ მიჩნეული უმცირესობების დესეკურიტიზაციის მიზნით, პირველ რიგში, გამოსაკვლევია, როგორ მუშაობს სეკურიტიზაცია. კოპენჰაგენის სკოლის მიერ თავდაპირველად განხილული სეკურიტიზაციის დისკურსული ფორმებისგან განსხვავებით, ორგანიზაციულ

პრაქტიკებში ჩაბეჭდილი ლატენტური სეკურიტიზაციის ჩარჩოები ემპირიულად უფრო რთულად დასაკვირვებელია. ინსტიტუციური სეკურიტიზაცია „უსაფრთხოების პროფესიონალების“ ჰაბიტუსში ნარჩუნდება და ზიარდება (Bigo 2002: 66), რაც გარდაუვლად ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების სეკურიტიზაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრაქტიკაში, უსაფრთხოების პროფესიონალები კონკრეტული ჰაბიტუსებით - ჩაბეჭდილი წინასწარგანწყობებით სოციალიზდებიან, რაც განსაზღვრავს მათ ქცევებს, გადაწყვეტილებებსა და იდენტობას და საფრთხეებისა და მოწყვლადობის კონკრეტული შეფასებისკენ მიმართავს მათ (იხ. Bourdieu 1977, 1984).

ექსპერტებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში საქართველოს უსაფრთხოების სექტორს რისკზე დაფუძნებული დამოკიდებულება აქვს. ექსპერტების მიხედვით, პრაქტიკულ დონეზე, ეთნიკური უმცირესობები უფრო მეტად საფრთხედ აღიქმებიან, ვიდრე მოწყვლად ჯგუფებად, რომელთაც დაცვა სჭირდებათ. უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა განხილულია როგორც მყისიერი საფრთხე, რომელიც სწრაფ რეაგირებას მოითხოვს. თუმცა, ზოგიერთ კონტექსტში საფრთხეები განმარტებულია როგორც „დაუცველობები“ - სამომავლო რისკები, რომლებიც კონკრეტულ დროს ეგზისტენციურ საფრთხეს არ წარმოადგენს და მყისიერ პოლიტიკის პასუხებს არ საჭიროებს (Grayson 2003: 339). ამ არგუმენტის მიხედვით, ექსპერტების აზრები გარკვეულად ემთხვევა დაშვებას, რომ საქართველოს უსაფრთხოების სექტორი უფრო მეტად ეთნიკური უმცირესობებისგან წამოსულ საფრთხეზეა ორიენტირებული და არა მათ დაცვაზე.

როგორც მანამდე აღინიშნა, კოპენჰაგენის სკოლის მნიშვნელოვანი შეზღუდვა მისი მეტყველების აქტის თეორიაზე ეპისტემოლოგიური დამოკიდებულებაა. ამდენად, სეკურიტიზაცია, რომელიც ინსტიტუციურ დონეზე არსებობს, მაგრამ საჯაროდ არაა არტიკულირებული, კოპენჰაგენის სკოლის მეთოდოლოგიური კვლევის მიღმა რჩება. დარგის ექსპერტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა რიტორიკულად არ განიხილავს ეთნიკურ უმცირესობებს უშიშროების საფრთხედ, მაინც უსაფრთხოების პრიზმიდან უყურებს მათ. „არ ვფიქრობ, რომ უმცირესობის წინააღმდეგ მყოფი შოვინისტი მთავრობა გვყავს, რომელიც უმცირესობების წინააღმდეგია, მაგრამ მათ მაინც უსაფრთხოების რისკად აღიქვამს“- აღნიშნა ერთ-ერთმა ექსპერტმა. სხვა ექსპერტის აზრი კი ეთნიკური უმცირესობების მიმართ რისკების ჩარჩოების ინსტიტუციონალიზაციის ცნებას ასახავს: „უსაფრთხოების სტრუქტურების ბუნებრივი ინსტინქტია, რომ რაიმე ჩაახშონ, რომ უსაფრთხოების ჭრილში დაინახონ. უკეთეს შემთხვევაში, ეთნიკურ უმცირესობებს ხედავენ როგორც ტვირთს, რაც, ალბათ, დაკავშირებულია 90-იანების ტრავმულ გამოცდილებებთან და რეგიონალურ კონტექსტთან.“

(არა)განზრახული სეკურიტიზაციის ფესვები, შესაძლოა, უსაფრთხოების პოლიტიკის პოსტსტრუქტურალისტურ განმარტებაში ვიპოვოთ (Hansen 2006). საფრთხესა და საშიშროებაზე ეროვნული დისკურსები ისტორიულ გამოცდილებასთანაა გადაჯაჭვული და საფრთხის შეფასების ინსტიტუციურ პრიზმაზე ახდენს გავლენას. როგორც მანამდე აღინიშნა, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ეროვნული უშიშროების საფრთხედ აღქმა ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ახასიათებს, ამასთან, „ეთნიკური უმცირესობები ხშირად არიან უსაფრთხოების კონტექსტში აღქმული და შესაბამისად, უსაფრთხოების სექტორის საშუალებით, ამ შემთხვევაში კი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მეშვეობით იმართებიან“ (დარგის ექსპერტი).

კიდევ ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეთნიკური უმცირესობების უსაფრთხოების რისკებად მიჩნევა დაფუძნებულია განასხვავებაზე „ჩვენსა“ და „მათ“ შორის. ამასთან, მისი თქმით, ინტეგრაციისკენ გადადგმული უმეტესი ნაბიჯი რისკის შემცირების პერსპექტივიდანაა და არა დემოკრატიზაციის ან ინკლუზიის: „პირველ რიგში, ჩვენ ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ ერთი ქვეყნის მოქალაქეები ვართ, თანაბარი უფლებებით. არ ვფიქრობ, რომ ეს ჩვენს პოლიტიკურ დისკურსში ჩადებულია“ (დარგის ექსპერტი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).
აღნიშნული ქვეთავიდან გამომდინარე, შესაძლოა, ითქვას, რომ საფრთხის კონტექსტში ეთნიკური უმცირესობების სეკურიტიზაცია გრძელდება არა იმიტომ, რომ ეს უსაფრთხოების სექტორის მიზანია, არამედ ინსტიტუციონალური ჰაბიტუსის მეშვეობით განხორციელებული სეკურიტიზაციის ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკის (არა)წინასწარ განზრახული ეფექტის გამო. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისადმი მთავრობის რეტორიკული ერთგულების მიუხედავად, უსაფრთხოების პროფესიონალები საკუთარ შეხედულებებს უსაფრთხოების აღქმის ისტორიულ და კულტურულ ნარატივებზე აგებენ (Hansen 2006). შესაბამისად, დესეკურიტიზაციის სტრატეგიები თანაბრად უნდა ორიენტირდეს უსაფრთხოების აქტორებსა და საზოგადოებაზე. აღნიშნული სტრატეგიები ყურადღებას უნდა ამახვილებდეს შემდეგზე: 1) საზოგადოებისა და მასეკურიტიზებელი აქტორების ინფორმირება და სწავლება იმის თაობაზე, რომ ეთნიკური უმცირესობები საფრთხეს არ წარმოადგენენ. საზოგადოებისთვის ამის სწავლება, შეიძლება, რთული აღმოჩნდეს, ამიტომ ეს მთავრობისა და არასამთავრობო სექტორისგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. ამის მიუხედავად, პროგრესის მიღწევა შეასძლებელია ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიებითა და სასკოლო სილაბუსებში ტოლერანტობასა და მულტიეთნიკურობაზე თემების ჩართვით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიული წიგნები განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის ხალხისგან „სხვას“ და მტრის ხატს ქმნის, საჭიროა ისეთი ინიციატივების დაფინანსება, რომლებიც ქართველ და ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდებს დააახლოებს. მნიშვნელოვანია, ასევე, უსაფრთხოების სპეციალისტთა ტრენინგები და გადამზადება; 2) მეორე სტრატეგია ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების დიქოტომური გაგების დაძლევას უკავშირდება, რასაც ჰაისმანსი (1995: 67) დეკონსტრუქტურისტულ სტრატეგიას უწოდებს და ეთნიკური უმცირესობების რამდენიმე იდენტობის მქონე ინდივიდებად წარდგენას გულისხმობს: ქალი, დედა, მამა და სხვ. ინტერსექციურ ერთობაზე ფოკუსირება ხელს შეუწყობს უსაფრთხოების სხვადასხვა პერსპექტივიდან აღქმას და ამავდროულად, ეთნიკური უმცირესობების

„სხვად“ წარმოჩენას აირიდებს თავიდან. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების ქალთა პრობლემებზე ორიენტირება ერთდროულად დესეკურიტიზაციულ სტრატეგიასაც (საფრთხის დისკურსიდან წაშლა) ემსახურება და სეკურიტიზაციულსაც (უსაფრთხოების დღის წესრიგში მათი პრობლემების მოქცევა) და არც ემანსიპატორულ დღის წესრიგს ტოვებს უყურადღებოდ.

4.2 რესპონდენტების ნარატივები: ადამიანების უსაფრთხოების / დაუცველობის ქვემოდან ზემოთ რეკონცეპტუალიზაცია

მოცემული ქვეთავი კვლევის მონაწილეების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ნარატივებს ეხება და მათი უსაფრთხოების/დაუცველობის გამოცდილებებს ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციის ანალიტიკური ჩარჩოს გამოყენებით განიხილავს. მოცემულ ნაშრომში ადაპტირებულმა მიდგომამ სუბიექტებს საშუალება მისცა, უსაფრთხოების საკუთარი გაგება წარმოედგინათ. ასევე, მისი საშუალებით ხაზი გაესვა უსაფრთხოების კონცეფციაზე მუშაობის აუცილებლობას, რომელიც სხვადასხვა ჯგუფებისა და ინდივიდების უნიკალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე რეფლექსიის აუცილებლობას გაითვალისწინებდა უსაფრთხოების ინკულუზიური გაგების დასანერგად. მხოლოდ უსაფრთხოების სოციალურად ადეკვატურ ცნებას შეუძლია, უფრო მდიდარი სურათი წარმოაჩინოს იმ საკითხების შესაფასებლად, რომლებიც თემებსა და ინდივიდებს საფრთხეს უქმნის სხვადასხვა კონტექსტში (Bilgin 1999:32).

კვლევა უსაფრთხოების/დაუცველობის გამოცდილებებთან დაკავშირებულ რამდენიმე ცვლადს ასახავს. მის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების ქალები ჰომოგენურ ჯგუფად არ არიან წარმოჩენილი და ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნებულობასა და ჯგუფს შიგნით არსებული განსხვავებები არ კნინდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კვლევაში გაცნობიერებულია ინტერსექციულობა და ისეთი ცვლადების მნიშვნელობა, როგორებიცაა სოციალურ-ეკონომიკური ფონი და ასაკი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელ ადგილს, როგორც უსაფრთხოების/დაუცველობის გამოცდილების გადამწყვეტ ფაქტორს. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად თითოეული რესპონდენტის უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილებისა, კვლევის ფარგლებში ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოს ოთხ კომპონენტში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღმოჩნდა. ეს კომპონენტებია: პირადი, ეკონომიკური, სასურსათო და პოლიტიკური უსაფრთხოება. ადამიანის უსაფრთხოების გამოცდილებაში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი იყოს რელიგიაც (Danchin and Cole 2002; Fox and Akbaba 2015), თუმცა რესპონდენტებს არ განუხილავთ რელიგიასთან დაკავშირებული დაუცველობის საკითხი (მხოლოდ ერთმა ეთნიკურად აზერბაიჯანმა ქალმა აღნიშნა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის გამოცდილების შესახებ თავსაბურავის ტარების გამო, რასაც ქვემოთ განვიხილავთ). შესაბამისად, რადგან მოცემული კვლევა რესპონდენტების ნარატივებზეა აგებული და მათ რელიგია არ დაასახელეს დამატებითი მოწყვლადობის წყაროდ, ნაშრომში რელიგიური კუთვნილების დაუცველობის გამოცდილებაზე გავლენა გამოკვლეული არ არის.

საცხოვრებელი ადგილი გადამწყვეტად მოქმედებს უსაფრთხოების/დაუცველობის გამოცდილებაზე. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის კეთილდღეობის, ადამიანური პოტენციალის განვითარებისა და ცხოვრების განმავლობაში განცდილი უთანასწორობების შანსებს. მოცემულ კვლევაში, ადგილმდებარეობის მნიშვნელობები ორი საკვანძო ცვლადის გარშემო - დედაქალაქსა და ეთნიკური უმცირესობებით დომინირებულ რაიონებში ერთიანდება. რეგიონებში მცხოვრებთა გამოცდილებები ანგარიშში დედაქალქში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა გამოცდილებებთანაა შედარებული.

როგორც მონაცემებმა აჩვენა, ორივე ეთნიკური წარმომავლობის ქალები, რომლებიც დედაქალაქში ცხოვრობენ, იდენტობასთან დაკავშირებულ დაუცველობას ნაკლებად განიცდიან. მათ წინაშე არსებული გამოწვევების უმეტესობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ზოგად სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებთან. თბილისში ჩატარებული ორივე ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული პრობლემები არ ჰქონდათ, თავს მეტად ინტეგრირებულად გრძნობდნენ და საკუთარ უსაფრთხოებასაც შედარებით პოზიტიურდა აფასებდნენ:

> *გაგიკვირდებათ და, გარემოს არ მოუცია იმისი საბაბი, რომ უსაფრთხოებაზე მეფიქრა. როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, ამაზე არასდროს მიფიქრია. იმდენად ასიმილირებული და შესისხლხორცებული ვარ გარემოს, ამისი შიში არ მაქვს. ნათლიაც ქართველი მყავს. ურთიერთგაგება და ტოლერანტობის შეგრძნება [ქართველებისგან] სულ მოდიოდა. (თბილისის ფოკუსჯგუფი, სომეხი ეუქ, შერეული ასაკობრივი ჯგუფი)*

ეთნიკური უმცირესობების იმ ქალთა უსაფრთხოების პრობლემები კი, რომლებიც დედაქალაქის მიღმა, ეთნიკური უმცირესობებით დომინირებულ ქალაქებსა თუ სოფლებში ცხოვრობენ, ზემოხსენებულისგან განსხვავდება. ახალქალაქსა და მარნეულში მცხოვრები რესპონდენტები საუბრობენ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებების ნაკლებობაზე, ხოლო ენობრივ ბარიერს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ასახელებენ: „თუ ენა არ იცი, რამის მიღწევა ძალიან რთულია“ - განაცხადა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. უსაფრთხოების/დაუცველობის ცხოვრებისეულ გამოცდილებაში განსხვავებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეთნიკური უმცირესობების ქალები ჰომოგენურ ჯგუფს არ წარმოადგენენ და მათი გაძლიერებისა და დაცვისთვის უფრო კომპლექსური, კონტექსტზე მორგებული მიდგომებია საჭირო.

ექსპერტები და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები მარნეულსა და ახალქალაქში თვლიან, რომ სოციო-ეკონომიკური პრობლემების გარდა, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის, ეთნიკური უმცირესობები დამატებით ბარიერე-

ბსაც აწყდებიან, რაც პოლიტიკურ პროცესებში დაბალი ხარისხით ჩართულობასთან, ხარისხიან განათლებაზე წვდომის ნაკლებობასა და ენობრივ ბარიერთანაა დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით ხელშემშლელია დასაქმების შესაძლებლობებსა და სერვისებზე წვდომაში.

კვლევის დასაწყისშივე რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა, თუ რას ნიშნავდა მათთვის უსაფრთხოება. უნდა ითქვას, რომ ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩოს შესახებ წინასწარ მათ არაფერი იცოდნენ. რესპონდენტთა სრული უმრავლესობის გაგება უსაფრთხოების შესახებ ძალიან ახლოსაა ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციასთან, რომელიც ხაზს უსვამს უსაფრთხოების/დაუცველობის ფართო, მულტისექტორულ შრეებს. ქვემოთ მოცემული ციტატები ნათლად აჩვენებს, თუ როგორ აისახება ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩო რესპონდენტთა მიერ უსაფრთხოების/დაუცველობის გაგებაზე:

> *ჩემთვის, პირველ რიგში, უსაფრთხოება ნიშნავს დაცულობას ყველაფერში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო ეკონომიკაა, მაგრამ არა ერთადერთი. მე ვფიქრობ, ეს სიტყვა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მეტს მოიცავს დაწყებული პირადი უსაფრთხოებით, შენი საკუთრების უსაფრთხოებით, შენი საკუთრების უფლებით. ეკონომიკური უსაფრთხოება ერთ ერთი კომპონენტია. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი)*

ფოკუსჯგუფის ზოგიერთმა მონაწილემ უსაფრთხოება განმარტა, როგორც ჯანდაცვაზე წვდომა:

> *ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯანმრთელობაა. ეს არის ჩემთვის უსაფრთხოება. რომ მქონდეს წვდობა ჯანდაცვის სერვისებზე, [სოფელში] გვყავდეს კარგი ექიმები, რომ თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ. (ახალქალაქის ფოკუსჯგუფი. სომეხი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი)*

ორივე ფოკუსჯგუფიდან რამდენიმე მონაწილემ უსაფრთხოების საკითხებად ქალთა უფლებები და ოჯახში ძალადობა დაასახელა. მათ ხაზი გაუსვეს უსაფრთხოებასა და ოჯახში ძალადობას შორის არსებულ კავშირს. მოცემული ციტატა ნათლად გამოხატავს უსაფრთხოების პირად და საჯარო ასპექტებს შორის ურთიერთმიმართებას:

> *უსაფრთხოდ ვართ, მაგალითად, როდესაც გარეთ ვართ, ქალაქში და თავს უსაფრთხოდ ვგრძნობთ. როცა ბედნიერები ვართ ოჯახში, ვიცით რომ არ არის ოჯახური ძალადობა, რომ მშვიდობაა. აი, ამას ვგულისხმობ უსაფრთხოებაში. (თბილისის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, შერეული ასაკობრივი ჯგუფი)*

თბილისში მცხოვრებმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა (ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალი) არასრულწლოვანი გოგოების ძალდატანებით ქორწინებაზე, როგორც უსაფრთხოების საკითხზე, ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ქალებისა და გოგოების უფლებები ხშირად ირღვევა, როცა ძალდატანებით ქორწინდებიან ან როდესაც სწავლის ან მუშაობის უფლება არ აქვთ.

სხვებმა უსაფრთხოების საკითხად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მიიჩნიეს. ქვემოთ მოცემული ციტატები აჩვენებს, რომ უსაფრთხოების/დაუცველობის გამოცდილება გენდერული საკითხია და იმ პრობლემებს, რომლებიც ნორმატიული პატრიარქალური პრიზმის მიღმა არ არის აღბეჭდილი, ქალების უსაფრთხოებისთვის, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეთ:

> *ჩემთვის ჩემი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის უსაფრთხოება. რომ დავაკონკრეტოთ შეიძლება ამაში ძალიან ბევრი რამე იგულისხმებოდეს. მაგალითად, ჩემი ყოველდღიური ცხოვრება, ჩემი ქცევა, ჩემი ჩაცმულობა, ამის გამო რომ ასე ვთქვათ რაიმე პრობლემა არ შემიქმნან. ასევე, ეს ეხება სამსახურსაც, რომ სამსახურში რაიმე სახის შევიწროება არ იყოს. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)*

> *[უსაფრთხოება ნიშნავს] პირად თავისუფლებას, როცა არავინ არ ერევა თუ როგორ გამოვიყურები, როგორ მაცვია, და თავისუფალი ვარ. ჩემი პირადი თავისუფლება... (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29).*

კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტების მიერ გადმოცემული უსაფრთხოების ქვემოდან ზემოთ კონცეპტუალიზაცია უსაფრთხოების კრიტიკულ მიდგომას უახლოვდება, რომელიც, თავის მხრივ, კონცეფციის გაფართოებასა და გაღრმავებას უწყობს ხელს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების გამოცდილებების გაგება საუკეთესოდ შეიძლება ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოს კომპონენტების მიხედვით. მეტიც, კვლევამ აჩვენა, რომ უსაფრთხოების/დაუცველობის გამოცდილებები და პირობები საცხოვრებელ ადგილს უკავშირდება და განსხვავებულია თემებს შორის. ეთნიკური უმცირესობების ქალთა თბილისის ფოკუსჯგუფების მონაწილეები ეთნიკურ და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით ნაკლებ დისკრიმინაციას განიცდიან, ვიდრე ის მონაწილეები, რომლებიც მარნეულსა და ახალქალაქში ცხოვრობენ, სადაც ეთნიკური უმცირესობა უმრავლესობას წარმოადგენს. გარდა ამისა, ორივე ეთნიკური წარმომავლობის ქალები სოფლად უფრო დაუცველად გრძნობენ თავს, ვიდრე დიდ ქალაქებში მცხოვრები უმცირესობები. რაც მთავარია, რესპონდენტების გამოცდილებები უსაფრთხოების ანალიზში მთავარ კონცეპტუალურ ინსტრუმენტად ადამიანის უსაფრთხოების ჩართვის აუცილებლობას აჩვენებს, რადგან სწორედ ეს გამოხატავს ყველაზე უკეთ ინდივიდების უსაფრთხოების პრობლემებს. ამ მიზნით, მომდევნო ქვეთავები დეტალურად განიხილავს ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოების საჭიროებებს ადამიანის უსაფრთხოების ხუთი კომპონენტის მიხედვით: <u>პირადი უსაფრთხოება, ეკონომიკური, სასურსათო, ჯანდაცვისა და პოლიტიკური უსაფრთხოება</u>. ფოკუსჯგუფის მონაცემები პირისპირი ინტერვიუების მონაცემებითა და ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციითაა გამდიდრებული.

4.2.1 პირადი უსაფრთხოება: უსაფრთხოების უხმო დილემა და ოჯახში ძალადობა

Cიმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უსაფრთხოების/დაუცველობის ყველაზე გენდერული ასპექტის გააზრება პირადი უსაფრთხოების კომპონენტშია შესაძლებელი, ანალიზი იწყება გენდერული ძალადობის შესწავლითა და იმით, თუ როგორ უშლის უსაფრთხოების დილემის არსებობა ხელს ეთნიკური უმცირესობების ქალებს დაუცველობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქალთა უსაფრთხოება მჭიდროდ უკავშირდება სახლში დაცულობის შეგრძნებას. სახლის პირად სივრცეში განცდილი ძალადობა უსაფრთხოების კრიტიკული საკითხია, რომელიც ინდივიდების ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩოს ისეთ მთავარ პრინციპებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა შიშისა და სურვილისგან თავისუფლება და ღირსეული ცხოვრების უფლება. ქალთა მიმართ ძალადობა არა მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოების საკითხია, არამედ, როგორც, უახლესი ფემინისტური ლიტერატურა აღნიშნავს, იგი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემაცაა (Hudson et al. 2008/2009; Hudson et al. 2015; Bjarnegård and Melander 2017). ჰადსონის მიხედვით (2008/2009), გენდერული ძალადობის დონით სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მშვიდობიანობის განსაზღვრა უფრო უკეთ შეიძლება, ვიდრე ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიულობისა და ცივილიზაციური იდენტობის განმსაზღვრელი ინდიკატორებით. ამრიგად, გენდერული თანასწორობა, შეიძლება, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამხსნელი ფაქტორი იყოს, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოს უშიშროებასა და კონფლიქტის დეესკალაციაზე (2008/2009: 7). იმის მიუხედავად, რომ გარკვეულწილად წინასწარია მიგნებები, რომლებიც ქალთა უსაფრთხოებას სახელმწიფოების მშვიდობის მაჩვენებელთან აკავშირებს, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს სახელმწიფოსა და ქალთა უსაფრთხოების კაზუალურ ურთიერთობასთან დაკავშირებული თეორიზაციის შესაძლებლობები.

ქალთა უსაფრთხოების/დაუცველობის საკითხის განსახილველად გადამწყვეტია აგენტობა. ლინ ჰანსენის „აგენტი და ხმა“ (2000) ოსტატურად აღწერს, თუ როგორ უშლის სიჩუმე მოწყვლად სუბიექტებს ხელს იმაში, რომ უსაფრთხოების ობიექტებად აღიქვან. ხმის მნიშვნელობაზე ხაზის გასასმელად იგი „პატარა ქალთევზას“ ზღაპარს ეყრდნობა, რომელშიც ქალთევზა მიწიერ პრინცთან დასაახლოებლად საკუთარ ხმას სწირავს. პრინცი სხვა ქალზე ქორწინდება, პატარა ქალთევზას კი დუმილი ხელს უშლის, სრულად მატერიალიზდეს, როგორც დაცულობისა და პრინცის სიყვარულის ღირსი სუბიექტი, ამიტომ ზღვის ქაფად გადაიქცევა და ამქვეყნიურ სულად იქცევა (2000: 285). პატარა ქალთევზას უსაფრთხოების უხმო დილემაზე საუბრისას ჰანსენი (2000) ამტკიცებს, რომ მეტყველების აქტზე ეპისტემოლოგიური დამოკიდებულებით, კოპენჰაგენის სკოლის სეკურიტიზაციის თეორია იმ მოწყვლად ობიექტებს უგულებელყოფს, რომლებიც შეზღუდულები არიან საკუთარი უსაფრთხოების პრობლემების ღიად გამოხატვაში. მართალია, გენდერული უსაფრთხოების პრობლემატიზაცია ხმასა და სუბიექტურობაზე ორიენტირდება, მაგრამ, ამავდროულად, უდიდესი წვლილი აქვს უსაფრთხოების კვლევის პოსტ-სტრუქტურალისტურ კრიტიკაში.

„პირადი უსაფრთხოების“ ტერმინის ქოლგის ქვეშ ნაშრომი სხვადასხვა დაუცველობის ანალიზს მოიაზრებს, რომელთა შორისაა დანაშაული, ფიზიკური და ოჯახში ძალადობა, ადრეული ქორწინება. გენდერული დაუცველობის ყველაზე ნათელი მაგალითი, რომელიც უსაფრთხოების უხმო დილემას ასახავს, უდაოდ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობაა. როგორ ჰანსენი (2000: 287) მიუთითებს, „უსაფრთხოება, როგორც სიჩუმე, ჩნდება მაშინ, როცა დაუცველობის გაჟღერება ვერ ხერხდება“, როდესაც უსაფრთხოების პრობლემებზე ღიად საუბარი შეუძლებელია, რადგან ამან შედეგად, შესაძლოა, საფრთხე გაამწვავოს. ამ კვლევაში გამოკითხული ბევრი ქალი ხაზს უსვამს სტრუქტურულ სირთულეებს, უსაფრთხოებისა და დაცულობის ქსელის ნაკლებობას, რაც აფერხებს მათ, ხმა აიმაღლონ და დაუცველობის შეგრძნებას ებრძოლონ:

„საზოგადოებას მიაჩნია, რომ ქალი უნდა იყოს ჩუმად და თუ სცემეს, ის ამას იმსახურებს. ეთნიკურად აზერბაიჯანელი ან ეთნიკურად სომეხი ქალები ჩვენს რეგიონში იშვიათად მიმართავენ პოლიციას, რადგან თუ ის სახლიდან წავა, უნდა წავიდეს მშობლებთან... ქმართან დაბრუნება სახიფათოა... წასასვლელი არსად აქვს. მეც მიფიქრია ამაზე. რა იქნება პოლიციის შემდეგ? მეც მქონია [ოჯახური ძალადობის] შემთხვევები და პოლიციას არ მივმართე. არ მინდოდა შვილებთან ერთად მშობლების სახლში დაბრუნება და სხვა წასასვლელი არსად მქონდა. მე ვერ ვნახე სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა. ჩემთვის რთული პერიოდი იყო, ამიტომ წასვლა ვერ გავბედე. ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ მერე ვნახოთ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი)

უსაფრთხოების კონცეპტუალიზაციისას, ფოკუსჯგუფების მონაწილეებში განმეორებითი თემა ოჯახში ძალადობა იყო. ბევრი რესპონდენტი, ადგილმდებარეობისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად, ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით ღრმა შეშფოთებას გამოხატავდა. მათი დამოკიდებულებებიდან ირკვევა, რომ ისეთი პირადი სივრცე, როგორიც სახლია, კამათის ადგილი ხდება, სადაც ქალთა ხმები სისტემურად ჩახშობილია:

ქალის მიმართ ტრადიციული მიდგომა არსებობს, რომ აუცილებლად ოჯახში უნდა იყოს ჩუმად, და ამის გამო არ შეიძლება ვინმეს შევეცოდო. მაგალითად, ქმარმა ფიზიკური ძალადობა მოახდინა ქალის მიმართ და სხვა ქალები ეუბნებიან, რომ, აი, ჩვენთანაც ხდება და ეს ნორმალურია. და თუ მაგალითად, მშობლებთან მიდის ქალი, იქვე აზრს უცვლიან, რომ ეს ნორმალურია, ჩვენთანაც ხდება, მალე შეეჩვევი, ზუსტად ამის გამო ოჯახური ძალადობის ფაქტები რჩება იმიტომ რომ ხმას არ იღებენ. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)

ძალიან რთულია ქმართან დაშორებულ ქალად ყოფნა

კავკასიაში, უკვე სხვანაირად გიყურებენ. თუ დაშორდი უკვე მეორე ხარისხოვანი ხდები და ქალებს ამის გამო ეშინიათ და ჩუმად არიან. (ახალქალაქის ფოკუსჯგუფი, სომეხი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)

ჩვენს ქალებს, აზერბაიჯანელებს, რცხვენიათ რომ პოლიციას მიმართონ. დავუშვათ, მამამთილმა ან დედამთილმა იძალადა მასზე, მერე იძახის, რომ ვაიმე მე თუ ვუჩივლე, ჩემს დედამთილს და მამამთილს, ამის მერე ჩემი ოჯახი დაინგრევა. ან სირცხვილია, რომ ჩემს დედამთილს ვუჩივლო, შენი ქმრის დედას ვუჩივლო (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)

რესპონდენტებმა ის სამი მთავარი პრობლემა დაასახელეს, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ქალებს ხელს უშლის ხმის ამოღებაში. პირველი, ესაა ოჯახურ ძალადობაზე ინფორმაციისა და ცნობადობის ნაკლებობა, მეორე კულტურულ სტიგმებსა და სტერეოტიპებთან ასოცირდება, მესამე კი უსაფრთხოების ქსელისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობას ეხება:

ზოგადად, საქართველოში არცერთი ქალი არ არის დაცული ძალადობისგან, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც. მაგრამ ეთნიკურ უმცირესობებში სხვა პრობლემაცაა - ძალადობის გაგებისა და გააზრების პრობლემა. ეს, პირველ რიგში, დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკლებობასთან. მეორე, საზოგადოების შიშია აქ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი. საზოგადოებაში არის შექმნილი გარკვეული სტერეოტიპები (ამას მე არასდროს არ დავარქმევ ტრადიციას, ტრადიცია სრულიად სხვა რამეა) ეს არის, ასე ვთქვათ, ჩამოყალიბებული არასწორი მოსაზრებები, ჩარჩოები შექმნილი სპეციალურად ქალებისთვის და ეს ყველაფერი რა თქმა უნდა ქალს იძულებულს ხდის, რომ ხმა არ ამოიღოს ძალადობის დროს! აზრადაც რომ არ ამოუვიდეს ესეთი რამე. იმიტომ რომ ყველაზე დიდი შიში ოჯახის დანგრევა არის ამ ქალებისთვის, რის გამოც ყველაფერს თმობენ.“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)

ვფიქრობ, მრავალი თანმხლები მიზეზი გვხდის პასიურს და დაუცველს ძალადობის მიმართ. მაგრამ, ჩვენ რომ დარწმუნებული ვიყოთ ძალოვანი სტრუქტურების კეთილსინდისიერებაში, დარწმუნებულები ვიყოთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან სრული მხარდაჭერა იქნებოდა, მაშინ ბევრად უფრო გაბედულები ვიქნებოდით. ეს პრობლემა აქვთ ეთნიკური უმცირესობებს უმეტესწილად ჩვენს რეგიონში, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ეს პრობლემა გვაქვს მთელი ქვეყნის მასშტაბით. უბრალოდ, რეგიონში ეს უფრო გამოხატულია (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი).

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ლეგიტიმური და სამართლიანი კითხვა წამოჭრა, რა სარგებელი აქვს ქალს ხმის ამოღებით? როცა ჯგუფი ან ინდივიდი უსაფრთხოების უხმო დილემის წინაშეა, ხმის ამოღებამ შეიძლება, საფრთხე შეუქმნას დაცულობას. მან საინტერესოდ ახსნა უსაფრთხოების უხმო დილემის არსი:

რა თქმა უნდა, არიან ქალები, რომლებიც უარს ამბობენ [ძალადობის თემაზე] და ხმას იღებენ, წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ შემდეგ რა ხდება? ესეც პრობლემურია, იმიტომ რომ არის თავშესაფრები, მაგრამ იქ რჩებიან დროებით, ხომ? იმის მერე მაინც არ აქვს გაგრძელება, ამაზე იყო ძალიან ბევრი საუბარი, რომ ვერ ხდება ამ ქალების დასაქმება, ვერ ხდება უზრუნველყოფა მუდმივი საცხოვრებლებით და ქალები, რომლებმაც ამოიღეს ხმა და წინააღმდეგობა გაუწიეს, მაინც ბოლომდე ვერ მივიდნენ. და ამის გამო ქალები ვერ გარისკავენ რომ ხმა აიმაღლონ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29).

გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის საკითხში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ინფორმაციაზე წვდომასაც გაუსვა ხაზი. მან ოჯახში ძალადობაზე კარანტინის ნეგატიური გავლენაც აღნიშნა:

კოვიდ პანდემიის პირობებში, როდესაც პირველი ლოკდაუნი გამოცხადდა, შსს-ს მიერ sms-ების სახით როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მოსახლეობას გაეგზავნა sms-ები და ინფორმაცია, რაც ეხებოდა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის თემას, ვის შეიძლება მიმართონ, რომ შეიძლება დარეკონ 112-ზე, მობილურის აპლიკაცია გამოიყენონ, რომელსაც აქვს ჩუმი განგაშის, SOS ღილაკი. ჩვენ ვიაზრებდით, რომ იმ პირობებში, როდესაც ლოკდაუნისას მსხვერპლებს მოუწიათ ერთ სივრცეში ყოფილიყვნენ მოძალადეებთან და შეიძლებოდა შესაძლებლობაც არ ქონდათ, რომ გვერდზე გასულიყვნენ და ჩუმად დაერეკათ პოლიციაში თუ ძალადობის მსხვერპლი გახდებოდნენ. ეს მობილური აპლიკაცია და ჩუმი განგაშის ღილაკი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მსხვერპლმა შეძლოს და დაუკავშირდეს პოლიციას. (პირისპირი ინტერვიუ, შსს).

უხმო განგაშის ფუნქციის (აპლიკაცია SOS) მქონე მობილური აპლიკაციების ხელმისაწვდომობა ქალთა არასტაბილური პოზიციების მნიშვნელოვანი აღიარებაა. ეს კი უსაფრთხოების უხმო დილემას უკავშირდება, რომელსაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლები მათი დაუცველობის გახმოვანებისას აწყდებიან.

ოჯახში ძალადობის გარდა, ქალები შესაძლოა, ისეთი კრიმინალის მიმართაც იყვნენ მოწყვლადები, როგორიც ყაჩაღობაა. რამდენიმე რესპონდენტმა გამოხატა შეშფოთება მათ სამეზობლოებში არსებულ კრიმინალთან დაკავშირებით, მარნეულის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა სამმა რესპონდენტმა ქალმა კი აღნიშნა, რომ ახლახანს გახდა ყაჩაღობის მსხვერპლი. აღნიშნული კრიმინალის მიმართ ქალთა მოწყვლადობა კიდევ ერთხელ გამოკვეთს უსაფრთხოების ყველა მიმართულებაში გენდერული მეინსტრიმულობის მნიშვნელობას. რესპონდენტს სჯერა, რომ იგი მსხვერპლად ქალობის გამო აირჩიეს: „აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს [ქურდობა] იმასთან არის დაკავშირებული, რომ ქალი ვარ, და ამ ეტაპზე, მარტო ვცხოვრობ. მაგრამ ეს იმის ბრალიცაა, რომ პასუხისმგებელი სტურქტურები კარგად არ მუშაობენ. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, ქალი, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი).

დადებითია ის, რომ, როგორც ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, კრიმინალის შემცირების კუთხით გაუმჯობესება შეინიშნება. 1990-იანი წლების შეფასებისას, ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა დრო, როცა გავრცელებული ყაჩაღობების გამო გარეთ გასვლა არ შეეძლო; ახლა კი სჯერა, რომ სიტუაცია გამოსწორდა (თბილისის ფოკუსჯგუფი, ქალი, შერეული ასაკობრივი ჯგუფი). რამდენიმე რესპონდენტმა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შემცირებაზეც მიუთითა: „ხშირად ხდებოდა, რომ ქმარი ურტყამდა და ამცირებდა ცოლს, მაგრამ ასე აღარაა." (ახალქალაქის ფოკუსჯგუფი, ქალი, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი). ახალქალაქის ფოკუსჯგუფის სხვა მონაწილეებმაც აღნიშნეს, რომ ოჯახში ძალადობა ისეთი ხშირი აღარაა, რადგან ქალებმა ხმა აიმაღლეს მის წინააღმდეგ; მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა პოლიციისადმი ნდობასაც გაუსვა ხაზი. იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განმცხადებელი ქალები მცირე მხარდაჭერას იღებენ, გადამწყვეტი ხდება ისეთი ინსტიტუციების როლი, როგორებიცაა პოლიცია, სასამართლო და სხვა სახელმწიფოსა თუ კერძო სექტორის მიერ დაფინანსებული მხარდაჭერის ქსელები.

რესპონდენტების ნარატივებიდან ჩანს, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მეტად გენდერული საკითხი გენდერული ძალადობაა. მიუხედავად იმისა, რომ ფემიციდის მაღალი მაჩვენებელი და ოჯახში ძალადობა მნიშვნელოვანი პრობლემაა ყველა ქალისთვის, ეთნიკური უმცირესობების ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან შემდეგი ფაქტორების გამო: პატრიარქალური სტერეოტიპების მაღალი ზემოქმედება, დანაშაულის შეტყობინების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, სახელმწიფოსგან ან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შეთავაზებული მხარდაჭერის სისტემებისადმი მცირე ნდობა. სახელმწიფოს მხრიდან გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი შეზღუდვაა იმ ქალების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ქალების, უგულებელყოფა, რომლებიც მრავალი ფორმის დისკრიმინაციას განიცდიან.[13] იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში საკანონმდებლო გარემო გაუმჯობესდა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გარკვეული მექანიზმები შემუშავდა, ისევ მრავალი ხარვეზი არსებობს და აღნიშნული ინსტრუმენტები ხშირად ფორმალური მიდგომით შემოიფარგლება, ეფექტური იმპლემენტაცია და მონიტორინგი კი კვლავაც არ არის.[14] გარდა ამისა, სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით,[15,16] ფემიციდებისა და გენდერული ძალადობის აღმოფხვრის ზომები, ძირითადად, რეაქტიული და პრევენციისათვის არაეფექტურია; მეტიც, სასწრაფო დახმარების მობილური აპლიკაცია ეთნიკური უმცირესობების ენებზე ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის. საქართველოს მასშტაბით, გენდერული თანასწორობის მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად ყველა ქალისა და გოგოსთვის, სახელმწიფომ სპეციალური ღონისძიებები უნდა გაატაროს ქალთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, პრაქტიკული ინსტრუმენტები მიიღოს გავლენის შესაფასებლად და არა მხოლოდ გენდერულად, არამედ ეთნიკურობით, ასაკითა და შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით დაყოფილი სტატისტიკური მონაცემები შეაგროვოს. მსგავსი ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ინტერსექციური, გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ეფექტურ იმპლემენტაციასა და მონიტორინგს და გენდერული ძალადობის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

4.2.2 ეკონომიკური უსაფრთხოება

ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ეკონომიკური უსაფრთხოებაა, რაც ახლო კავშირშია ქალთა ემანსიპაციასთან. რესპონდენტებმა ფინანსური უსაფრთხოება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელეს. მართალია, ზოგიერთ რესპონდენტს არასდროს განუცდია დასაქმების შესაძლებლობებთან მიმართებაში იდენტობაზე დამყარებული დაბრკოლებები, მაგრამ თბილისში, ახალქალაქსა და მარნეულში მცხოვრებმა რამდენიმე რესპონდენტმა სისტემურ პრობლემებსა და შრომის ბაზარზე წვდომაში დისკრიმინაციაზე ისაუბრა. მარნეულისა და ახალქალაქის ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა ენობრივი ბარიერი დასაქმების შესაძლებლობების მნიშვნელოვან დაბრკოლებად დაასახელეს.

რამდენიმე რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში დასაქმების მცირე შესაძლებლობების გამო მათი ოჯახის წევრები იძულებული გახდნენ, ემიგრაციაში წასულიყვნენ:

> *დასაქმების პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენს სოფელში ყველა სომეხია. მამაჩემი ახლა რუსეთში მუშაობს. ქალები დიასახლისები არიან. ისინი არ მუშაობენ იმიტომ რომ სამსახურები არაა... და კაცები რუსეთში მუშაობენ. (ახალქალაქის ფოკუსჯგუფი, სომეხი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29).*

> *ყველა ახალგზარდა სამსახურს ეძებს. წინ და უკან დადიან და ვერაფერს ნახულობენ. ძაან ცდილობენ სამსახურის ნახვას, მაგრამ არ არის სამსახურები, ამიტომ ბევრი პოლონეთში მიდის, იქ მუშაობს. არ არის ნორმალურად არც ფული, არც ჭამა, არც ჩაცმა, არაფერი. ყველა ტოვებს თავის ოჯახს საქართველოში და გადადიან თურქეთში, ან ბაქოში. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29).*

ეთნიკური უმცირესობების ისეთ ქვეყნებში ემიგრაცია, როგორიც რუსეთია, მათ უსაფრთხოების პოტენციურ რისკებად აღქმასთანაა დაკავშირებული. როგორც სფე-

---

13 CEDAW/C/GEO/4-5 საქართველოს მეოთხე და მეხუთე პერიოდული გამოცემების გაერთიანებული დასკვნითი დაკვირვებები, 2014, პარაგრაფი 16

14 საქართველოს სახალხო დამცველი, გენდერული მეინსტრიმინგი - საქართველოს მიერ აღიარებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების სტატუსის მიმოხილვა. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021031012092124287.pdf

15 საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2019. ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021061415064797521.pdf

16 საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში. ხელმისაწვდომია:: https://ombudsman.ge/res/docs/2020070314085774956.pdf 2014-2018

როს ექსპერტმა ინტერვიუში აღნიშნა, უსაფრთხოების სექტორი ეთნიკურ უმცურესობებს პოტენციურ რისკად აღიქვამს, „რადგან მათ უცხო ძალებთან გარკვეული კავშირები აქვთ და შესაძლოა, ანტიქართული განწყობები ჰქონდეთ“. ოჯახში ეკონომიკური უსაფრთხოების ნაკლებობა ეთნიკურ უმცირესობებს სხვა ქვეყნებში მიგრაციას აიძულებს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს პოტენციურ საფრთხედ მათ სეკურიტიზაციას.

სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კაცების მასობრივი ემიგრაციის გამო, საშინაო შრომისა და ზრუნვის ტვირთი, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის სამუშაოები, ქალებს აწვებათ. „შედეგად, მათ დასაქმება ან თვით-რეალიზების შესაძლებლობა აღარ აქვთ“ (სახალხო დამცველის ოფისი, ახალქალაქი). ამასთან, ეკონომიკური უსაფრთხოება ადამიანის უსაფრთხოების სხვა კომპონენტებსაც უკავშირდება, კერძოდ, ისკავშირშია ქალთა გაძლიერებასთან და კაცებისგან, როგორც, მარჩენალებისგან, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან. შრომის ბაზარზე წვდომის გარდა, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ძლიერი, პრაქტიკული მექანიზმების არსებობა გადამწყვეტია ქალების გაძლიერებისთვის.

შრომის ბაზარზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებით რესპონდენტთა პასუხები გარკვეულწილად შერეულია. ბევრ მათგანს სჯერა, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის შრომის ბაზარზე არ არსებობს იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია. თუმცა, ზოგიერთ მათგანს განსხვავებული გამოცდილება ჰქონდა და იმ სხვადასხვა სტრუქტურულ და კულტურულ პრობლემას გაუსვა ხაზი, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ქალებისთვის ორმაგ ბარიერებს ქმნის შრომით ბაზარზე წვდომაში.

> *გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია მთელი საქართველოს მასშტაბით არსებობს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ამას კიდევ ემატება ეთნიკური ნიშანიც, რაც ქალებისთვის ორმაგ ბარიერს ქმნის. ამის ძალიან კარგი მაგალითია მარნეულის მუნიციპალიტეტი, სადაც ქალები, ჯერ ერთი, ზოგადად, არ არიან მაღალ თანამდებობებზე და მეორეც, ეთნიკური უმცირესობის ქალები საერთოდაც არა. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29).*

ზოგიერთი რესპონდენტის მიხედვით, კვლავ ჭარბობს იდენტობასთან დაკავშირებული ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს დიკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიიღეს კანონი, რომლის მიზანია დისკრიმინაციის აღმოფხვრა ყველასთვის, განურჩევლად „ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობისა, პროფესიისა, ოჯახური მდგომარეობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, შეზღუდული შესაძლებლობისა, სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა თუ სხვა ნიშნების გამო“ (მუხლი 1),[17] ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთაგან კიდევ ბევრი განიცდის სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციას. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ორი წლის წინანდელი შემთხვევაც გაიხსენა, როდესაც მის მეგობარს თავსაბურავის გამო უარი უთხრეს ბანკში მუშაობის დაწყებაზე: „მხოლოდ იმიტომ არ აიყვანეს, რომ თავსაბურავს ატარებდა. პირდაპირ უთხრეს, რომ თავსაბურავის გამო იყო ეს!“. თუმცა ასეთი ღია დისკრიმინაცია შესაძლოა, ნორმა კი არა გამონაკლისი იყოს და ამიტომ, ეთნიკურად აზერბაიჯანელი უმცირესობის ქალთა დისკრიმინაციის საილუსტრაციოდ არ უნდა გამოვიყენოთ.

რესპონდენტთა ნარატივები აჩვენებს, რომ სამუშაო ბაზარზე გენდერული თანასწორობა დასრულებული პროექტისგან შორსაა. ეთნიკური უმცირესობების ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ოჯახში შრომის განაწილების პატრიარქალური სტანდარტებისადმი, რაც მათ სამუშაო ძალაში გაერთიანებისგან ზღუდავს. მეტიც, კაცების მასობრივი ემიგრაციის გამო, ეთნიკური უმცირესობის ქალები პასუხისმგებელი ხდებიან სახლის სამუშაოებისა და სოფლის მეურნეობაზე, რის გამოც მათ სამსახურში თვითრეალიზების შესაძლებლობა არ აქვთ და უცხოეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებზე არიან დამოკიდებული. გარდა ამისა, ზოგიერთმა მათგანმა დამსაქმებლებისგან დისკრიმინაციაზეც ისაუბრა. დასაქმების შესაძლებლობების პრობლემას ენობრივი ბარიერიც ემატება. როგორც ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ქართული ენის ცენტრების მოუქნელი საათების გამო გაკვეთილებზე დასწრებას ვერ ახერხებენ. ზოგიერთ შემთხვევაში კი არ მსუბუქდება ეკონომიკური დაუცველობა, რადგან ეთნიკური უმცირესობების ქალებს კონსტიტუციით დაცულ უფლებებთან დაკავშირებით მწირი ინფორმაცია აქვთ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უმცირესობათა ჯგუფების ფუნდამენტური ადამიანური უფლებების შესახებ ინფორმირებულობის გასაზრდელად მეტად თანმიმდევრული ნაბიჯებია საჭირო. გარდა ამისა, ქალთა გასაძლიერებლად აუცილებელია ადგილობრივი დასაქმების სააგენტობის ჩამოყალიბება და ისეთი ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის გაზრდა, რომლებიც ქალების დასაქმებაზე ორიენტირდებიან. ეთნიკური უმცირესობების ქალთა შრომის ბაზარზე ორმაგი მოწყვლადობის მეინსტრიმინგი ხელს შეუწყობს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 2014 წელს მიღებული კანონის[18] წარმატებულ იმპლემენტაციას.

4.2.2.1 ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

ქალთა უსაფრთხოებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მნიშვნელობა იყო ერთ-ერთი თემა, რომელიც ფოკუსჯგუფის მონაცემებიდან გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად, ტრანსპორტი გენდერულად ნეიტრალურად ითვლება და უსაფრთხოების საკითხად იშვიათად თუ განხილულა, ბოლო წლების განმავლობაში, სატრანსპორტო პოლიტიკა მეტად დაკავშირდა გენდერთან, რადგან აღიარდა, რომ არაეფექტურმა სა-

17 კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/view/2339687?publication=0

18 საქართველოს პარლამენტი (2014). დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. ხელმსაწვდომია: https://matsne.gov.ge/en/document/view/2339687?publication=0

ზოგადოებრივმა ინფრასტრუქტურამ და ტრანსპორტმა, შესაძლოა, მოწყვლადობა გაამძაფროს. 2008 წელს, გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში,[19] რომელიც ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობისა და მდგრადი განვითარებისთვის ტრანსპორტზე წვდომის მნიშვნელობას „ჯანდაცვისა და განათლების სერვისებზე წვდომის გაფართოებით, დასაქმებით, ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებითა და სოციალური ერთიანობის პოპულარიზებით".[20] ანგარიშში ხაზგასმულია ფაქტი, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე უკეთესი წვდომა, მეტად ხელმისაწვდომს გახდის ძირითად სერვისებს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, დადებითი გავლენა იქონიოს მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებაზე.[21]

ტრანსპორტზე წვდომა გადაადგილების თავისუფლებასაც უკავშირდება და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით ადამიანის არსებით უფლებადაც არის მიჩნეული (UDHR, Article 13). ზოგიერთი რესპონდენტი გადაადგილების თავისუფლებას მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს მათ მიერ უსაფრთხოების აღქმაში. ერთ-ერთი რესპონდენტისთვის უსაფრთხოება ნიშნავს შემდეგს: „თავისუფლად ცხოვრება, თავისუფლად გადაადგილება, ისე ვიცხოვრო, როგორც მე მსურს" (მარნეულის ფოკუსჯგუფი, ქალი, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29). უსაფრთხო საჯარო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობის იმ ქალთა უსაფრთხოებისთვის, რომლებიც საკუთარი გენდერისა და ეთნიკურობის გამო ორმაგ ბარიერებს აწყდებიან. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა ქალებს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც სოფლად ცხოვრობს, ხელს უშლის სამუშაო ძალაში ჩართვაში. ეს უკანასკნელი, ასევე, ერთ-ერთია იმ სტრუქტურული ბარიერებიდან, რომლებიც ამძაფრებს ქალების დამოკიდებულებას კაცებზე. ასეთ კონტექსტში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა ფემინისტური საკითხი და უსაფრთხოების, როგორც ემანსიპაციის, მთავარი ასპექტი ხდება.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა საინტერესო დაკვირვება გამოთქვა ქალთა ემანსიპაციაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით:

სოფლებში არ არის ტრანსპორტი. ყოველდღე მაინც ორჯერ ან სამჯერ მაინც უნდა იყოს რომ ქალი არ იყოს დამოკიდებული მამაკაცზე - როცა ჩემი ქმარი წამიყვანს ქალაქში. აი ეგრე არ უნდა იყოს! უნდა იყოს ტრანსპორტი, რომ ქალსაც შეეძლოს წავიდეს ქალაქში როცა უნდათ, საყიდლებზე და არ აქვს მნიშვნელობა რისთვის, წავიდეს ქალაქში ქონდეს კონტაქტი ქართველებთანაც, საზოგადოებასთანაც, ზოგადად. არ არის ტრანსპორტი და ქალი არის დამოკიდებული მამაკაცზე. (ახალქალაქის ფოკუსჯგუფი, სომეხი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)

ამასთან, ახალქალაქში მცხოვრებმა რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გარკვეული ნეგატიური წარმოდგენები არსებობს იმ ქალების მიმართაც, რომლებიც მანქანას მართავენ: *„ზოგ სოფელში სირცხვილია, რომ ქალმა მანქანა ატაროს"; „ხალხი ცუდ რაღაცებს ამბობს იმ ქალებზე, რომლებსაც მანქანა ჰყავთ და ტარება შეუძლიათ" (ახალქალაქის ფოკუსჯგუფი, სომეხი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29). „მეც მინდა მართვის მოწმობა მქონდეს, მაგრამ ამ დამოკიდებულებების გამო ნებას არ მრთავენ",* - აღნიშნა ახალქალაქის ფოკუსჯგუფის სხვა მონაწილემ.

რესპონდენტების შეხედულებები აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელისა და უსაფრთხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიმცირით წარმოქმნილ დაუცველობას გენდერული განზომილებაც აქვს. ამიტომ, ქალების გაძლიერებისა და სრული პოტენციალის რეალიზაციისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომა. ამ საკითხის გადასაჭრელად გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, დროულობა, ეკონომიურობა და უსაფრთხოება (Aloul et al. 2018). კვლევის შედეგები ხაზს უსვამს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ინტერსექციური მიდგომების მნიშვნელობას. სამწუხაროდ, სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძებნება ინფორმაცია, რომელიც მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისადმი გენდერულ მეინსტრიმინგს ან ინტერსექციური მიდგომის გატარების ძალისხმევას დაადასტურებდა. ტრანსპორტის მეტად ინკლუზიურობა და ქალების, განსაკუთრებით კი მათი უფრო მოწყვლადი ჯგუფების, საჭიროებებზე მორგება, მთავრობის, სათემო ორგანიზაციებისა და იმ ქალების აქტიურ თანამშრომლობას მოითხოვს, რომლებიც პირდაპირ ზარალდებიან საჯარო სიკეთეებზე, მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ხელმისაწვდომობის ნაკლებობით.

4.2.3 სასურსათო უსაფრთხოება

ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩოს შემდეგი კომპონენტი სასურსათო უსაფრთხოებაა. ჯანსაღ და ნუტრიციულად მდიდარ საკვებზე წვდომა აუცილებელია ინდივიდების კეთილდღეობისა და განვითარებისთვის (UN 2002). სასურსათო უსაფრთხოება შემდეგნაირად განიმარტება: „ადამიანებს უწყვეტად აქვთ ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა საკმარის, უსაფრთხო და ნუტრიციულად მდიდარ საკვებზე, რომელიც აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისთვის მათი დიეტის საჭიროებებსა და საკვების პრეფერენციებს ერგება" (UN 2002). შესაბამისად, საკვებზე წვდომა, შესაძლოა, საჯარო სიკეთედ იქნას აღქმული. ამასთან, სასურსათო უსაფრთხოება ინდივიდუალური ოჯახის პრობლემაზე მეტად, სოციალურ სამართლიანობასთან უფროა დაკავშირებული (Azétsop and Joy 2013), რაც არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებზე (Ransom and Elder 2003). ქალების, განსაკუთრებით კი, სოფლებსა და პერიფერიებში მცხოვრებთა მოწყვლადობა კიდევ უფრო მწვავდება ფინანსური რესურსების კონტროლისა და უძრავი ქონების მფლობელობის პატ-

19 გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) (2008), „გენდერი და ტრანსპორტი", https://www.unece.org/trans/theme_gender.html

20 იგივე, გვ.1

21 იგივე, გვ.1

რიარქალური ნორმებით (Jenderedjian and Bellows 2021).

ახალქალაქისა და მარნეულის ფოკუსჯგუფების, სულ მცირე, ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ცხოვრების რაღაც ეტაპზე საკვების შეძენას ვერ ახერხებდა. სხვები არასაკმარის საკვებსა და ინდივიდის საჭიროებებზე მორგებული ადეკვატური დიეტის ნაკლებობას უსვამენ ხაზს:

> *წესიერი კვება მოიცავს ყოვლისმომცველ დიეტას და ჩვენ კიდევ შეგვიძლია გავწვდეთ მხოლოდ მინიმალურ საკვებს, რომ შიმშილით არ მოვკვდეთ. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეთნ, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი)*

როგორც უკვე ითქვა, სასურსათო უსაფრთხოება მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკურ უსაფრთხოებას. მართალია, არასაკმარისი საკვები, საქართველოს მასშტაბით, დაბალი შემოსავლის მქონე ბევრი ოჯახის პრობლემაა, მაგრამ სასურსათო უსაფრთხოება განსაკუთრებით პრობლემურია ეთნიკური უმცირესობის ქალებისთვის, რადგან მათ, უძრავი ქონების ფლობისას, კულტურული ბარიერების გადალახვა უწევთ - მემკვიდრეობით უძრავი ქონების ვაჟიშვილებისთვის გადაცემის პრაქტიკა ეთნიკურ უმცირესობებში უფრო მაღალია;[22] ისინი, ასევე, დამატებით ბარიერებს აწყდებიან, სათანადო სამსახურის პოვნისა და ხარისხიანი განათლების მიღების პროცესში (იხ. Sida 2015). ფერმერ ქალებს რესურსებზე წვდომისას, შესაძლოა, დამატებითი დაბრკოლებები ჰქონდეთ, მაგალითად, ნაკლები წვდომა ტექნიკაზე, სასუქზე, საბანკო სესხებზე, თესლების გაუმჯობესებულ სახეობებსა ან სოფლის მეურნეობისთვის საჭირო განათლებაზე (Sida 2015).

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სასურსათო უსაფრთხოება კოვიდ-19-ის პანდემიისას მნიშვნელოვანი პრობლემა იყო მათი ოჯახებისთვის. ზოგიერთმა ისიც განაცხადა, რომ მანამდე საკვებით უზრუნველყოფილი ოჯახები, ახლა პირველად გრძნობდნენ სასურსათო დაუცველობის საფრთხეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კვლევის მიხედვით, ოჯახების დაუცველობა ეთნიკურ უმცირესობებში არაპროპორციულად დიდია (Bruening 2012), ამის დასადასტურებლად ქართულ კონტექსტში საკმარისი არგუმენტები არ არსებობს. თუმცა, არსებობს ემპირიული კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ ეთნიკური უმცირესობები სასურსათო დაუცველობის მიმართ უფრო მოწყვლადები არიან.[23] ამის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა სასურსათო დაუცველობისადმი მოწყვლადობა კომპლექსურ საკითხად რჩება, რომელიც, დიდი ალბათობით, სხვადასხვა რისკ ფაქტორს უკავშირდება, მათ შორის, უმუშევრობას, სიღარიბეს, ქალის როლს თემში და პატრიარქალური ნორმების მასზე გავლენის დონეს. ამასთან, სასურსათო უსაფრთხოება საზოგადოებრივ ტრანსპორტთანაცაა დაკავშირებული. პანდემის პერიოდში, როცა საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა მუშაობა შეწყვიტა, სოფლად მცხოვრები რესპონდენტები უფრო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ სასურსათო დაუცველობის კუთხით.

კვლევით დადგინდა, რომ სასურსათო დაუცველობა ეთნიკური უმცირესობის ზოგიერთი ქალისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ეთნიკური უმცირესობების ქალთა სასურსათო დაუცველობა კომპლექსური საკითხია და უძრავი ქონების ფლობის პატრიარქალურ ნორმებს, უმუშევრობასა და ფინანსურ რესურებზე წვდომის ნაკლებობას უკავშირდება, რაც კიდევ უფრო მწვავდება ოჯახურ იერარქიებში ქალის დაჩაგრული როლით. აშკარაა, რომ ეთნიკური უმცირესობის ქალებში, სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა პირობებს სხვადასხვა დონის შფოთვები მოაქვს: ზოგიერთმა რესპონდენტმა სათანადო დიეტისა და ნუტრიციის ნაკლებობას გაუსვა ხაზი, ზოგისთვის კი ეს უკანასკნელი გადარჩენის საკითხი იყო, ხოლო დანარჩენებს სასურსათო დაუცველობა არასდროს უგრძვნიათ. სტრუქტურული უთანასწორობების აღქმისა და დაძლევისთვის აუცილებელია ეთნიკური უმცირესობის ქალთა თანაბარი მონაწილეობა შრომის ბაზარსა და ფინანსურ სერვისებში; ასევე, აუცილებელია ქალებში ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით ინფორმირებულობის ამაღლების მხარდაჭერა და განათლების გზით გაძლიერებაზე მათი ორიენტირება. მეტიც, რადგანაც უმეტეს ოჯახში ქალები არიან პასუხისმგებელი კვებაზე, ისინი დიდ დროს ხარჯავენ საკვების ყიდვასა და მომზადებაზე, რაც სხვა აქტივობებისთვის ნაკლებ დროს უტოვებს მათ. გარდა ამისა, ხელმისაწვდომ და დროულ ტრანსპორტს, შესაძლოა, ასევე, დადებითი გავლენა ჰქონდეს სასურსათო უსაფრთხოებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სასურსათო უსაფრთხოება უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ კონცეპტუალურ დოკუმენტში, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშია მოხსენიებული, მოწყვლადი ჯგუფების წინაშე არსებული უფრო დიდი რისკების შესამსუბუქებლად, საჭიროა რელევანტური გადაწყვეტილების მიმღები პირების, მათ შორის, ეკონომიკის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ერთობლივი მუშაობა.

4.2.4 ჯანდაცვის უსაფრთხოება

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კავშირი ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩოს განუყოფელი ნაწილია. ჯანდაცვის უსაფრთხოება „ადამიანის უსაფრთხოების მისაღწევად ხელისშემწყობიცაა და არსებითიც“ (Commission on Human Security 2003: 96). ეს ითვალისწინებს ჯანდაცვასა და მის სერვისებზე წვდომას, ჯანმრთელობის ხელშეწყობას, დაავადებათა კონტროლსა და წყალსა და სანიტარულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობას. იმის მიუხედავად, რომ ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩო, ძირითადად, ე.წ. „გლობალური სამხრეთის“ პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენება, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მთავარ განსახილველ დაავადებებს შორის აივ ინფექცია/შიდსი, მალარია და

---

22 იხილეთ საქართველო - ქვეყნის გენდერული შეფასება (დეკემბერი 2018). აზიის განვითარების ბანკი, გვ.15 https://www.adb.org/documents/georgia-country-gender-assessment

23 იხილეთ კავკასიის ბარომეტრი (2020). Covid-19 მონიტორი, 2020, ტალღა 1. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/en/cv2020w1/CVFDACV-by-ETHNIC/

ტუბერკულოზი მოიაზრება, ახლად ჩამოყალიბებული დაავადებები, როგორებიცაა SARS, ღორის გრიპი (H1N1), ფრინველის გრიპი (H5N1), MERS და Covid-19, „გლობალური ჩრდილოეთის“ ეროვნული უშიშროების საფრთხედ იდენტიფიცირდა. უკანასკნელ წლებში, უსაფრთხოებაზე საუბრისას, განუწყვეტლივ ჩნდება ჯანდაცვის საკითხები. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისეთი გამოწვევები, როგორიცაა პანდემიები“, შეტანილია აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში.

ჩაუჰანის (2020) ორმოცდარვა გლობალური კვლევის სისტემური მიმოხილვა მიუთითებს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომავლობის პაციენტებს, შესაძლოა, ჯანდაცვის მიწოდებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაში უთანასწორობის გამოცდილება ჰქონდეთ, რაც სხვადასხვა სოციო-კულტურული ფაქტორითაა გამოწვეული. მკვლევართა გარკვეული ჯგუფი იმაზეც საუბრობს, რომ უმცირესობათა ჯგუფებში მყოფი პაციენტები ძირითად მოსახლეობასთან შედარებით ჯანმრთელობის გართულების უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან (Suurmond et al. 2010, Quin and Kumar 2014). Covid-19-ის პანდემიამ დაგვანახა, თუ როგორ ქმნის უთანასწორობა და ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები დაავადების გავრცელების პირობებს და როგორ არის ჯანდაცვის სერვისებში არსებული უთანასწორობა უფრო მაღალ სიკვდილიანობასა და გართულებებთან დაკავშირებული (Killerby et al. 2020, López-Gay et al. 2021). კვლევებმა (Greer et al. 2021) აჩვენა ისიც, რომ ინფორმაციაზე წვდომა პანდემიის გავრცელების წარმატებულ შეკავებას უწყობს ხელს (Chauhan et al. 2020, López-Gay et al. 2021).

ამასთან, კვლევით დადგინა, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობების ქალები ჯანდაცვის სერვისებზე წვდომისას გარკვეულ დაბრკოლებებს აწყდებიან. მართალია, თბილისში მცხოვრები ქალებისთვის ეს პრობლემად არ იდენტიფიცირდა, მაგრამ დედაქალაქის მიღმა მცხოვრებმა რესპონდენტებმა ჯანდაცვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემას გაუსვეს ხაზი. ინფორმაციის ნაკლებობა და რთული პროცედურები ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებზე წვდომის მთავარ პრობლემად გამოიკვეთა, რაც კიდევ უფრო რთულდება ენობრივი ბარიერის გამო. გარდა ამისა, როგორც სოფლად და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, სამედიცინო პერსონალის, კომპეტენციის ან რესურსების ნაკლებობის გამო, დროული მკურნალობა ვერ მიიღეს.

რესპონდენტების თქმით, ეთნიკური უმცირესობების ქალები რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებთან დაკავშირებითაც აწყდებიან დამატებით პრობლემებს. მარნეულის ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ინიციატივის შესახებ, რომ უმცირესობებში კონტრაცეფცია ხელმისაწვდომი იყოს და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმირებულობა გაიზარდოს. პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ენობრივი ბარიერის გამო ქალებს გინეკოლოგთან კონსულტაციაზე თანმხლები პირი ესაჭიროებათ. ხანდახან, ეს ადამიანი ქალის ქმარი ან მამაა, რაც დამატებითი სტრესია პაციენტებისთვის. სახალხო დამცველის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ოფისების წარმომადგენელთა შეფასებები თანხვედრაშია ფოკუსჯგუფის დაკვირვებებთან. ამასთან, ორივე წარმომადგენელი მთავარ დაბრკოლებად ინფორმაციის არსებობასა და ხელმისაწვდომობას მიიჩნევს.

აზერბაიჯანული ფოკუსჯგუფის რესპონდენტებმა გაიხსენეს პერიოდი, როდესაც Covid-19-ის პანდემიის გამო მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები მკაცრ საკარანტინო რეჟიმზე გადავიდნენ. ამ დროს ინტერნეტში აზერბაიჯანული წარმოშობის ეთნიკური უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენა გავრცელდა, რომელიც მათ კარანტინის წესების დარღვევასა და ჰიგიენის დაუცველობაში ადანაშაულებდა. ამის შემდეგ, აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა სოციალურ ქსელებში ანტიდისკრიმინაციული კამპანია დაიწყეს[24] და საზოგადოებას განუცხადეს, რომ ენობრივი ბარიერი და საინფორმაციო კამპანიის ნაკლებობა მხოლოდ ბოლნისსა და მარნეულში მცხოვრები აზერბაიჯანელების პასუხისმგებლობა არ არის. ამ კამპანიამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობასა და Covid-19-თან დაკავშირებით ინფორმირებულობის ამაღლების საჭიროებას გაუსვა ხაზი. ინციდენტმა ისიც აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ქართულად ვერ საუბრობენ, განსაკუთრებით მოწყვლადები არიან პანდემიის მსგავს საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობები მეტად მოწყვლადნი არიან გარე ექსპლუატაციის მიმართ, რადგან ხშირად უყურებენ რუსულ სატელევიზიო არხებს. მაგალითად, ინფორმაცია[25,26] გავრცელდა იმის შესახებ, რომ Covid-19-ის ერთ-ერთი ვაქცინის, სპუტნიკის (Sputnik V) პოპულარიზების მიზნით, რუსეთმა მედიკამენტების სააგენტოსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული სხვა ვაქცინების დასაკნინებლად კამპანია დაიწყო. საქართველოში ხელმისაწვდომი ვაქცინებისადმი ეთნიკური უმცირესობების მიერ ყოყმანის შესახებ სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელმა და ექსპერტმაც აღნიშნეს. მართალია, ვაქცინაციის საწინააღმდეგო ნარატივები ქართულ მედიაშიც გვხვდება, თუმცა რუსულ მედიაზე დამოკიდებულება, ჯანდაცვის ქართველი ექსპერტებისგან ინფორმაციის გარეშე, ეთნიკურ უმცირესობებს დეზინფორმაციისადმი მეტად მოწყვლადს ხდის. გარდა ამისა, ენობრივი ბარიერის გამო, საქართველოს ბევრი აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქე სხვადასხვა საინფორმაციო სივრცეში აგრძელებს არსებობას, რაც, ექსპერტის თქმით, უსაფრთხოების გამოწვევაა. სწორედ ამიტომ, სანდო არხებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არა მხოლოდ ადამიანის უფლება, არამედ ეროვნული უსაფრთხოების

---

24 #არადისკრიმინაციას – საქართველოს აზერბაიჯანელი მოქალაქეების აქცია სოციალურ ქსელში. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/aradiskriminacias-saqartvelos-moqalaqe-azerbaijanelebis-aqcia-socialur-qselshi/

25 უოლ სთრით ჟურნალი (მარტი 2021). ხელმისაწვდომია: https://www.wsj.com/articles/russian-disinformation-campaign-aims-to-undermine-confidence-in-pfizer-other-covid-19-vaccines-u-s-officials-say-11615129200

26 სამედიცინო ეკონომიკისა და ინოვაციების ცენტრი (მარტი 2021). ხელმისაწვდომია: https://medecon.org/russias-anti-vaccine-propaganda-is-tantamount-to-a-declaration-of-war/

პრიორიტეტიც უნდა იყოს.

ფოკუსჯგუფებიდან მიღებულმა მონაცემებმა და სახალხო დამცველის ოფისების წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ჯანდაცვის უსაფრთხოება სხვადასხვა სტრუქტურულ პრობლემას უკავშირდება, ფესვები კი უთანასწორობასა და ინფორმაციის ნაკლებ ხელმისაწვდომობაში აქვს. უთანასწორობა და ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები, ენობრივ ბარიერთან ერთად, ეთნიკური უმცირესობის ქალთა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისთვის (განსაკუთრებით, რეპროდუქციული ჯანმრთელობის) ორმაგ ბარიერს ქმნის. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის გარდა, Covid-19-მა ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების პოლიტიკის საკვანძო კომპონენტად აღქმის აუცილებლობა გაამყარა. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში საფრთხის აღქმა და შესაბამისი რეაგირება ტრადიციურლი უსაფრთხოების ნარატივებთან იყო დაკავშირებული. შედეგად, დღესდღეობით, Covid-19-ის უკონტროლო გავრცელების ფონზე, ქვეყნები ვირუსის მართვას ხშირად ჰიპერმილიტარიზებული ქმედებებით, სამხედრო პერსონალის ჩართვით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებითა და „უსაფრთხოების შესახებ საუბრისას“ სახელმწიფოს ძალაუფლების გაზრდით ცდილობენ. სამხედრო პერსონალს ჯანდაცვის კრიზისების მართვაში, შეიძლება, მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა ლოკალიზაციისა და გავრცელების შეჩერების ნაცვლად, პრევენციასა და საფრთხის შემცირებაზე დაფუძნებული ჯანდაცვის უსაფრთხოების პოლიტიკა აწარმოონ. ამასთან, ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა იცოდნენ, რომ ჯანდაცვის სხვადასხვა პოლიტიკას, კლასის, გენდერისა და ეთნიკურობის მიხედვით, განსხვავებული გავლენა აქვს. ამიტომ, დაცვასა და პრევენციაზე დაფუძნებული ინტერსექციური პერსპექტივები ჯანდაცვის უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს.

4.2.5 პოლიტიკური უსაფრთხოება

ეს ქვეთავი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა პოლიტიკურ უსაფრთხოებას იკვლევს. პოლიტიკური უსაფრთხოება მჭიდრო კავშირშია თემის უსაფრთხოებასთან და ადამიანების უფლებების პატივისცემას, რეპრესიების, დისკრიმინაციისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვას გულისხმობს (Human Security Unit 2009). პოლიტიკური უსაფრთხოება არა მხოლოდ იმას მოიაზრებს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს სახელმწიფოს ეთნიკური უმცირესობებისადმი, არამედ იმასაც, თუ ოფიციალურად რამდენად აღიარებს და იცავს უმცირესობათა ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს. ძალაუფლების სტრუქტურებში ეთნიკური უმცირესობის ქალთა არათანასწორი პოზიცია ძალადობის, გარიყულობისა და გაუცხოების მიმართ უფრო მოწყვლადს ხდის მათ. შესაბამისად, მაშინაც კი, როცა სახელმწიფო ცალსახად დისკრიმინაციულ პოლიტიკას არ ატარებს, თუმცა უმცირესობების დაცვისადმი მიმართულ საერთაშორისო პროტოკოლს ვერ ასრულებს, ეთნიკური უმცირესობების ქალთა პოლიტიკური უსაფრთხოება გარანტირებული არ არის. აქედან გამომდინარე, *„დისკრიმინაციის არ არსებობა ყველა ადამიანს შორის, განურჩევლად სქესისა, რელიგიისა, რასისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა“ (UNDP, 1994: 14)*, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების პრაქტიკულ შესრულებაზეა დამოკიდებული. სათემო უსაფრთხოების გაზრდის გზით პოლიტიკური გარიყულობის შემცირება უმნიშვნელოვანესია ეთნიკური უმცირესობების უსაფრთხოებაზე საუბრისას.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უსაფრთხოების საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირება იდენტობის მნიშვნელოვნების აღიარებას მოითხოვს. ეს, თავის მხრივ, აუცილებელია უსაფრთხოების გასაზრებლად (იხ. McSweeney, 1999: 5). ბევრი მკვლევარი (Zalewski 1998, Boulding 2000, Hansen 2000) ამტკიცებდა, რომ უსაფრთხოების დებატებში იდენტობა ხშირად ეთნიკურობისა და რასის გარშემო ტრიალებს, გენდერული იდენტობა კი შეუმჩნეველი რჩება. ლინ ჰანსენის (2000: 287) თქმით, გენდერული უსაფრთხოების პრობლემები „ხშირად მოიცავს სუბიექტის გენდერულ იდენტობასა და მისი იდენტობის სხვა, ეთნიკურ, ეროვნულ ან რელიგიურ ასპექტებს შორის მჭიდრო კავშირს“ და „რადგან გენდერი იშვიათად ქმნის კოლექტიურ, დამოუკიდებელ რეფერენტ ობიექტებს“, გენდერული უსაფრთხოება ხშირად იდენტობის სხვა ასპექტების კატეგორიის ქვეშ ჯგუფდება. „სუბსუმირებული უსაფრთხოების“ პრობლემის გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ აყალიბებს იდენტობა ეთნიკური უმცირესობების ქალთა უსაფრთხოების საჭიროებებს. ეთნიკურ იდენტობაზე დაფუძნებული პოლიტიკური დაუცველობიდან გენდერის გამოყოფასთან დაკავშირებული ანალიტიკური გამოწვევების მიუხედავად, რესპონდენტების ნარატივები ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ უსაფრთხოებაში გენდერის მნიშვნელობას სამი მთავარი კუთხით წარმოაჩენს:

- სახელმწიფოს უნარი, დაიცვას ეთნიკური უმცირესობების ქალები ისეთი მავნე პატრიარქალური პრაქტიკებისგან, როგორებიცაა გენდერული ძალადობა და ადრეული ქორწინება;
- სახელმწიფოს უნარი, დაიცვას ეთნიკური უმცირესობების ქალები დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენისგან;
- სახელმწიფოს პოლიტიკური მზაობა, გაზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა პოლიტიკაში და გააძლიეროს მათი აგენტობა.

პატრიარქალური სტრუქტურები ყველა ეთნიკური წარმომავლობის ქალზე ახდენს გავლენას, თუმცა სხვადასხვანაირად. როგორც წესი, ეთნიკური უმცირესობების ქალები ძალაუფლების იერარქიაში დაუცველები და მარგინალიზებულები არიან. შესაბამისად, სახელმწიფო ინსტიტუტებს მათი დაცვისადმი კულტურულად მგრძნობიარე მიდგომა უნდა ჰქონდეთ. ფიზიკური ძალადობისგან დაცვა, რაც ზემოთ იქნა განხილული, ერთ-ერთი მთავარი სფეროა, სადაც სახელმწიფოს გაძლიერებული პრაქტიკული ზომებია საჭირო. რამდენიმე რესპონდენტის თქმით, კულტურული სტერეოტიპების გამო, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ეთნიკური უმცი-

რესობების ქალებმა ძალადობის შესახებ განაცხადონ. ქვემოთ მოცემული ციტატა ცხადყოფს, რომ ეთნიკური უმცირესობების ქალთა მავნე პატრიარქალური პრაქტიკებისგან დაცვას ინფორმირებულობის ასამაღლებელი მიზნობრივი კამპანიები და კულტურულად მგრძნობიარე თეორიული ჩარჩოები სჭირდება:

ჩვენი ქალები ყოყმანობენ დახმარების თხოვნაში. რა თქმა უნდა, ასეა ქართულ მოსახლეობაშიც, მაგრამ უფრო მეტად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში. არ მიდიან პოლიციაში, იმიტომ რომ ეშინიათ, ეშინიათ რომ საზოგადოების განხილვის საგანი გახდნენ. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი)

ოჯახში ძალადობის გარდა, პატრიარქალურ ნორმებში ჩაბეჭდილი რეპრესიებისა და არასათანადო მოპყრობის კიდევ ერთი ფორმაა ადრეული ქორწინება. ეს უკანასკნელი პირდაპირ გავლენას ახდენს ეთნიკური უმცირესობების ქალთა პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე და შედეგად მოაქვს მათთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობებისადმი ნაკლები წვდომა; ასევე, დამაზიანებლად მოქმედებს ქალთა ჯანმრთელობაზე და შრომის ბაზრიდან მათ იზოლაციას იწვევს (სახალხო დამცველის ოფისი, მარნეული). საკუთარი უფლებების შესახებ შეზღუდული საგანმანათლებლო შესაძლებლობები კიდევ უფრო დიდ გავლენას ახდენს ეთნიკური უმცირესობების ქალთა დაბალ ინფორმირებულობაზე და უფრო მოწყვლადებს ხდის მათ დისკრიმინაციისადმი, საზოგადოებისგან გარიყვისა და საჯარო თუ პირად სივრცეში არასათანადო მოპყრობისადმი. შესაბამისად, სახელმწიფო ინსტიტუტების უნარი, მავნე პატრიარქალური პრაქტიკებისგან დაიცვან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, გადამწყვეტია მათი პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ეთნიკურ უმცირესობებში ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ შსს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ხშირად ატარებს ასეთ კამპანიებს; ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი ფეისბუქ გვერდზე ხშირად აქვეყნებს ინფორმაციას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ტრადიციული სექტორიდან შსს ყველაზე წარმატებული აქტორია, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ქალთა გენდერულ უსაფრთხოებაზე მუშაობს, პრობლემების გადაჭრისადმი კულტურულად მგრძნობიარე თეორიული ჩარჩოების შესაქმენლად მეტი ძალისხმევაა საჭირო და მათში მავნე პატრიარქალური პრაქტიკების გენდერული ბუნების ასახვა.

ეთნიკური უმცირესობის ქალთა დაცვა დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენისგან მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც კვლევაში გამოიკვეთა. დისკრიმინაციასთან დაკავშირებით რესპონდენტების პასუხები გარკვეულწილად შერეული აღმოჩნდა. დისკრიმინაციის თემის განხილვისას, რესპონდენტთა უმეტესობა არა გენდერზე, არამედ ეთნიკურობაზე აკეთებდა აქცენტს. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობის ქალთა შემთხვევაში, გენდერული უსაფრთხოების პრობლემები ხშირად ეთნიკური იდენტობის ქვეშ ექცევა. „სუბსუმირებული უსაფრთხოება“ ეთნიკური უმცირესობის ქალთა დისკრიმინაციის გამოცდილებაში გენდერის მნიშვნელობის შეფასებას ანალიტიკურად აბრკოლებს.

მარნეულის ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა რესპონდენტმა ღია და ფარულ დისკრიმინაციაზე ისაუბრა. რესპონდენტთა უმრავლესობას სჯერა, რომ ღია დისკრიმინაციის შემთხვევები შემცირდა, ფარული დისკრიმინაცია კი სხვადასხვა ფორმით ავლენს თავს. მთლიანობაში, თბილისში მცხოვრები რესპონდენტები ეთნიკური უმცირესობების პრობლემებისადმი სახელმწიფოს მიდგომას უფრო დადებითად აფასებენ. ზოგიერთ მათგანს უფრო მეტად სოციალიზაციის აგენტები, სკოლა ან მედია, აწუხებთ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, უმცირესობებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და დისკრიმინაცია უფრო მეტად არა სახელმწიფოსგან, არამედ საზოგადოებიდან მოდის: „ხანდახან ეს საზოგადოებიდან მოდის, მაგრამ ეს არ არის მთავრობის ან სახელმწიფოს მხრიდან და ეს მამშვიდებს. საზოგადოებაში ისევ არის ასეთი მიდგომა. თუ სომეხი ან აზერბაიჯანელი ხარ, ერთი ნაბიჯით ქვემოთ ხარ“ (თბილისის ფოკუსჯგუფი, ეთნიკურად სომეხი ქალი, შერეული ასაკობრივი ჯგუფი). მეორე მხრივ, ზოგიერთმა რესპონდენტმა მათ მიმართ ხელისუფლების დისკრიმინაციულ მიდგომას გაუსვა ხაზი. ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ ეთნიკური უმცირესობებისადმი ყველა მთავრობას ერთნაირი მიდგომა ჰქონდა. იგი თვლის, რომ მთავრობის წარმომადგენლები უნდა მოერიდონ ღიად დისკრიმინაციული განცხადებების კეთებას: „ხანდახან მთავრობის წარმომადგენლები მოდიან და დისკრიმინაციულ განცხადებებს აკეთებენ [...] თუ ხელისუფლების წარმომადგენელი ასეთ რამეს აკეთებს, რატომ უნდა გამიკვირდეს თუ ჩვეულებრივი მოქალაქეც იგივეს იზამს?“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი, 18-29 ასაკობრივი ჯგუფი).

გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობების ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან სიძულვილის ენის მიმართ: „ჩვენ არ შეგვიძლია სოციალურ მედიაში თავის დაცვა ისე, როგორც კაცებს“, აღნიშნა ერთ-ერთმა მონაწილემ. სახელმწიფოს ცნობადობის გაზრდითა და მკაცრი სამართლებრივი მექანიზმების დანერგვით განსაკუთრებული როლი აქვს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრიმინაციულ პრაქტიკებთან დაკავშირებით რესპონდენტებს განსხვავებული დამოკიდებულებები ჰქონდათ, მაგრამ გავრცელებული სიძულვილის ენა და ყოველდღიურად განცდილი დისკრიმინაცია ბევრმა მათგანმა ახსენა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც ფოკუსჯგუფების მონაცემებით გამოვლინდა, განათლებას, დისკრიმინაციასა და პოლიტიკურ უსაფრთხოებას შორის კავშირია. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ განათლების ხელმისაწვდომობა უსაფრთხოების საკითხია: „უსაფრთხოება განათლებაა, ანუ, ადამიანი, რომელსაც საკუთარი უფლებები ესმის, დაცულია“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი,

ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალი, 18-29 ასაკობრივი ჯგუფი). სხვა რესპონდენტის თქმით კი: „ყველაზე დიდი დისკრიმინაცია ისაა, რომ [ეთნიკურ უმცირესობებს] არ აქვთ ხარისხიან განათლებაზე წვდომა და ამისგან განსაკუთრებით ქალები იტანჯებიან“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალი, 18-29 ასაკობრივი ჯგუფი). ნათელია, რომ ხარისხიან განათლებაზე წვდომა გადამწყვეტი საკითხია ქალების ემანსიპაციისა და დაცულობისთვის. იგი, ასევე, ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია ადრეული ქორწინებისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

გარდა ამისა, რადგან ენობრივი ბარიერი ეთნიკური უმცირესობის ქალებისთვის ბევრ საგანმანათლებლო შესაძლებლობაზე წვდომის შემაფერხებელი ფაქტორია, აუცილებელია ადგილობრივი ენის ცენტრების დაფინანსება. ენის ცენტრებს მოქნილი სამუშაო საათები უნდა ჰქონდეთ, რაც ქალებს საშუალებას მისცემს, სწავლა ყოველდღიურ საქმიანობასა და სამსახურთან შეათავსონ. რელევანტურმა დაინტერესებულმა პირებმა ინკლუზიური განათლებისთვის ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ. უნდა შემუშავდეს სპეციალური ტრენინგ მოდულები, რათა ქართულ ენასა და ეთნიკური უმცირესობების ენებზე არსებულ სკოლებს შორის განათლების დონეში არსებული სხვაობები შემცირდეს.

ეთნიკური უმცირესობების ქალთა წარმომადგენლობის გაძლიერებით პოლიტიკაში მათი რეპრეზენტაციის უზრუნველყოფა პოლიტიკური დაცულობის აუცილებელი კომპონენტია. ახლანდელი სახელმწიფოს ცხრა რეგიონული რწმუნებულიდან არც ერთია ქალი,[27] and no woman with an ethnic minority background has ever held this position. Combined with the lack of female representation in politics, EMW face multiple additional obstacles related to their gender and ethnicity that hinder their involvement in formal and informal political processes.

> *რაც შეეხება პოლიტიკურ ჩართულობას, წინა პერიოდებში არგუმენტად იმას გვეუბნებოდნენ რომ ენის ბარიერი გვაქვს და ამის გამო პოლიტიკურ ჩართულობას ვერ შეძლებთ, ახლა ახალგაზრდებმა ქართული ენა კარგად იციან და მაინც არსებობს ბარიერები, მაინც დისკრიმინაციული პროცესებია. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი 18-29).*

მარნეულის ფოკუსჯგუფის (ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი) ერთ-ერთმა მონაწილემ გაიხსენა, რომ სატელევიზიო დებატებისას, მოდერატორმა საკრებულოს კაც კანდიდატს ჰკითხა, რატომ არ იყვნენ სიაში ქალები: „მან უპასუხა, რომ სათანადო გამოცდილებისა და უნარების მქონე ერთი ქალიც ვერ იპოვეს! ჩვენ ვიცინოდით, მაგრამ არა იმიტომ, რომ სასაცილო იყო, ეს აბსურდი იყო!.“ სხვა რესპონდენტმა ხაზი იმ სტრუქტურულ შეზღუდვებსა და დისკრიმინაციას გაუსვა, რომლებსაც ისინი საკუთარი ხმის გაჟღერების მცდელობისას აწყდებიან. მან გაიხსენა შეხვედრა ადგილობრივ სამთავრობო წარმომადგენელთან, რომელმაც უთხრა, რომ არასდროს აირჩევდნენ მას, რადგან ადგილობრივი მთავრობის ოფისში მის ბრძანებებს არავინ შეასრულებდა. როგორც ჩანს, ადგილობრივ დონეზე, ქალების პოლიტიკაში ჩართვის მთავარი ბარიერი მათი გენდერია, რაც ეროვნულ დონეზეც ნათელია. 1991 წლის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს მთავრობაში მნიშვნელოვანი პოზიცია არც ერთ აზერბაიჯანელ ან სომეხი წარმოშობის ქალს არ ჰქონია. ისინი არც ახლანდელი მოწვევის პარლამენტში არიან წარმოდგენილნი.

ქალების პოლიტიკური ჩართულობის ბარიერებზე ისაუბრეს სახალხო დამცველის მარნეულისა და ახალქალაქის ოფისის წარმომადგენლებმაც. მათი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა შინ შრომის ტვირთია, რაც ქალს ნაკლებ დროსა და შესაძლებლობას უტოვებსპოლიტიკური აქტიურობისთვის. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი უკავშირდება კულტურულ ნორმებსა და იმ იმედის ნაკლებობას ქალებში, რომ მოუსმენენ მას: „კულტურული ბარიერები აქ ძალიან მნიშვნელოვანია, ქალებს, როცა ხმის გაჟღერებას ცდილობენ, ხშირად ეუბნებიან, რომ ეს მათი საქმე არაა“ (სახალხო დამცველის ოფისი, მარნეული). კიდევ ერთი პრობლემაა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების/ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, საზოგადოების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისას, გენდერულად დატვირთულ კულტურულ სპეციფიკებს არ ითვალისწინებენ. მაგალითად, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის დაკვირვებით, მარნეულში შეხვედრები და საჯარო კონსულტაციები ხშირად ჩაიხანაში ტარდება:

> *ჩაიხანა ითვლება კაცების შეკრების ადგილად, და ამ კულტურული ბარიერების გამო, ჩაიხანაში ქალები არ მივლნენ, ეს არის გამორიცხული, ვგულისხმობ ეთნიკურ უმცირესობებს. ამიტომ როცა ხარ თვითმმართველობის წარმომადგენელი და ჩაიხანაში აანონსებ სოფლის მოსახლეობასთან შეკრებას, იმთავითვე გამორიცხავ რომ ქალები უნდა იყვნენ მონაწილეები (სახალხო დამცველის ოფისი, ქვემო ქართლი).*

შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად, თემაში ჩართულმა მხარეებმა მეტი ძალისხმევა უნდა ჩადონ მათი სპეციფიკური საჭიროებების გაჟღერებაში და სხვადასხვა კულტურული და პრაქტიკული ბარიერებიცგაითვალისწინონ. ეს მოიცავს შეხვედრებისთვის ნეიტრალური ადგილების შერჩევას (მაგალითად, ბაღები, სკოლები ან პარკები) და მოქნილ განრიგს (ტრანსპორტის სამუშაო დროისა და საშინაო ზრუნვის პასუხისმგებლობების გათვალისწინება). და, რაც მთავარია, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივი მთავრობების წარმომადგენელთა ინფორმირებისთვის საჭიროა ტრენინგებისა და გადამზადებების დაფინანსება და ადგილობრივი გენდერული საბჭოების დაწესებით პრაქტიკული და ორგანიზებული ძალისხმევა.როგორც ზემოთ ითქვა, პოლიტიკური დაცულობის სექტორში ქალთა ემანსიპაციისა და გაძლიერების მისაღწევად აუცილებელია ეთნიკური უმცირესობების ქალთა გაზრდილი პოლიტიკური რეპრეზენტაცია. ეთნიკური უმცირესობების ქალთა პირდაპირი რეპრეზენტაცია მათი პრობლემების შესაბა-

---

27 საქართველოს მთავრობა - სახელმწიფო რწმუნებულები. მოძიებულია 2021 წლის 3 ოქტომბერს: http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=373

მის მოგვარებასაც შეუწყობს ხელს. რესპონდენტებს სჯერათ, რომ თუ ეთნიკური უმცირესობების გარიყულობა გაგრძელდება, აღნიშნული პრობლემების გადაჭრა შეუძლებელი გახდება. ერთ-ერთმა რესპონდენტმა უმცირესობების გარიყულობის, დისკრიმინაციისა და გაუცხოების წინააღმდეგ შესაბამისი სამართლებრივი ზომებისა და ძლიერი პოლიტიკური სურვილის ქონის საჭიროებასაც გაუსვა ხაზი.

ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია, და იმიტომ ვერ ხდება ამდენი ხნის განმავლობაში ინტეგრაცია, რომ არასწორი პოლიტიკა მიმდინარეობს და ეს პოლიტიკა გაუცხოების პოლიტიკაა. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ მე თავს ყოველთვის უცხოდ ვგრძნობ, იმიტომ რომ ამას მაგრძნობინებენ. მხოლოდ ჩემს გონებაში არ ხდება ეს, ხომ? ყოველ ნაბიჯზე მახსენებენ, რომ შენ ხარ მოსული, შენ ხარ სტუმარი, შენ არ ეკუთვნი ამ მიწას, ამ წყალს. აი, ეს არის პრობლემა, ეს მიდგომა ყველგან გვხვდება და ხელს გვიშლიან, რომ ჩვენ თავი ვიგრძნოთ სრულყოფილ მოქალაქეებად. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართალია, პოლიტიკური უსაფრთხოება ადამიანის დაცულობის ერთ-ერთი ყველაზე ფართო და მნიშვნელოვანი ასპექტია, მაგრამ სხვადასხვა იდენტობაზე დაფუძნებული დაუცველობის ერთმანეთისგან დაშორება ანალიტიკურ გამოწვევას უკავშირდება. კვლევა აჩვენებს, რომ პოლიტიკის დონეზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების უსაფრთხოების პრობლემები ხშირად ერთმანეთს გადაფარავს და ერთი პრობლემა მეორე პრობლემის ხარჯზე იკარგება. თავიანთ უსაფრთხოებას ანალოგიურად აღიქვამენ თავად ქალები. პოლიტიკის დონეზე, სახელმწიფო ინსტიტუტები ეთნიკური უმცირესობების ქალთა სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებას ვერ ახერხებენ. გარდა ამისა, მათი პრობლემები არა ინტერსექციური მიდგომით (ორმაგი დაუცველობის ასახვით), არამედ ცალცალკე - უფრო მეტად ეთნიკურ ან უფრო ზოგად გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკით განიხილება. რესპონდენტთა ნარატივებმ აჩვენა ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების ქალების დასაცავად მავნე პატრიარქალური პრაქტიკების, დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენისგან, საჭიროა მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევა; ასევე, მნიშვნელოვანია, ეთნიკური უმცირესობების ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა პოლიტიკაში და მათი რეპრეზენტაციისა და პრობლემების არტიკულაციისთვის უსაფრთხო არხების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, კვლევით ისიც დადგინდა, რომ ფოკუსჯგუფების მონაწილეებს უჭირთ საკუთარი ორმაგი დაუცველობის აღქმა. საზოგადოებისგან გარიყვის, დისკრიმინაციისა და არასათანადოდ მოპყრობის გამოცდილებების განხილვისას, მათი უმეტესობა ეთნიკურ იდენტობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების ასპექტებს უსვამს ხაზს, ხოლო გენდერი უფრო რელევანტური პირადი უსაფრთხოების კომპონენტში იყო. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების ქალთა ორმაგ მოწყვლადობზე საპასუხოდ ინტერსექციური მიდგომაა საჭირო. „სუბსუმირებული უსაფრთხოება“ შეიძლება, ინტერსექციური მიდგომით შემსუბუქდეს, რომელიც ქალების დაცვით, მათი ემანსიპაციითა და ინკლუზიური წარმომადგენლობით, საფუძველს ჩაუყრის ეთნიკური უმცირესობების ქალთა პოლიტიკურ უსაფრთხოებას.

4.3 უსაფრთხოება, საზღვრები და ტერიტორიული კონფლიქტები

ეს ქვეთავი უსაფრთხოების დომინანტური ნარატივების, ტერიტორიული კონფლიქტებისა და მათგან გამოწვეული უსაფრთხოების/საფრთხის გამოცდილების შესახებ ეთნიკური უმცირესობების ქალთა შეხედულებებს იკვლევს. სამხრეთ კავკასიის შიდა და რეგიონული დაძაბულობის გათვალისწინებით, ეთნიკური კონფლიქტებისა და უშიშროების თემები ხშირად „გეოპოლიტიკის“ ტერმინის ქოლგის ქვეშ განიხილება. შედეგად, „გეოპოლიტიკის“ ქვეშ მონიშნულ საკითხებს პრიორიტეტი ენიჭებათ სამეცნიერო ნაშრომებისა და მედიით გაშუქების გზით ცოდნის წარმოებასა და რეპროდუქციაში. ამის გათვალისწინებით, კონფლიქტებში ცხოვრების გამოცდილება და ქალების ყოველდღიური უსაფრთხოება შეუსწავლელი რჩება (Ziemer 2020). რესპონდენტების ნარატივებიდან ირკვევა, რომ ქალები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ უსაფრთხოებას ომისა და მშვიდობის დროს. უსაფრთხოების მათეული გაგება ბევრად ფართოა, ვიდრე სამხედრო თვალსაზრისით კონფლიქტის შედეგები.

სამმა ტერიტორიულმა კონფლიქტმა სამხრეთ კავკასიაში და მისმა შემდგომმა მოვლენებმა განსხვავებულად იმოქმედა კვლევის რესპონდენტებზე. აზერბაიჯანული ფოკუსჯგუფის მონაწილე რამდენიმე რესპონდენტმა მთიანი ყარაბაღის ომის გამო საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაძაბულობის ზრდაზე მიუთითა: *„მე ბევრი სომეხი მეგობარი და ნაცნობი მყავდა ომამდე. ომის შემდეგ ჩვენი ურთიერთობები დაიძაბა“ (თბილისის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, შერეული ასაკობრივი ჯგუფი).* რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ კონფლიქტი საქართველოში მათ ყოველდღიურ ცხოვრებას არ უნდა შეეხოს და დაძაბულობის თავიდან არიდებას უნდა ეცადონ: *„ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ და დაძაბულობას ვერიდოთ. იქ [საქართველოს ფარგლებს გარეთ] მიხედავენ სიტუაციას. აქ მეგობრულები უნდა ვიყოთ“. (თბილისის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, შერეული ასაკობრივი ჯგუფი).* რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ ყარაბაღის კონფლიქტი, მეზობლური ურთიერთობის შესაძლო გაუარესების გამო, საქართველოში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხე იყო: *„ეთნიკურად აზერბაიჯანელები და სომხები აქ წლები ცხოვრობდნენ ერთად და სრულიად განსხვავებული ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, 18-29 ასაკობრივი ჯგუფი).* რამდენიმე რესპონდენტმა შეშფოთება გამოხატა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციის გამო მათ მეგობრულ თანაცხოვრებას საფრთხე ემუქრებოდა.

მეტიც, ტერიტორიული კონფლიქტების განხილვისას, რესპონდენტებზე, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე კონფლიქტთან შედარებით უფრო დიდი გა-

ვლენა საქართველოში მომხდარმა კონფლიქტებმა მოახდინა. ისინი მეტად განიცდიან სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს: *„სამაჩაბლო და აფხაზეთი ჩვენი სამშობლოს ნაწილია და ყოველთვის ასე იყო... რა თქმა უნდა, ყველას გვინდა გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრება.“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, 18-29 ასაკობრივი ჯგუფი)*

ყარაბაღის შემთხვევაში, ჩვენზე არ უმოქმედია იმდენად, რამდენადაც ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ. რა თქმა უნდა, ძალიან ვწუხვართ ამ ყველაფრისთვის, მაგრამ აი 2008-ში რომ მოხდა ის ომი, ძალიან შეგვეშინდა, მე მახსოვს რომ მარნეულიდან ძალიან ბევრი წავიდა ომში და მიიღეს მონაწილეობა და ბევრი სამწუხაროდ გარდაიცვალა იქვე. მაშინ ვნახე, რამდენად უყვართ ჩვენს ხალხს ქვეყანა. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)

კავკასია გეოგრაფიულად შედარებით მცირე ტერიტორიაა იმისათვის, რომ არ იგრძნობოდეს ტერიტორიული და ეთნიკური კონფლიქტების დაძაბულობა. ბუნებრივია, ყოველდღე მტანჯველია იმ ამბების წაკითხვა, რომ სამაჩაბლოში ჩვენს მოქალაქეს იტაცებენ. როცა ჩვენს მოქალაქეებს გალში არ უშვებენ სამკურნალოდ, ეს იწვევს ღრმა აღშფოთებას და განსაკუთრებით ეს მომენტი მიჭირს, როცა ისინი ბორდერიზაციის მოწმენი არიან, როცა მათი სახლები, ბაღები, სასაფლაოები მავთულხლართებს მიღმაა. ხალხს არ აქვს წვდომა საკუთარ სახლთან. მთიანი ყარაბაღი მეზობელი ქვეყნის ტკივილია, სადაც ჩვენთვის ეთნიკურად იდენტური ხალხი ცხოვრობს, მაგრამ საკითხი კვლავ აზერბაიჯანთან საზღვრის დემარკაციაშია. სამწუხაროდ, რუსეთი ამ თემას ჩვენს საზოგადოებაში აგდებს და ჩვენს ქვეყანაში უთანხმოებას იწვევს და ბევრს ეს არ ესმის. მათ არ შეუძლიათ სწორად შეაფასონ არსებული მდგომარეობა და ჰყვებიან პროვოკაციებს.[28] *(მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 30 და მეტი)*

საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე მონასტრის, დავით გარეჯის,[29] საკითხის პოლიტიზირებამ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ ადამიანებზე მტკივნეულად იმოქმედა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დავით გარეჯის გარშემო დაძაბულობის პერიოდში მან დიდი ემოციური და ფსიქოლოგიური სტრესი განიცადა: „ახლა უკვე მივეჩვიე, იმიტომ, რომ ადამიანების აზრის შეცვლა რთულია. საქართველო ჩემი სამშობლოა და როცა სხვაგვარად ამბობენ, მტკივნეულია“. ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ხშირად აიძულებენ, დავით გარეჯთან მიმართებაში რომელიმე მხარე დაიკავონ, რასაც ხანდახან კონფლიქტიც მოყვება ხოლმე. მას სჯერა, რომ აღნიშნული პრობლემა სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს და ჩვეულებრივი ადამიანები მთავრობის ნაბიჯებზე არ უნდა აგებდნენ პასუხს:

მაგალითად, დავით გარეჯი, მე თუ მკითხავ, საქართველოს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ქრისტიანული ძეგლია, მაგრამ იცი, როცა ამ თემაზე დისკუსიაა, ხშირად მე მაბრალებენ, თითქოს ჩემი ბრალია, რაც ხდება, არადა ეს ყველაფერი ქვეყნებს შორის წყდება, ვინ მკითხა მე გარეჯი საქართველოს უნდა ეკუთვნოდეს თუ აზერბაიჯანს?! ეს პირადად ახდენს ჩემზე გავლენას (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)

რესპონდენტების პასუხები აჩვენებს, რამდენად დიდ და მრავალმხრივ გავლენას ახდენს ტერიტორიული კონფლიქტები უმცირესობათა ქალების უსაფრთხოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ომით პირდაპირი გზით არ დაზარალებულან, მათ განიცადეს ბულინგი, დაძაბულობა და ღრმა ემოციური სტრესი. ბევრი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ კაცების მიერ დომინირებული საგარეო პოლიტიკა, თავდაცვისა და დიპლომატიის სისტემები ქალებსა და სხვა უმცირესობებს გამორიცხავს (Togeby 1994, Bashevkin 2014, Enloe, 2004 2014). ტრადიციულად, მამრობითი სქესით დომინირებულ ინსტიტუტებში მეტი ქალის რეპრეზენტაციამ, შესაძლოა, მშვიდობის ახალი პერსპექტივა მოიტანოს. ამასთან, გაეროს უშიშროების საბჭოს N1325-ე რეზოლუციის ეფექტური განხორციელება სამშვიდობო პროცესებში ქალთა უშუალო მონაწილეობაზე დგას. პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ლიდერობისა და პატრიარქალური აღქმის მიღმა არსებული დაუცველობების დასაფიქსირებლად აუცილებელია საგარეო პოლიტიკის შემუშავების ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება. ქალებს, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, სამხრეთ კავკასიის დაძაბულ რეგიონში მდგრადი მშვიდობის დამყარებაში, ფორმალურ დიპლომატიურ საუბრებში მონაწილეობითა და ხალხთაშორის დიალოგების პოპულარიზებით, უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ.

4.4 ხმა და ქალთა აგენტობა: წინააღმდეგობის გაძლიერება

თავში, რომელიც პირად დაცულობას ეხება, განხილულია უსაფრთხოების უხმო დილემა, რომელსაც ეთნიკური უმცირესობების ქალები ხმის გაჟღერებისას აწყდებიან. ეთნიკური უმცირესობების ქალთა დუმილი ადამიანის უსაფრთხოების სხვა კომპონენტებშიც, მაგალითად, ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და პოლიტიკურ უსაფრთხოებაშიც, ჩვეულებრივი მოვლენაა. და თუ ხმას აიმაღლებენ, ხშირად შეახსენებენ ხოლმე, რომ „ჩვენ მხოლოდ სტუმრები ვართ, და თუ არ მოგვწონს, შეგვიძლია, იქ დავბრუნდეთ, საიდანაც მოვედით“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29). როგორც მანამდე ითქვა, მოწყვლადი ჯგუფების არასტაბილური უსაფრთხოება ხშირად მათ უხილაობაზეა დამოკიდებული. უსაფრთხოების დისკურსში კი, ადამიანის მოსმენისა და დაცვის ღირს ობიექტად აღქმისთვის, აუცილებელია ხმის ქონა. ეთნიკური უმცირესობების **ბრძოლისა და გენდერული დაუცველობის პრობლემატიზაციის ბირთვს ქალთა აგენტობა წარმოადგენს.** ეს თავი ხაზს უსვამს უსაფრთხოების კვლევების „მეტყველების აქტზე,“ როგორც დაუცველების არტიკულაციის საშუალე-

28 თარგმნილია რუსულიდან (ავტ.)

29 დავით გარეჯთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია იხილეთ: რადიო თავისუფლება

ბაზე, დაყრდნობის პრობლემურობას და აგენტობის არადისკურსულ გამოხატულებაზე გვთავაზობს აქცენტის გადატანას. ამგვარი მიდგომა ქალთა ხმების იდენტიფიცირებასა და გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

უსაფრთხოების ეთიკური და ემანსიპატორული მიდგომის ჩამოყალიბების პროცესში, უსაფრთხოების კრიტიკული კვლევები ადგილობრივი თემის (grassroots) აქტივიზმსა და შეწინააღმდეგების (resistance) მნიშვნელობას უსვამს ხაზს (Booth 2007; Wyn Jones 1999, Katlofen 2013). კენ ბუსმა უსაფრთხოება განმარტა როგორც წინააღმდეგობისა და ემანსიპაციის პრაქტიკა (2007: 202). დომინანტური უსაფრთხოების ნარატივები ხშირად უსაფრთხოების ალტერნატიული დისკურსების ფონზე, აქტივისტების მიერ საფრთხის, საშიშროებისა და დაცულობის საკუთარი ნარატივების პარალელურად იქმნება (Rossdale 2017). უსაფრთხოების ამ ალტერნატიული ხედვებიდან ბევრი ადამიანის დაცულობის დისკურსის გარშემო ტრიალებს (2017: 203), რადგან ადამიანის დაცულობა საფრთხის ვიწრო გაგების მიღმა რჩება. წინააღმდეგობის ის დისკურსებიც კი, რომლებიც უსაფრთხოების ენის აშკარა მობილიზებას არ ემსახურება, შეიძლება, გავიგოთ როგორც უსაფრთხოების პოლიტიკის ალტერნატიული თეორიული ჩარჩოების განვითარების პროცესი (2017: 3). შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების ქალთა აქტივიზმი და დაუცველობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები დაცულობის ალტერნატიული პრაქტიკების ჩამოყალიბების მცდელობად უნდა მივიჩნიოთ.

არსებობს მოსაზრება, რომ ეთნიკური უმცირესობები საქართველოში პოლიტიკურად და სოციალურად აქტიურები არ არიან. ექსპერტებმა ხაზი იმასაც გაუსვეს, რომ საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქეების პოლიტიკური ჩართულობა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე შედარებით დაბალია. ეროვნულ დონეზე ორივე ჯგუფი ხელოვნურადაა წარმოდგენილი, ადგილობრივ დონეზე კი პოლიტიკური მონაწილეობა ჯავახეთში უფრო მაღალია, ვიდრე ქვემო ქართლში (დარგის ექსპერტი). იმის მიუხედავად, რომ ეთნიკური უმცირესობების ქალთა ეროვნული პოლიტიკის დონეზე ჩართვა კვლავაც დაბალია, საკუთარ თემში ისინი თანდათან უფრო აქტიურები ხდებიან.

რესპონდენტების ნარატივებში უხვადაა წარმატებისა და ბრძოლის ისტორიები.[30] ბევრმა მათგანმა აღნიშნა, რომ რამდენჯერმე შეძლეს ადგილობრივ მთავრობასთან სხვადასხვა მოთხოვნებით მობილიზება, ზოგიერთმა მათგანმა კი ადრეულ ქორწინებასა და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის გასაზრდელად აქციების ორგანიზებაც შეძლო. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ტრენინგებისა და ვორქშოპების ორგანიზებაში ხშირად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ამასთან, ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემაზე ინფორმირებულობის ასამაღლებლად აქციებსაც აწყობს ხანდახან: *„ქუჩებში ფლაერებით და ბანერებით დავდიოდით, რომ გამოგვეხატა, რისი თქმაც გვინდოდა“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29).* ზოგიერთი მათგანი პოლიტიკური რეპრეზენტაციის მოთხოვნით აქტიურობს; ერთ-ერთმა კი აღნიშნა, რომ ხშირად ხვდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა საკუთარი პრობლემები გააცნოს. კიდევ ერთმა მონაწილემ პატრულის შენობასთან ერთი ადამიანის გაფიცვა მოაწყო იმის გამო, რომ პოლიციელებმა ოთხი წლის ბავშვი დაკითხეს. სხვა რესპონდენტმა კი გაიხსენა, როგორ ლობირებდნენ აქტიურად, რომ გამგებელი აზერბაიჯანელი ქალი გამხდარიყო. ქალი კანდიდატის ლობირებას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აქტივისტებს განუცხადეს, რომ მათ კანდიდატს შანსი არ ჰქონდა, რადგან ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალი იყო და კაცები არ დაემორჩილებოდნენ. ამის მიუხედავად, ქალებმა აღნიშნული კანდიდატის მხარდაჭერა მაინც განაგრძეს. ასევე, ერთ-ერთმა მონაწილემ გაიხსენა, რომ საკუთარი კანდიდატის წარსადგენად შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, შეადგინეს პეტიცია და განსახილველად წარადგინეს. მარნეულის ფოკუსჯგუფის მონაწილეების თქმით, ქალ კანდიდატს საკუთარ თემში შთამბეჭდავი მხარდაჭერა ჰქონდა და სხვებისთვის მაგალითი იქნებოდა, თუ ერთი ქალი მაინც გახდებოდა გამგებელი.

ფოკუსჯგუფისა და ექსპერტთან ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ ინკლუზიურობისა და მდგრადი განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვემოდან ზემოთ გაძლიერების გზაა: *„თუ ცვლილებების განხორციელებას ადგილობრივ დონეზე არ დაიწყებ, ვერასდროს გექნება პრობლემის გლობალური გადაჭრის გზები; ქვემოდან უნდა დავიწყოთ და არა დეკლარაციებისა და ზოგი ნარატივის დონიდან, ანუ ზემოდან“,* - აღნიშნა დარგის ექსპერტმა. თემის დონეზე ინიციატივებისა და თემის წევრების პრობლემების გადაჭრაში ჩართვის მხარდაჭერა აუცილებელი ნაბიჯია მათი გაძლიერებისა და დაცულობისთვის:

> *„ჩვენ, უშუალოდ თემის წარმომადგენლები გამოვდივართ და ღიად ვსაუბრობთ პრობლემებზე და ზოგ შემთხვევაში არა მარტო ვლაპარაკობთ, არამედ მოგვარებასაც ვთავაზობთ. გადაჭრის გზებსაც ვთავაზობთ. ეს არის შედეგი, რომელიც აშკარაა. (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29)*

> *7-8 სათემო ორგანიზაციაა სოფელში. ჩვენი აქტივიზმის 90% არის მოხალისეობრივი. ჩვენი ძირითადი საქმიანობები მოიცავს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას მათი უფლებების შესახებ, გენდერული საკითხების შესახებ. ამ სათემო ინიციატივების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ ქალი, ასაკობრივი ჯგუფი: 18-29).*

გარდა ამისა, თემის წევრების ინკლუზიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზა მათი ჩართულობით ზედამხედვე-

30 შერჩევისას, შესაძლოა, გარკვეული მიკერძოება არსებობდეს, რადგან კვლევაში მონაწილეობა ეთნიკური უმცირესობების შედარებით აქტიურმა ქალებმა მიიღეს. მართალია, მსგავსი მცირე შერჩევითი ერთობლიობის მქონე თვისებრივი კვლევის შედეგების გენერალიზება შეუძლებელია და ეს მოცემული კვლევის მნიშვნელოვანი შეზღუდვაა, თუმცა რესპონდენტთა ნარატივები მაინც ასახავს ეთნიკური უმცირესობების ქალთა მზარდ წარმომადგენლობას ადგილობრივ დონეზე.

ლობის მექანიზმების ჩამოყალიბებაა. როგორც ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, ძალიან ცოტა ორგანიზაცია აქვეყნებს მთავრობის სამოქმედო გეგმების ალტერნატიულ ანგარიშებს, რადგან: „ეს პროცესები ძალიან ძვირი ჯდება და შესაბამისად, ბევრ ორგანიზაციას ამის საშუალება არ აქვს! [...] ძლიერი ორგანიზაცია, კანონის უზენაესობა, დამოუკიდებელი სასამართლო. ამ სტრუქტურების ერთიანობის გარეშე ვერასდროს შევძლებთ ლამაზად დაწერილი კანონების ამუშავებას“ (მარნეულის ფოკუსჯგუფი, აზერბაიჯანელი ეუქ, ასაკობრივი ჯგუფი 30 და მეტი).

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები უფრო და უფრო მეტად ერთვებიან სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში, მათი წარმომადგენლობა დიდწილად კვლავაც შეუმჩნეველი რჩება. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მოწყვლადი ჯგუფების ხმები ხშირად არ ჟღერდება, ისაა, რომ წინააღმდეგობის არადისკურსულ ფორმებს მხარდაჭერა და მედიის მხრიდან საკმარისი პოზიტიური გაშუქება არ აქვს. ამის გამო ისინი არსებობას წვეტენ. ეთნიკური უმცირესობების ქალთა ხმების შემჩნევისა და გაგებისთვის აუცილებელია ადგილობრივი სათემო ინიციატივების გაძლიერება და მათი წარმომადგენლობის აღიარება.

ტრენინგების საშუალებით ადგილობრივი თემის გაძლიერება და აქტივიზმისთვის აუცილებელი უნარებით აღჭურვა, გადამწყვეტია: „მათ ბრძოლის საშუალებები უნდა ასწავლო“, - აღნიშნა ერთ-ერთმა ექსპერტმა. ხოლო პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოებისა და მრჩეველთა ორგანოების საშუალებით უნდა იყოს ინსტიტუციონალიზებული:

> *თუ რეალურად მექანიზმებს არ უზრუნველყოფ, რა მექანიზმებითაც ხალხის ხმას გაიგონებ და მათ სათქმელს ვიღაც მოიტანს შენამდე, ან რაღაც პერიოდულობით არ გახვალ, არ შეხვდები და არ დაელაპარაკები, ეს არ იქნება პოლიტიკის პროცესის ფორმირების ინტეგრალური ნაწილი. ახლა ასე, თეორიულად ამაზე ლაპარაკი კარგია, მაგრამ ვერ მოხდება ასე ამისი დანერგვა. მონაწილეობის პლატფორმები უნდა იყოს ინსტიტუციონალიზებული. უფრო მდგრადი მიდგომა როგორც მონაწილეობისადმი, ისე თემისადმი, ძალიან მნიშვნელოვანია. (სფეროს ექსპერტი)*

> *ზოგადად, მგონია ცვლილებების განხორციელება ჩვენს ქვეყანაში შეუძლიათ ქალებს და უფროს კლასელებს. მათ შეუძლიათ ცვლილებების მოხდენა. მათი წინ წამოწევით უკვე დემოკრატიის განვითარების ძალიან მაღალი შანსი გვექნება. ჩვენს რეგიონში კაცები უფრო რეტროგრადები არიან, ყველაზე ნაკლებად აქვთ ცვლილებებისკენ ორიენტირება, მაგრამ ქალებს არ მოსწონთ ეს ჩამყაყებული სტატუს-ქვო. (სფეროს ექსპერტი)*

ამ ნაწილში გენდერული დაუცველობის პრობლემატიზაციასა და ეთნიკური უმცირესობების ქალთა წინააღმდეგობაში ქალთა წარმომადგენლობის მნიშვნელობა განვიხილეთ. მოწყვლადი ჯგუფების არასტაბილური დაცულობა ხშირად მათი უხილავობის, როგორც გადარჩენის სტრატეგიაზეა დამოკიდებული. ეს მათ ხელს უშლის უსაფრთხოების პრობლემებზე საუბარში. სტრუქტურული, პრაქტიკული და კულტურული შეზღუდვების მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალები უფრო და უფრო აქტიურები ხდებიან საკუთარ თემში. ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა ქალთა წინააღმდეგობის მრავალფეროვანი ისტორიები გაიხსენეს. ამის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების ქალთა წარმომადგენლობა ხშირად აუღიარებელი რჩება, რადგან წინააღმდეგობის მათი სტრატეგიები საზოგადოებისა და ოფიციალურ დისკურსებში შეუმჩნეველია. ეთნიკური უმცირესობების ქალთა ისეთ დაუცველ ობიექტებად წარმოჩენის ნაცვლად, რომელთაც აგენტობა არ აქვთ, მაქსიმალური ძალისხმევა უნდა ჩაიდოს მათ გაძლიერებაში. შესაბამისად, პოლიტიკოსებმა და რელევანტურმა ჩართულმა მხარეებმა მხოლოდ საზოგადოებრივ დისკურსში მარტივად შესამჩნევ დომინანტურ ხმებზე ზრუნვის ნაცვლად, ვიზუალური და სხეულის პრაქტიკებით (მაგალითად, ფოტო-ვიდეო მასალა, ერთი ადამიანის გაფიცვა, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობა, აქციებში მონაწილეობა, ბლოგების წერა, სოციალურ ქსელებში გაჟღერებული პრობლემები, სიმბოლოები) გადმოცემული აგენტობის უფრო ნაკლებად შესამჩნევი გამოხატულებები უნდა ეძებონ. უსაფრთხოების დისკურსში ის ადამიანები უნდა დომინირებდნენ, რომლებიც დაცულობის ხელმისაწვდომობის ნაკლებობისგან ყველაზე მეტად ზარალდებიან და დაუცველობის გაჟღერებისას ყველაზე მოწყვლადები არიან. გარდა ამისა, უსაფრთხოების ინკლუზიური დღის წესრიგის შექმნა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ პრობლემის გადაჭრის გზების ბაზად მოწყვლადი ჯგუფების ხმებს გამოვიყენებთ. ქალების გაძლიერება, განსაკუთრებით კი მათი, ვინც სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციას განიცდის, უსაფრთხოების მეინსტრიმულ სექტორში დღესდღეობით არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და დაფიქსირებას შეუწყობს ხელს.

5 შეჯამება

წინამდებარე ნაშრომს გენდერული პერსპექტივის მქონე მზარდ ლიტერატურაში შეაქვს წვლილი, რათა ადამიანის უსაფრთხოება კონცეპტუალურ და პრაქტიკულ დონეზეც ეპისტემოლოგიურ პერსპექტივად ჩამოყალიბდეს. იგი, ასევე, ხელს უწყობს სახელმწიფოს, საქართველოს უსაფრთხოების საკითხის პრივილეგირებული რეფერენტი ობიექტის მიღმა გაფართოებასა და გაღრმავებას. უსაფრთხოების დისკურსში ორმაგ დაუცველობასა და აგენტობაზე სამეცნიერო ყურადღებისა და კვლევების ნაკლებობის გამო, მოცემულ პროექტს აქვს პოტენციალი, უფრო ფართო სოციალური და აკადემიური გავლენა იქონიოს - უფრო კონკრეტულად კი, საქართველოს უსაფრთხოების სექტორში ინტერსექციურობისა და მოწყვლადობის საკითხების ნაკლებობის პრობლემა წამოაყენოს. კვლევა ეთნიკური უმცირესობების ქალთა დაუცველობის ყოველდღიურ გამოცდილებაზე ფოკუსირდება. ამდენად, მისი მიზანი ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ქალების მიერ განცდილი უსაფრთხოების პრობლემების შედარებითი ანალიზი არ ყოფილა. მართალია, კვლევის მიდგომის საფუძველზე მონაცემთა გენერალიზება ვერ მოხერხდება, მაგრამ იგი ეთნიკური უმცირესობების ქალთა ინდივიდუალურ ნარატივებზე ორიენტირების საშუალებას გვაძლევს.

ემპირიული მონაცემების სიღრმისეული შესწავლითა და თეორიული დაშვებებით, კვლევის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების ქალთა დაცულობის პრობლემები და წინააღმდეგობის მათეული სტრატეგიები გაანალიზდა. ამასთან, ორი საკვლევი კითხვა ინტერსექციური მიდგომითაა განხილული. პირველი, კვლევამ უსაფრთხოების მთავარ კონცეპტუალურ დოკუმენტებში არსებული ხარვეზები გამოავლინა და აღნიშნული კვლევის სუბიექტების, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების, ყოველდღიური დაუცველობები აღბეჭდა. კვლევამ, ასევე, ხაზი გაუსვა ინტერსექციურობის მნიშვნელობას იმ მოწყვლადი ჯგუფების უსაფრთხოების პრობლემათა იდენტიფიცირებასა და განხილვაში, რომლებიც სახელმწიფოზე ორიენტირებული უსაფრთხოების დომინანტურ პარადიგმებში არ არიან განხილულნი. ფოკუსჯგუფის მონაცემებითა და ექსპერტებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ ეთნიკური უმცირესობების ქალები საკუთარი გენდერისა და ეთნიკური წარმომავლობის გამო, იდენტობაზე დაფუძნებულ სხვადასხვა ბარიერს აწყდებიან; ამასთან, მეტად მოწყვლადები არიან ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩოს ყველა განხილული - ეკონომიკური, ჯანდაცვის, სასურსათო, პირადი და პოლიტიკური უსაფრთხოების ასპექტების მიხედვითაც. ენა და სოციო-კულტურული ბარიერები, რომლებსაც მავნე პატრიარქალური პრაქტიკები ემატება, უფლებათა შელახვის უფრო მაღალი რისკის ქვეშ აყენებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს და სერვისებზე წვდომას უზღუდავს. მეტიც, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობისა და მიღებული მხარდაჭერის ნაკლებობა დამატებით დაბრკოლებას ქმნის დაუცველობის გადალახვის პროცესში.

ფემინისტური გადმოსახედიდან, კვლევის ფარგლებში გამოკვლეულია ადამიანის უსაფრთხოების თეორიული ჩარჩოს ის მთავარი სფეროები, სადაც გენდერულად უფრო მგრძნობიარე მიდგომაა საჭირო, ეს კი განსაკუთრებით, გენდერულ ძალადობასა და ტრადიციულად, გენდერულად ნეიტრალურად მიჩნეულ სფეროებს, მაგალითად, ტრანსპორტსა და საჯარო ინფრასტრუქტურას ეხება. შედეგებით, უსაფრთხოების დისკურსში ინკლუზიისთვის კიდევ ერთ პრობლემად ხმისა და აგენტობის მნიშვნელობა გამოიკვეთა. შესაბამისად, კვლევის მიხედვით, ქალთა აგენტობისკენ მიმართული პოლიტიკის დიზაინის შემუშავებისას, აუცილებელია უსაფრთხოების იმ უხმო დილემის გათვალისწინება, რომელსაც მოწყვლადი ჯგუფები აწყდებიან: მათი პირობითი დაცულობა ხშირად უხილაობაზე, როგორც გადარჩენის სტრატეგიაზეა დამოკიდებული.

ნაშრომში დაუცველობის დისკურსული არტიკულაცია პრობლემადაა მიჩნეული, ამიტომ მის ნაცვლად ეთნიკური უმცირესობების ქალთა ბრძოლის სხვადასხვა ფორმებია გამოკვლეული. წინააღმდეგობის აღნიშნულ ფორმებს შორისაა ერთი ადამიანის გაფიცვა, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობა, აქციებში მონაწილეობა, ბლოგების წერა და სათემო აქტივიზმის სხვა ფორმებით დაკავება. შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არსებულ მითს, რომლის მიხედვითაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ქალები პოლიტიკურად და სოციალურად აქტიურები არ არიან და ამ შეხედულების ნაცვლად, მოცემული კვლევა მათ წარმომადგენლობასა და აგენტობაზე ფოკუსირდება. კვლევაში, ასევე, საუბარია უსაფრთხოების ლიტერატურაზეც, რომელიც ხშირად უმცირესობებს წარმომადგენლობის არმქონე, სუსტ მსხვერპლებად სახავს. ეთნიკური უმცირესობების

ქალთა ყოველდღიური დაუცველობის ასახვითა და მათი წინააღმდეგობისა და აგენტობის კვლევით, ნაშრომში მდგრადი მშვიდობისა და დემოკრატიის განვითარების პროცესში მრავალფეროვან ხმათა ინკლუზიის მნიშვნელობას გაესვა ხაზი.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში პრობლემად იდენტიფიცირდა გავრცელებული მიდგომაც, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ქალებს ძალაუფლებას მოკლებულ მსხვერპლებად აღიქვამს. ამის ნაცვლად, კვლევაში გამოიკვეთა ქალების მიერ არადისკურსული პრაქტიკებით საკუთარი ხმების ძიების წინააღმდეგობის ისეთ ფორმებში არტიკულაცია, რომლებიც მეინსტრიმულ პრაქტიკებში იშვიათად გვხვდება. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების ქალთა აგენტობის დაფიქსირებით იქნება შესაძლებელი უსაფრთხოების ანალიზის სფეროს გაფართოება და უსაფრთხოების ჭეშმარიტად ინკლუზიური დღის წესრიგის ჩამოყალიბება. შეწინააღმდეგების, როგორც ემპირიული და კონცეპტუალური ინსტრუმენტის გამოყენება, დაგვეხმარება, თავი დავაღწიოთ ეთნიკური უმცირესობების დიქოტომიურ, როგორც საფრთხის ან მოწყვლად ჯგუფებად გაგებას. აგრეთვე, დაცულობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობის გზით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს გაძლიერების საშუალებაც მიეცემათ.

კვლევა ხაზს უსვამს ორ ფართო თეორიულ და ემპირიულ ხარვეზს: პირველ რიგში, მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური დაუცველობების ინტერსექციური პრიზმიდან აღსაწერად მეტი კვლევაა საჭირო; მეორეც, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს უსაფრთხოების ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის, ემანსიპაციასა და დესეკურიტიზაციასაც. ხოლო, რაც შეეხება ემპირიულ სფეროში არსებულ განსვლებს, მშვიდობიან პერიოდში სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალთა ყოველდღიურ დაუცველობას, პრაქტიკულად, არც ერთი კვლევა ეხება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რეპრეზენტატული კვლევების ჩატარება, რომლებიც არსებული ემპირიული ცოდნის ნაკლებობას შეავსებს. ერთ-ერთი გზა უსაფრთხოების ინკლუზიურობის შესახებ გამოყენებითი ემპირიული კვლევების ჩასატარებლად, ამ პროცესში უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების პირდაპირი ჩართულობაა. თუმცა, ამგვარი კვლევა დიდ დროსა და ჩართულობას მოითხოვს სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან. დამატებით, უსაფრთხოების სექტორის ინკლუზიურობის შესაფასებლად და მონიტორინგისთვის, შესაძლებელია, შესაბამისი ინდექსის შემუშავება. პროგრესის (ან მისი ნაკლებობის) სისტემატური მონიტორინგი და შეფასება, შედეგად, საფუძველს დაუდებს უსაფრთხოების გენდერულად მგრძნობიარე გაგებასა და იმპლემენტაციას . მარგინალობისა და მოწყვლადობის საკითხების მხედველობაში მიღება კი უსაფრთხოების ინკლუზიური დღის წესრიგის ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება.

6 რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობამ:

- უზრუნველყოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუდმივ წევრებსა და სხვა რელევანტურ სამინისტროებს შორის მჭიდრო კოორდინაცია იმისათვის, რომ უსაფრთხოების მრავალსექტორულ გამოწვევებზე ადამიანის უსაფრხოების ჩარჩოს გამოყენებით იმუშაონ;

- ჩამოაყალიბოს/სადაც ხელმისაწვდომია, გააძლიეროს უსაფრთხოების სექტორში გენდერული საბჭოები და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისა და მონიტორინის პროცესებში ჩართოს. დამატებითი ძალისხმევა გაწიოს ეთნიკური უმცირესობის ქალების ჩასართავად თითოეული სამინისტროს გენდერულ საბჭოებში;

- უზრუნველყოს გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციის ეფექტური იმპლემენტაცია სამშვიდობო პროცესებში, საგარეო პოლიტიკაში, თავდაცვასა და დიპლომატიაში ეთნიკური უმცირესობების პირდაპირი ჩართვის გზით;

- ჩაატაროს კამპანიები უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრის სახით, რათა გაზარდოს მათი ინფორმირება ეთნიკური უმცირესობებისა და მათი პოტენციურ საფრთხეებად აღქმით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შესახებ;

- ჩართოს ეთნიკური უმცირესობების ქალთა საკითხები გენდერული თანასწორობის შესახებ ეროვნულ საკვანძო კანონმდებლობაში: გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ეროვნული სამოქმედო გეგმა,[31] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმები, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმები (HR NAP),[32] ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციაზე დაყრდნობით;[33]

- მოახდინოს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ინდიკატორების, განსაკუთრებით კი, მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის ინდიკატორების დისეგრეგაცია სქესისა და ეთნიკურობის მიხედვით.

უსაფრთხოების ეროვნულმა საბჭომ:

- უზრუნველყოს გენდერის მეინსტრიმინგი უსაფრთხოების სექტორში;

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ტერმინი „მოქალაქე“ „ინდივიდით“ ან „ადამიანით“ შეცვალოს, რათა მოქალაქეობის სტატუსის არმქონე მიგრანტები და ეთნიკური უმცირესობები არ დარჩნენ მის მიღმა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

- განსაზღვროს და მკაცრად აღასრულოს ეთნიკური უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენის ჯარიმები;

- დააფინანსოს მომხმარებელზე მორგებული ისეთი ციფრული აპლიკაციების შექმნა, რომლებსაც გენდერული ძალადობის შესატყობინებლად უხმო განგაშის ღილაკი ექნება და ეთნიკური უმცირესობების ენებზე იქნება ხელმისაწვდომი;

- მკაცრად აღასრულოს ქორწინების მინიმალური ასაკის დაცვა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის კულტურულად მგრძნობიარე კამპანიების საშუალებით დააფინანსოს ამ საკითხზე ინფორმირებულობის გაზრდა.

---

31 საქართველოს პარლამენტი (2010). კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. მოძიებულია 2021 წლის 10 ივლისს. https://matsne.gov.ge/en/document/view/91624?impose=translateEn&publication=9

32 საქართველოს მთავრობა (2014). 2014–2020 ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (HR NAP). ხელმისაწვდომია: http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy/

33 2011. „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა. მოძიებულია 2021 წლის 10 ივლისს. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1558531?publication=0

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

- ეთნიკურ მიკუთვნებულობაზე დაფუძნებული არაობიექტურობისა და სტერეოტიპების შესამცირებლად, ჯანდაცვის მიმწოდებლებს შორის გაზარდოს გენდერული უმცირესობების შესახებ კულტურული ცნობიერება;

- აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე უზრუნველყოს დროული და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება Covid-19-თან დაკავშირებული რეგულაციებისა და ვაქცინაციის პროგრამების შესახებ;

- ადგილობრივად ხელმისაწვდომი გახადოს ჯანდაცვის სერვისები და არსებულ ჯანდაცვის სერვისებზე ეთნიკური უმცირესობების ქალებში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ინფორმირებულობის გასაზრდელი კამპანიები დააფინანსოს;

- ადგილობრივად უზრუნველყოს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე წვდომა და აღნიშნული სერვისები უნივერსალური ჯანდაცვის პაკეტში მოაქციოს;

- ჯანდაცვის პოლიტიკას განსხვავებული გავლენა აქვს კლასის, გენდერისა და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით; შესაბამისად, უფრო მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების გასათვალისწინებლად, აღნიშნულ პოლიტიკას ინტერსექციური პერსპექტივიდან გადახედოს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა:

- განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ორ ენაზე შექმნას სასწავლო მასალები, მათ შორის, სასკოლო და ბაღის მასწავლებლებისთვის განკუთვნილი წიგნები, ბავშვებისა და მოზარდების ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით;

- ხელი შეუწყოს ევროპული თეორიული ჩარჩოს კონცეფციის, „ეროვნულ უმცირესობათა დაცვა“ და ევროპული ქარტიის „რეგიონული ან უმცირესობების ენების შესახებ“, ეფექტურ იმპლემენტაციასა და მათ შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას;

- შსს-თან ახლო კოორდინაციით, ხელი შეუწყოს სამართლებრივად სათანადო თეორიული ჩარჩოსა და ინიციატივების შემუშავებას, რათა ადეკვატური სანქციები დააწესოს და გამოიძიოს უმცირესობების მიმართ ჩადენილი სიძულვილის დანაშაულები და სიძულვილის ენა;

- მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს სახალხო დამცველთან მოქმედ ტოლერანტობის ცენტრთან, რელიგიათა საბჭოსა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან და უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების ქალთა საკითხების ინტეგრირება თითოეულ რელევანტურ ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ:

- პოპულარიზება გაუწიოს ორენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს და გაწიოს ფინანსური ინვესტირება, რათა გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების ქალთა ხელმისაწვდომობა განათლებაზე. შეიმუშაოს სპეციალური სასწავლო პროგრამები და ენობრივი გაკვეთილები, რომელთა ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნება მოქნილი საათების საჭიროება და შინ შრომის ტვირთი;.

- გენდერული საკითხები მოიცვას სასკოლო კურიკულუმში, და თითოეული უმცირესობის ჯგუფების კულტურული და რელიგიური შესაბამისობის გათვალისწინებით უზრუნველყოს ქალთა უფლებების ხელშეწყობა და მათი გაძლიერება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებმა:

- პოლიტიკის დონეზე გაიაზრონ, რომ არასათანადო საზოგადოებრივმა ინფრასტრუქტურამ და ტრანსპორტმა, შესაძლოა, მოწყვლადობა გააღრმაოს;

- ქალთა საჭიროებებზე მეტად მორგებული და ინკლუზიური გახადონ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ახლოს ითანამშრომლონ მთავრობასთან, სათემო ორგანიზაციებთან და იმ ქალებთან, რომლებიც პირდაპირ ზარალდებიან საზოგადოებრივ ტრანსპორტზე შეზღუდული წვდომით. გენდერულად სპეციფიკური გადაჭრის გზებმა უნდა მოიცვას საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, დროულობა, ეკონომიურობა და უსაფრთხოება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა:

- ინვესტიცია ჩადონ ქალი ფერმერებისთვის განკუთვნილ მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამებში - ვაუჩერების, ტექნიკაზე წვდომის, სასუქებისა და საბანკო სესხების გამარტივებული პროცედურების უზრუნველყოფით.

ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა:

- ინვესტიცია ჩადონ ეთნიკური უმცირესობების ქალთა შორის ოჯახში ძალადობის შესახებ სხვადასხვა არხებით (სმს, მობილური აპლიკაციები, საინფორმაციო კამპანიები, ტრენინგები) ინფორმირებულობის გაზრდაში. ინფორმაცია მიაწოდონ მსხვერპლთა ხელმისაწვდომი სერვისების (თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, სასწრაფო დახმარების აპლიკაცია, 116 006 საკონსულტაციო ცხელი ხაზი, რომელიც ადამიანებს ინფორმაციას სხვადასხვა ენაზე აწვდის), მოძალადეებისთვის განკუთვნილი ჯარიმებისა და იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეუძლია მსხვერპლს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში;

- სპეციალური ზომები მიიღონ ქალთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის, იურიდიული და სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად, ეთნიკური უმცირესობების ქალებთან მომუშავე სოციალური მუშაკების, მრჩევლების, ადვოკატებისა და ჯანდაცვის სპეციალისტების სოციალურ-კულტურული სპეციფიკების შესახებ ტრენინგების/გადამზადების გზით;

- ეთნიკური უმცირესობების ქალებში ინფორმირებულობა გაზარდონ მათ ქონებრივ უფლებებზე;

- მხარი დაუჭირონ ქალთა გაძლიერებას არაფორმალური განათლებისა და სოფლის მეურნეობის გადამზადების პროგრამების საშუალებით;

- მხარი დაუჭირონ ისეთი ადგილობრივი პროფკავშირების დაარსებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება ქალთა საკითხებსა და მათ დასაქმებაზე;

- მხარი დაუჭირონ ახალქალაქსა და მარნეულში დასაქმების სააგენტოების დაარსებას.

ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა:

- პოპულარიზება გაუწიონ ეთნიკური უმცირესობების ქალთა რეპრეზენტაციას ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დროებითი მიზნობრივი ზომების, მაგალითად, კვოტირების სისტემისა და ტრენინგების გატარებით;

- ძლიერი მექანიზმები უზრუნველყონ ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების შინაარსიანი ფუნქციონირებისთვის, დასაქმებულთა შესაძლებლობების ზრდითა და შესაბამისი უნარებით აღჭურვით, რათა ქალთა საჭიროებების იდენტიფიცირება, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება და გენდერთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე ინფორმაციის მიწოდება შეძლონ;

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებულთა შორის გაზარდონ გენდერულ საკითხებზე ინფორმირებულობა ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში (ადგილობრივი საკრებულო და მერია) ისეთი წევრის დანიშვნით, რომელიც გენდერულ მეინსტრიმინგზე იმუშავებს;

- გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი მაღალი დონის შეხვედრებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართონ;

- გაამარტივონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ინსტრუმენტები საჯარო კონსულტაციებისთვის ონლაინ პლატფორმების გამოყენებით. დააფინანსონ მონაწილეობის ციფრული პლატფორმების შემუშავება, მაგალითად, პეტიციების, ონლაინ შეკითხვებისა და საჩივრების ეთნიკური უმცირესობების ენებზე გამოქვეყნება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი):

- სისტემატურად შეაგროვოს მონაცემები პირად (გენდერული ძალადობა), ეკონომიკურ (დასაქმება, შემოსავალი), სასურსათო (კვებაზე ხელმისაწვდომობა), ჯანდაცვის (საავადმყოფოების რაოდენობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ეთნიკური უმცირესობების ქალთა მიერ გამოხატული გამოცდილებები) უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც ჩაშლილი იქნება სქესის, გენდერის, ასაკის, ეთნიკურობისა და საცხოვრებლის მიხედვით - ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს შიგნით და მათ შორის არსებული უთანასწორობების უკეთ გასაგებად;

- ეთნიკური მიკუთვნებულობის განსაზღვრისთვის მიიღოს ერთიანი განმარტება, რომელიც მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დროს თვით რეგისტრირებულ ეთნიკურობასაც მოიცავს. გამოიყენოს ინტერსექციურობა, როგორც ანალიზის ინსტრუმენტი და ერთდროულად ორზე მეტი ცვლადის ანალიზი დაუშვას ვებ-გვერდის მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

Aloul S., Naffa R., Mansour M., (2018). Gender in Public Transportation: a Perspective of Women Users of Public Transportation. Friedrich-Ebert-Stiftung. http://library.fes.de/pdf-files/bueros/amman/15221.pdf

Ashley, K. R. (1989). Living on Border Lines: Man, Poststructuralism and War, in J. Der Derian and M. J. Shapiro (eds), International/Intertextual Relations: postmodern readings of world politics. Toronto: Lexington Books.

Azétsop, J., and Joy, T. R. (2013). Access to nutritious food, socioeconomic individualism and public health ethics in the USA: a common good approach. Philosophy, ethics, and humanities in medicine: PEHM. 8(16). https://doi.org/10.1186/1747-5341-8-16

Balzacq, T. (2010). Securitization Theory: How Security Problems Emerge and Dissolve, PRIO New Security Studies, London: Routledge.

Balzacq, T. (2015). Legitimacy and the logic of security, in Balzacq, T. (ed) Contesting security: strategies and logics. Routledge, pp. 1-9.

Balzacq, T. (2005). The Three Faces of Securitisation: Political Agency, Audience and Context. European Journal of International Relations. 11(2), pp.171-201.

Bashevkin, S. (2014). Numerical and policy representation on the international stage: Women foreign policy leaders in Western industrialised systems. International Political Science Review, 35(4), 409-429.

Bigo, D. (2002). Security and Immigration: Towards a Critique of the Governmentality of Unease. Alternatives 27 (Special Issue), pp.63-92.

Bilgin, P. (1999). Security studies: Theory/Practice. Cambridge Review of International Affairs, 12:2, 31-42, DOI: 10.1080/09557579908400239

Bjarnegård, E., Brounéus, K., and Melander, E. (2017). Honor and political violence: Micro-level findings from a survey in Thailand. Journal of Peace Research, 54(6), 748–761. https://doi.org/10.1177/0022343317711241

Booth, K. (1997). Security and self: reflections of a fallen realist, in Krause K. and Williams M. C. (eds.), Critical Security Studies. Minneapolis: University of Minnesota Press.

Booth, K. (2007). Theory of World Security. Cambridge: Cambridge University Press.

Bourdieu, P. (1977). Outline of a Theory of Practice. R. Nice (Trans.). Cambridge: Cambridge University Press. pp. 240-248.

Bourdieu, P. (1984). Distinction: A Social Critique of the Judgment of Taste. New York: Routledge.

Buzan, B., Wæver, O. and Wilde, J. (1998). Security: A New Framework for Analysis. London, Lynne Rienner.

Chauhan, A., Walton, M., Manias, E. et al. (2020). The safety of health care for ethnic minority patients: a systematic review. International Journal Equity Health 19(118). https://doi.org/10.1186/s12939-020-01223-2

Cohn, C. (2013). Women and Wars. Polity Press, Cambridge.

Commission on Human Security (2003). Human Security Now. New York. Available at: https://reliefweb.int/report/world/human-security-now-protecting-and-empowering-people

Cotter, J. (1999). Cultural security dilemmas and ethnic conflict in Georgia. Journal of Conflict Studies, 19(1), 106-131.

Danchin, P. G., and Cole, E. A. (2002). Protecting the human rights of religious minorities in Eastern Europe. Columbia University Press.

Deyermond, R. (2008). Security and Sovereignty in the Former Soviet Union. Lynne Reinner Publishers Inc., Boulder, CO.

Enloe, C. (2004). The Curious Feminist. University of California Press.

Enloe, C.H. (1989). Bananas, beaches and bases: making feminist sense of international politics, London: Printer.

Faber, M. and Kaldor, M. (2005). Human security in the South Caucasus, in Glasius, M. and Kaldor, M eds., A human security doctrine for Europe: project, principles, practicalities, Glasius, M. and Kaldor, M. eds., Routledge, Abingdon, Oxon.

Floyd, R. (2007). Human security and the Copenhagen schools securitszation approach. Human Security Journal, 5(37), pp.38-49.

Fluri, P. H. and Cole, E. (eds.) (2005) From Revolution to Reform: Georgias Struggle with Democratic Institution Building and Security Sector Reform. Bureau for Security Policy at the Austrian Ministry of Defence; National Defence Academy, Vienna and Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces in co-operation with PfP-Consortium of Defence Academies and Security Studies Institutes. ISBN: 3-902275-18-9

Fox, J., and Akbaba, Y. (2015). Securitization of Islam and religious discrimination: Religious minorities in Western democracies, 1990–2008. Comparative European Politics, 13(2), 175-197.

Gamakharia, E. (2015). Assessment of the level of womens human security in western Georgia. Fund SUKHUMI, Kvinna till Kvinna. Kutaisi, Georgia. UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (November 2002). General Comment No. 15: The right to water

Gentry, C.E., Shepherd, L.J. and Sjoberg, L. (2019). The Routledge handbook of gender and security, Routledge, Abingdon, Oxon.

Ghai, Y., Arup, C., and Chanock, M. (eds.). (2000). Autonomy and ethnicity: negotiating competing claims in multi-ethnic states. Cambridge University Press.

Glasius, M. and Kaldor, M. eds. (2006). A human security doctrine for Europe: project, principles, practicalities, Routledge, Abingdon, Oxon.

Gomez O. A., and Gasper, D. (2013). Human Security Guidance Note: A Thematic Guidance Note for Regional and National Human Development Report Teams. UNDP. http://hdr.undp.org/en/content/human-security-guidance-note

Greer, M. L., Sample, S., Jensen, H. K., McBain, S., Lipschitz, R., and Sexton, K. W. (2021). COVID-19 is Connected with Lower Health Literacy in Rural Areas. Studies in health technology and informatics, 281, 804–808. https://doi.org/10.3233/SHTI210286

Hann E. (1996). Hungary in Smoke, R. (ed.) Perceptions of security. New York: Manchester University Press. pp. 79-86.

Hansen, L. (2000). The Little Mermaids Silent Security Dilemma. Millennium: Journal of International Studies 29 (2), pp.285-306.

Hansen, L. (2006). Security as practice: discourse analysis and the Bosnian war, Routledge, London.

Hoogensen, G. and Stuvøy, K. (2006). Gender, resistance and human security. Security Dialogue, 37(2), pp. 207-228.

Hudson, F. N. (2009). Securitizing Womens Rights and Gender Equality. Journal of Human Rights, 8(1), pp. 53-70.

Hudson, Valerie M. and den Boer A. M. (2012). A Feminist Evolutionary Analysis of the Relationship Between Violence Against and Inequitable Treatment of Women, and Conflict Within and Between Human Collectives, including Nation and States, in Oxford Handbook of Evolutionary Perspectives on Violence, Homicide, and War, edited by Todd K., Schackelford, Viviana A. and Weekes-Schackelford. Oxford: Oxford University Press.

Hudson, V. M., Caprioli, M., Ballif-Spanvill B., McDermott, R. and Emmett, F. C. (2008/2009). The Heart of the Matter: The Security of Women and the Security of States. International Security, 33(3), pp. 7–45.

Human Security Unit (2009). Human Security in Theory and Practice: Application of the Human Security Concept and the United Nations Trust Fund for Human Security. Office for the Coordination of Humanitarian Affairs United Nations.

Jolly, R. and Ray, D. (2006). The Human Security Framework and National Human Development Reports: A Review of Experiences and Current Debates. NHDR Occasional Paper 5 (New York: Human Development Report Office, UNDP). Available at: http://hdr.undp.org/en/media/ NHDR_Human_Security_GN.pdf

Jones, S. (2003). The role of cultural paradigms in Georgian foreign policy. Journal of Communist Studies and Transition Politics, 19:3, 83-110, DOI: 10.1080/13523270300660019.

Kakachia, K. (2005). Problems of Post-Conflict Public Security Management in Georgia, in Fluri, P. H. and Cole, E. (eds.), From Revolution to Reform: Georgias Struggle with Democratic Institution Building and Security Sector Reform. ISBN: 3-902275-18-9.

Kakonen, J. (ed.) (1994). Green Security or Militarized Environment. Aldershot: Dartmouth Publishing Company.

Karolak-Michalska, M. (2020). The Role of Securitization of National and Ethnic Minorities in the Management of Ethno-Politics in Eastern European Countries. International Journal of Contemporary Management. 19(2). pp. 71–95. doi:10.4467/24498939IJCM.20.006.12671.

Killerby, ME., Link-Gelles, R., Haight, SC. (2020). Characteristics Associated with Hospitalization Among Patients with COVID-19 — Metropolitan Atlanta, Georgia, March–April 2020. MMWR Morb Mortal Wkly Rep 2020; 69:790–794. DOI: http://dx.doi.org/10.15585/mmwr.mm6925e1externalicon

Kolstø, P., & Høivik, S. (2018). Political construction sites: Nation-building in Russia and the post-Soviet states. Routledge.

López-Gay, A., Spijker, J., Cole, H., Marques, A. G., Triguero-Mas, M., Anguelovski, I., Marí-DellOlmo, M., Módenes, J. A., Álamo-Junquera, D., López-Gallego, F., and Borrell, C. (2021). Sociodemographic determinants of intraurban variations in COVID-19 incidence: the case of Barcelona. Journal of epidemiology and community health, jech-2020-216325. Advance online publication. https://doi.org/10.1136/jech-2020-216325

Miklaucic, M. (2011). NATO Countering the Hybrid Threat. NATO ACT. Available from: http://www.act.nato.int/nato-countering-the-hybridthreat [Accessed 18 February 2015].

Nodia, G. (2005). Georgia: dimensions of insecurity, in B. Coppieters and R. Legvold (eds.), Statehood and Security, Cambridge, MA: MIT Press.

Owen, T. (2004). Human Security - Conflict, Critique and Consensus: Colloquium Remarks and a Proposal for a Threshold-Based Definition. Security Dialogue, 35(3), 373-387. https://doi.org/10.1177/0967010604047555

Parmar K.P., Agrawal P., Goyal R., Jennifer Scott J., and Greenough G. P. (2014). Need for a gender-sensitive human security framework: results of a quantitative study of human security and sexual violence in Djohong District, Cameroon. Conflict and Health, 8 (6). https://doi.org/10.1186/1752-1505-8-6

Parpart, J. L., and Zalewski, M. (eds.) (2008). Rethinking the Man Question. Zed Books, Ltd.: London and New York. Men and Masculinities, 13(2), 279–280.

Bilgin, P. (1999). Security studies: Theory/Practice. Cambridge Review of International Affairs, 12:2, 31-42, DOI: 10.1080/09557579908400239

Quinn, S. C. and Kumar, S. (2014). Health Inequalities and Infectious Disease Epidemics: A Challenge for Global Health Security. Biosecur Bioterror. 12(5): 263–273. doi: 10.1089/bsp.2014.0032

Ransom, E. and Elder, L. (2003). Nutrition of Women and Adolescent Girls: Why It Matters. Population Reference Bureau.

Rossdale, Ch. (2016). Activism, resistance and security, in: Nyman, Jonna and Burke (eds.), Ethical Security Studies: A New Research Agenda. Routledge critical security studies. Routledge, Abingdon, UK, pp. 201-215. ISBN 9781138912304

Šešelgyt, M. (2014). Can Hybrid War Become the Main Security Challenge for Eastern Europe? European Leadership Network. Available from: https://www.europeanleadershipnetwork.org/commentary/can-hybrid-warbecome-the-main-security-challenge-for-eastern-europe/ [Accessed 19 February 2018].

Shoup, B. (2007). Conflict and cooperation in multi-ethnic states: institutional incentives, myths and counter-balancing. Routledge.

SIDA (2015). Women and Food Security. Gender Toolbox [Brief/March]. Available at: https://cdn.sida.se/publications/files/-women-and-food-security.pdf

Simons, G. (2012). Security Sector Reform and Georgia: the European Unions challenge in the Southern Caucasus. European Security, 21(2), pp. 272-293, DOI: 10.1080/09662839.2012.665887.

Stroschein, S. (2012). Ethnic struggle, coexistence, and democratization in Eastern Europe. 5th ed. Cambridge: Cambridge University Press, pp. 32-93.

Tickner, A. J. (1992). Gender in International Relations: feminist perspectives on achieving global security, New York: Columbia University Press.

Tickner, A. J. (2001). Gendering World Politics: issues and approaches in the post-Cold War era, New York: Columbia University Press.

Togeby, L. (1994). The gender gap in foreign policy attitudes. Journal of Peace Research, 31(4), 375-392.

United Nations (2009). Human Security in Theory and Practice: Application of the Human Security Concept and the United Nations Trust Fund for Human Security. Human Security Unit. New York

United Nations (2016). Human Security Handbook: An integrated approach for the realization of the Sustainable Development Goals and the priority areas of the international community and the United Nations system. Human Security Unit.

United Nations Development Programme (UNDP) (1994|2013). Human Development Report 1994 – New Dimensions of Human Security. Available at: http://www.hdr.undp.org/en/content/human- development-report-1994

United Nations Food and Agriculture Organization (2002). The state of food insecurity in the world 2001. Rome, Italy.

United Nations General Assembly (July 2010). Resolution A/RES/64/292.

Universal Declaration of Human Rights (UDHR, Article 13). Available at: https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights

Wæver, O. (1989). Security, the Speech Act: Analyzing the Politics of a Word. Working Paper No. 19, Copenhagen Centre for Peace and Conflict Research.

Wæver, O. (1995). Securitization and desecuritization, in R. Lipschutz (ed.), On Security. New York: Columbia University Press, pp. 46-86.

Weber, C. (2015). Why is there no Queer International Theory?. European Journal of International Relations, 21(1), pp. 27-51.

Williams, P. (2011). Security Studies: An Introduction, 2nd edition, Abingdon: Routledge.

Wyn Jones, R. (1999). Security, Strategy, and Critical Theory, Boulder: Lynne Rienner.

Ziemer U. (ed.) (2020). Women's Everyday Lives in War and Peace in the South Caucasus. Palgrave Macmillan. eBook ISBN 978-3-030-25517-6

ცხრილები

10 ცხრილი 1
ადამიანის უსაფრთხოების ჩარჩო

12 ცხრილი 2
ფოკუსჯგუფების მახასიათებლები და რაოდენობები

14 ცხრილი 3
ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროები

აკრონიმები და აბრევიატურები

ეუქ	ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სუს	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
შსს	შინაგან საქმეთა სამინისტრო
CEDAW	კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1
0179 თბილისი | საქართველო

პასუხისმგებელი პირი:
ფელიქს ჰეტი| სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ.: +995 32 225 07 28
http://southcaucasus.fes.de/

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
stiftung@fesgeo.ge

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული
მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის
გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ
ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.

ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება
ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ ქალთა შემთხვევის შესწავლა საქართველოში

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
www.southcaucasus.fes.de